ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 2 დეკემბერი 2000 №233 (1255) | ფასი 50 თეთრი


1

## თემურ მახარაძეს მატარებელმა გაასწრო



თუმც ევროპაში წასვლას მაინც აპირებს

2

## მთავრობამ მოიცალა, მაგრამ მოიცადა

თბილისის „დინამოს“ და ეროვნული სტადიონის საკითხთა სამთავრობო განხილვა ისევ გადაიდო

3

## საუკუნის ტური

ხვალ ეროვნულ ჩემპიონატში მეოცე ასწლეულის ბოლო მატჩებია

4

## მემანქანემ გამოქინებაც მოასწრო და გამოღვიძებაც



აქართველოს სარაგბო ემპიონატის ახევარფინალში ლოკომოტივი 1“-მა რმიულ კლუბს 0:17 :17-ად უქცია

# ოქროს ბურთი მრგვალია

## 2000 წლის სარბიელისეული ხუთეული
















იწურება წელიწადი და ევროპის საფეხბურთო წრეებში იწყება ციებ-ცხელება — ვინ გახდება „ფრანს ფუტბოლის“ ლაურეატი ანუ ვინ მიიღებს „ოქროს ბურთს“? მოგეხსენებათ, კონტინენტის წლის საუკეთესო ფეხბურთელს ჟურნალისტები ასახელებენ. საქართველოდან გამოკითხვაში „სარბიელი“ მონაწილეობს, დანარჩენ რესპოდენტთა მსგავსად ფრანგული ჟურნალის რედაქციაში ხუთი რჩეულის ჩამონათვალს აგზავნის. ხუთეულს რიგის მიხედვით ენიჭება ქულები ხუთიდან ერთამდე, ხოლო საყოველთაო ჯამს ანუ გამოკითხვის საბოლოო შედეგს საშობაოდ თავად „ფრანს ფუტბოლი“ ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ რეფერენდუმის მონაწილეთ სთავაზობენ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც თითოეული ხუთეულის საკუთარ ვარიანტს ადგენს. კრიტერიუმთა თანახმად უპირველეს ყოვლისა ამა თუ იმ ფეხბურთელის წლის მანძილზე ნათამაშევსა და გუნდისთვის გაწეულ სამსახურს ენიჭება. ამის შემდეგ ითვალისწინებენ ზოგადად ნიჭს, პიროვნულ ღირსებებს და ბოლოს კარიერას.

„სარბიელის“ ვერსიით 2000 წლის საუკეთესო ხუთეული ასეთია: ლუიშ ფიგუ (პორტუგალია, „რეალი“), ტიერი ანრი (საფრანგეთი, „არსენალი“), ანდრეი შევჩენკო (უკრაინა, „მილანი“), რაული (ესპანეთი, „რეალი“), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა, „რომა“).

# აგასად კაცი დაფასდა

ლისაბონში, ფპფ-ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური ტურნირი მთავრდება და უკვე პირველი ნახევარფინალისტების ვინაობაც გაირკვა. თუ მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ანდრე აგასიმ ევგენი (ფოტოზე) კაფელნიკოვის განადგურებით მოიპოვა, ამჟამინდელ პირველს მარატ საფინს ამისთვის თითის განძრევაც არ დაჭირვებია.



იხილეთ მეცხრე გვერდი

# თემურ მახარაძეს მატარებელმა გაასწრო

## თუმც ევროპაში წასვლას მაინც აპირებს

*ამ კაცს ქართული ფეხბურთის ქომგთათვის, ვფიქრობთ, დიდი წარდგენა, თქმა იმისა, რომ ბევრისმნახველი და კარგი სპეციალისტიაო, არ სჭირდება. მას ხელახალი დებიუტიც ჩინებული გამოუვიდა, მისმა „ვიტ ჯორჯიამ" 4:0 გაიმარჯვა. ეს კაცი თემურ მახარაძეა, ადრე „დინამო 2", „მერანი", "კახეთი", „ლოკომოტივი" გაუწვრთნია, მის შეგირდებს ევროპის საკლუბო ტურნირებშიც ღირსეულად უთამაშიათ. რა თქმა უნდა, მას გუნდის წვრთნის საკუთარი მეთოდიც აქვს — ჩანს, რომ დაცვაზე ორიენტირებულია, თუმც თემურ მახარაძის გუნდებს არც თავდასხმა დაეწუნებოდათ. იშვიათად ნახავთ მდგომარეობიდან გამოსულს, აღშფოთებულს, გაწონასწორებულია. ბოლოს ის თბილისის „ლოკომოტივს" წვრთნიდა. გასული სეზონის რამდენიმე მატჩიც რკინიგზელებმა მისი ხელმძღვანელობით ითამაშეს, უფრო სწორად, პირველი წრე „ლოკომოტივს" მახარაძემ ჩაამთავრებინა. მერე კი...*


ნუკრი მახარაძის ფოტო

თემურ მახარაძე

— უმუშევარი ვიყავი. თითქმის წელიწადი ასე გავატარე, შინ ვიჯექი — გვითხრა თემურ მახარაძემ, ორიოდ დღის წინ რომ შევხვდით — საქმე არ მქონდა. რამდენიმე წინადადება კი მივიღე სხვადასხვა ქართული კლუბებიდან, მაგრამ არ დავთანხმდი. მიზეზების დაკონკრეტებას ახლა აზრი არა აქვს.

**— „ვიტ ჯორჯიას" წინადადებაზე დიდხანს ფიქრობდით, თუ როგორც კი ამ გუნდის მწვრთნელობა შემოგთავაზეს, პირდაპირვე დათანხმდით?**

— არა, რა თქმა უნდა, ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და „ვიტ ჯორჯიაში" მოვედი.

**— სხვა რომელი კლუბები გეპატიჟებოდნენ?**

— არა მგონია, ახლა ეს საინტერესო იყოს.

**— ახალ გუნდში პირველად რა შეცვალეთ?**

— ჯერ არაფერი, სულ ორი დღეა, რაც გუნდი ჩავიბარე და... სხვათა შორის, „ვიტ ჯორჯიას" ყოფილ მწვრთნელ ვოვა ხაჩიძეზეც უნდა ვთქვა — გუნდი ძალიან კარგად მომზადებული დამხვდა, ბიჭებთან მუშაობა არ გამჭირვებია, მათ ყველაფერი იციან. ნელნელა კი, რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცეებს შევცვლი.

**— იქნებ დაგვიკონკრეტოთ?**

— არა, ეს ჩემი საიდუმლოა. საქმე ტაქტიკას ეხება და ვერ გეტყვით.

**— ამისთანა რა არის?**

— რა ვიცი, მაინც... ახლა ბიჭების ფსიქოლოგიურ განწყობაზე ვამახვილებ ყურადღებას. „ვიტ ჯორჯიამ" „დინამოსთან" 0:4 წააგო და ფეხბურთელებზე ამან ძალიან იმოქმედა. ისინი მატჩის შემდეგ შოკში იყვნენ.

**— მწვრთნელთა ჩვევაა, ახალ გუნდში რომ მიდიან, თან ახალი ფეხბურთელებიც მიჰყავთ, ვისაც იცნობენ და იციან, გამოადგებათ. თქვენ რას აპირებთ?**

— ჯერჯერობით არაფერს, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება. ისე, ეგ კი არის, მწვრთნელს თავის სასურველი ფეხბურთელები მიჰყავს გუნდში, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. იცით, „ვიტ ჯორჯიაში" დღეს 60-მდე ფეხბურთელია, თანაც ყველა ახალგაზრდა, 20-22 წლის ბიჭები. რა სჯობს მათთან მუშაობას, ძალიან საინტერესოა.

**— მნიშვნელოვნად შეიცვლება გუნდის თამაში? ზემოთ თქვით, ტაქტიკური საიდუმლო მაქვსო.**

— ახლა მე ექსპერიმენტების დრო არ მაქვს. კვირას „ბათუმთან" ვთამაშობთ და მაქსიმალურად მოვერიდები სიახლეებს. მერე კი თითქმის სამთვიანი შესვენება იწყება და, ბუნებრივია, რაღაც შეიცვლება.

**— ერთიცაა, შარშან „ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა. წლეულს გუნდის შემადგენლობა ფაქტობრივად არ შეცვლილა. კლუბის ხელმძღვანელობას მიზნად ალბათ ჩემპიონობა აქვს დასახული, ყოველ შემთხვევაში, მეორე ადგილიდან დაქვეითება ევებ წარუმატებლობაში ჩაგეთვალოთ. აქვს კი „ვიტ ჯორჯიას" იმის საშუალება, „ლოკომოტივს", „დინამოს", „ტორპედოს" კონკურენცია გაუწიოს?**

— რატომაც არა? ბევრად ჩამოვრჩებით მათ? წინ მთელი მეორე წრეა. მეც მაქსიმუმს გავაკეთებ იმისათვის, რომ გუნდმა ლამაზად და, რაც მთავარია, შედეგიანად ითამაშოს. ერთია, როცა მგზავრი სადგურში მივა და მატარებელი დაძრული დახვდება, ძნელია, მას დაეწიოს.

**— ფეხბურთელებთან ურთიერთობა არ გაგჭირვებიათ?**

— ყველასთან ძალიან თბილი დამოკიდებულება მაქვს. ამ ბიჭების უმეტესობას კარგად ვიცნობ, მათთან ადრეც მიმუშავია, ჩემს გაწვრთნილ გუნდებში თამაშობდნენ.

**— ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელის გეიმედებათ?**

— მიჭირს რომელიმეს გამოყოფა. თითოეულს დიდი პოტენცია აქვს და თავს რომ რამე არ დააკლონ, დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. უდავოდ ნიჭიერი ბიჭები არიან, თანაც მათი ასაკი გაითვალისწინეთ. სამივე სათამაშო რგოლი ნორმალურად არის დაკომპლექტებული.

**— მაინც რამდენ ხანში ვიხილავთ თემურ მახარაძის „ვიტ ჯორჯიას"? მეორე წრის დაწყებისთანავე თუ ახლავე, კვირას, ბათუმში?**

— არა მგონია, გუნდის ჩემებურად ათამაშებას დიდი დრო დასჭირდეს. ყოველ შემთხვევაში, ბევრგან მიმუშავია და, ალბათ, ესეც მეთქმის.

**— დაბოლოს, წელან „ვიტ ჯორჯიას" პირველობაზე და ვერცხლის პრიზიორობაზეც ვთქვით. იმას თუ იტყვით, რომ გუნდი წლეულს ევროპაში ითამაშებს?**

— უნდა ითამაშოს. ჩვენ საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ, პოტენციაც საკმაო გვაქვს.

**— წარმატებებს გისურვებთ.**

— გმადლობთ.

**ქოგა ინასარიძე**

# ბედნიერი არდადეგები?

**იყო** დრო, როცა მოლდოვურ „შერიფში" ერთდროულად ვაჟა თარხნიშვილი, დავით მუჯირი, გიორგი რევაზიშვილი, დიმიტრი არსოშვილი, თამაზ პერტია, მიხეილ თაყაძე და მიხეილ ხუციშვილი თამაშობდნენ.

„შერიფმა" მოიგო თასი, ქვეყნის ვიცე-ჩემპიონობაც მოიპოვა, მაგრამ პირველობა ვერაფრით დაისაკუთრა. კლუბის ამბიციურ ხელმძღვანელობას კი ჩემპიონობის გარდა სხვა შედეგი არ აკმაყოფილებს და იცვლებოდნენ მწვრთნელები, მიმოდიოდნენ ფეხბურთელებიც.



დავით მუჯირი ზაფხულამდე ისევ შერიფელია

აქამდე „შერიფს" ორი ქართველიღა შემორჩა. ვაჟა თარხნიშვილმა და დავით მუჯირმა მოლდოვის ჩემპიონატის პირველი წრე ჩაამთავრეს და დასასვენებლად საქართველოში ჩამოვიდნენ. როგორია ზამთრის საქარველო, აქაურებს კარგად მოგვეხსენება, ჰოდა, ბედნიერ არდადეგებს ვუსურვებთ ჩვენებურებს.

დიმიტრი არსოშვილი გაუთავებელი და ჯერაც მოურჩენელი ტრავმების გამო პირველი გაეყარა „შერიფს". მოლდოვური კლუბი მას მერე თამაზ პერტიამ და მიხეილ ხუციშვილმა დატოვეს. მიხეილ თაყაძემ ზაფხულში დააღწია თავი იქაურობას და საქართველოში დაბრუნებული „ვიტ ჯორჯიას" შეეკედლა. შემოდგომის დასაწყისში გიორგი რევაზიშვილიც დაეთხოვა მოლდოვის ჩემპიონატს. ტრავმის შემდეგ ჩვენებური ჯერ კიშინიოვის „ჰაიდუკ სპორტინგში" გაანათხოვრეს, იქიდან კი მშობლიურ „დილაში" დაბრუნდა.

ვაჟა თარხნიშვილს კონტრაქტი სულ ახლახან დაუმთავრდა. „შერიფი" მოწადინებულია, გუნდის დაცვის ბურჯთან კონტრაქტი განაახლოს, თუმც სხვა ვარიანტებიც აქვს ჩვენებურს და...

ბოლო დროს ხმები დადის, ვაჟა თარხნიშვილი საქართველოს ჩემპიონატს უბრუნდება და ქუთაისის „ტორპედოს" წევრი გახდებაო. სხვა ვერსიის მიხედვით, რუსეთის უმაღლეს ლიგაში აპირებს მოწყობას. თარხნიშვილი გორში, „დილა" — თსუ-ს მატჩისშემდეგ ვნახეთ და სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ:

„ჯერ თავადაც არ ვიცი, რა გზას ვეწევი. არც „შერიფში" დარჩენას გამოვრიცხავ და არც „ტორპედოში" თუ რუსეთის უმაღლეს ლიგაში თამაშს. ჩემი მომავალი კლუბის ამბავი საბოლოოდ ერთ კვირაში გაირკვევა და მერე უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ" — გვითხრა თარხნიშვილმა.

მისგან განსხვავებით, დავით მუჯირს „შერიფთან" კონტრაქტი ზაფხულამდე აკავშირებს, ამიტომ მისი შერიფელობა მაისის ბოლომდე გადაწყვეტილია.

„კლუბის ხელმძღვანელობა ჩემს სანაცვლოდ გვარიან თანხას მოითხოვს და არა მგონია; მისი გადამხდელიც ჯერჯერობით ვინმე გამოჩნდეს. ზაფხულში თავისუფალი აგენტი ვხდები და ჩემი სხვა გუნდში გადასვლაც უფრო რეალური იქნება".

ისე მუჯირის გატორპედოელებას ჩვენში არაერთი სპეციალისტი და საფეხბურთო წრეებთან დაახლოებული პირიც წინასწარმეტყველებს. როგორ მოახერხებს ამას ქუთაისური კლუბი, მისი ხელმძღვანელობის საქმეა.

ჩვენ კი ცოტა ხანში ამასაც ვიკითხავთ, რამდენი ქართველი ფეხბურთელი თამაშობს მოლდოვურ „შერიფში"?

**დათო დანელია**

# მთავრობამ მოიცალა, მაგრამ მოიცადა

**კიდევ** ერთხელ დაგვჭირდა, „დინამოსა" და ეროვნული სტადიონის პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო კომისიის თითქმის სამ თვიანი მოკვლევა გაგვეხსენებინა. მკითხველმა იცის რომ ამ პრობლემების დარეგულირებას ჯერაც არ დასდგომია საშველი, მეტიც ალნიშნულ მოკვლევაზე საბოლოო დასკვნის გაკეთებაც არ მოხერხდა. უშიშროების სხდომის უარს ამას წინათ სამთავრობო სხდომის უარიც მოჰყვა, მაგრამ, როგორც ჩანს, სახელმწიფო ბოლომდე ვერ სწირავს ფეხბურთს და რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო კომისიის წევრებს შეუთვალა, რაც არის, არის, ჩვენ სხდომაზე გავიტანთ ამ საკითხსო.

სამთავრობო სხდომები ტრადიციულად ოთხშაბათობით იმართება და სტადიონისა და „დინამოს" პრობლემებიც სამი დღის წინა სხდომაზე უნდა გარჩეულიყო, მაგრამ ამაოდ. 29 ნოემბრის სამთავრობო სხდომის დღის წესრიგში საფეხბურთო არაფერი ყოფილა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „დინამო" — „ეროვნულის" პრობლემების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე მოუცლელი ბრძანდებოდა. ამიტომაც მთავრობაში ამ საკითხის გარჩევა გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**ბაატა ქვანტალიანი**

### გერმანია

XV ტური

უნტერჰახინგი — ვერდერი

ნისლის გამო გადაიდო

**მეორე ბუნდესლიგა**

XV ტური

ფიურტი 1:0 არმინია

ქემნიცი 1:3 დუისბურგი

### ბელგია

XIV ტური

ანდერლეხტი 2:0 ბრიუგე

1:0 რაძინსკი (20), 2:0 გოორი (90)

### ჩეხეთი

გადადებული მატჩი

სლავია 1:3 სპარტა

### იტალია

**სერია B**

XIV ტური

პესკარა 2:2 სალერნიტანა

### ჰოლანდია

XVI ტური

როდა 1:2 პსვ ეინდჰოვენი

0:1, 0:2 კეჟმანი (69, 80), 1:2 ტომაშიჩი (81)

### თურქეთი

XIV ტური

ანკარაგიუჯიუ 1:3 გალათასარაი

### პორტუგალია

XIII ტური

ბელენენსეში 1:0 გიმარაეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა მეორე წრე

17 ტური ანონსი

# საუკუნის ტური

**გიხაროდენ,** მოდის... შუქი, ხელფასი, პენსიები... აბა, აბა... ძალიან ბევრი მოგსურვებიათ. ახალი წელი მოდის, ახალი ათასწლეული, უშუქოდ, უხელფასოდ და უპენსიოდ.

კიდევ, არდადეგები ახლოვდება, სასკოლო, საფეხბურთო და ასე შემდეგ. კვირა საღამოდან 28 თებერვლამდე (სათასო მეოთხედფინალურ მატჩებს თუ არ ჩავთვლით) ალბათ არავინ გამოეკიდება მსაჯებს, არავინ დაგვარიგებს ჭკუას და საერთოდაც ცოტას დაისვენებს ქართული ფეხბურთის მოჯანყე სული.

ხვალ წლის, საუკუნისაც, ბოლო ტურია. მეოცე ასწლეულის ბოლო ათეული წელიწადი „დინამოს“ პირველობით დაიწყო და „დინამოსვე“ ეძლევა შანსი, პირველობითვე ჩაამთავროს.

კი მაგრამ, „ლოკომოტივი“? არა გვგონია, რამე დათმონ რკინიგზელებმა. სასწორზე ოქროს ქულებია შეგდებული.

„ტორპედოს“ მესამეობა ხელს არ აძლევს. ეს უკუსვლა იქნება, რასაც ქუთაისელი ქომაგობა ვერაფრით შეეგუება.

„ვიტ ჯორჯია“ მეოთხეა. მოიგებს თუ წააგებს, გაზაფხულამდე ადგილიდან ვერავინ დაძრავს, მერე კი ვნახოთ, ზევით აიწევს თუ... მთელი ფილოსოფია ასეთია.

რაც არ უნდა მოხდეს, ფოთის „კოლხეთს“ ექვსეულიდან ვერავინ გააგდებს. წარუმატებლობის შემთხვევაში მაქსიმუმი მაინც მეხუთე საფეხურია.

„მერანმა“, არ არის გამორიცხული, ექვსეულს გამოჰკრას ხელი, ამისთვის მცხეთაში არ უნდა წააგოს. არა, ეს უკვე ვარაუდებია.

„ბათუმი“ ვიცე-ჩემპიონს მასპინძლობს, მეექვსეობას თუ დაიბრუნებს, თორემ ჯერჯერობით მეტსაც ვერ შესწვდება.

ჯერაც საშიშია „სიონი“. ბოლნისელებისგან სენსაციებიც არ იქნება გასაკვირი. ყოველ შემთხვევაში, ექვსეულში მოხვედრის შანსი კიდევ არის.

დანარჩენების ბედი გადაწყვეტილია, „დილა“, „გორდა“ და თსუ ლიგაში დასარჩენად იბრძვიან, ხოლო „იბერიასი“ რა მოგახსენოთ, თითქმის გავარდნილი გუნდი სიმბოლურადღა თამაშობს.

ისევ ორი ცენტრალური თამაშია და დაძაბულობასთან ერთად არც მაყურებელთა სიმრავლე მოაკლდება „დინამო“ — „ლოკომოტივსა“ და „ბათუმ“ — „ვიტ ჯორჯიას“.

თითქოს გუშინ იყო... პირველი წრის დაპირისპირება კარგად გვახსოვს. მაშინ ძოძუაშვილის „ლოკომოტივმა“ სულ ბდღვირი ადინა არველაძის „დინამოს“. მას შემდეგ დრო შეიცვალა, თორემ კიდევ ერთი დაპირისპირების ადგილი არ შეცვლილა. „ლოკომოტივი“ იძულებით გადაადგილებულია, საშინაო მატჩებს „ეროვნულზე“ ატარებს, ამიტომ ხვალ იქნება მასპინძელი და პირობითი სტუმარი.

სამი უპასუხო ბურთით დამარცხება მძიმე დარტყმა იყო მაშინდელი „დინამოსთვის“. მას შემდეგ გუნდი მოღონიერდა, ფსიქოლოგიური დაძაბულობაც სადღაც გაქრა და მეტოქეებიც ერთიმეორის მიყოლებით დააჩოქა.

ბიჭები სიყვარულით აკეთებენ საქმეს და წარმატების საიდუმლოც ეს არისო, აგვიხსნა რევაზ არველაძემ. ეს აუცილებელია, მაგრამ ყველაზე მთავარი არ უთქვამს მწვრთნელს. ფაქტია, გუნდში ფული გაჩნდა, ხელფასები დაურიგდათ ფეხბურთელებს და ალმავლობაც ამის შედეგია, თორემ დინამოელები სიყვარულით გასულ ჩემპიონატშიც აკეთებდნენ საქმეს და საჩემპიონო მადა მაშინ არავის გახსნია.

ღმერთმა შეარგოთ და უშველოთ. „დინამოში“ თუ ყველაფერი რიგზე იქნება და გუნდიც თავის, ნამდვილ სახეს დაიბრუნებს, ამას რა სჯობს. დღეს კი ხვალინდელი თამაშია საფიქრალი. პრინციპული და, თუ გნებავთ, გადამწყვეტიც.

ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არც ერთ მხარეს არ ჰყავს. ნაცნობი მოედანი და მეტოქეები. ვისი აჯობებს? არ წააგებს ამ თამაშს „ლოკომოტივი“. ჩვენ ასე გვგონია და არ უნდა შევცდეთ. ყოველ შემთხვევაში, შედეგის მიუხედავად, თამაში ნამდვილად კარგი გელოდებათ.

თბილისი. „ეროვნული“. 3 დეკემბერი. 14 საათი

## დინამო — ლოკომოტივი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ბათუმი. „დინამო“. 3 დეკემბერი. 14 საათი

## ბათუმი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 3 დეკემბერი. 14 საათი

## სიონი — კოლხეთი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; გ. კოკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; ჯ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებული: ბარნოვი (სიონი)

ქუთაისი. „ტორპედო“. 3 დეკემბერი. 14 საათი

## ტორპედო — დილა

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ურუშაძე; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი
დისკვალიფიცირებული: კოტორაშვილი (დილა)

რუსთავი. „ფოლადი“. 3 დეკემბერი. 14 საათი

## გორდა — იბერია

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე
დისკვალიფიცირებულნი: ა. ბუკია (გორდა), სანიკიძე (იბერია)

მცხეთა. „არმაზი“. 3 დეკემბერი. 14 საათი

## თსუ — მერანი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებულნი: სვანაძე (თსუ), გ. კვეტენაძე (მერანი)



პირველი წრის „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 3:0.
დინამოელი თემურ გადელია (მარცხნივ) და ლოკომოტიველები — ვალერი აბრამიძე და კახა გოგიჩაიშვილი

თუ ვინმეზე ითქმის, „ბათუმისთვის“ მეტად უხერხული მეტოქეაო, მათგან უპირველესი „ვიტ ჯორჯია“ გახლავთ. უგებს შინ და სტუმრადაც ვეტერინარული გუნდი „ბათუმს“. ხვალინდელ მასპინძელთა უკეთესი შედეგი კი ფრეა.

ძალაუნებურად მათი საგაზაფხულო დაპირისპირება გვახსენდება. მაშინ დაზარალდა ბათუმური სარბიელი და სტუმართა ავტობუსიც. ქვების სეტყვამ ბევრს აჭამა შიში. სტადიონიც ალადგინეს და ავტობუსიც შეაკეთეს. თითქმის ყველამ დაივიწყა ის კონფლიქტი.

პირველ წრეში „ვიტ ჯორჯიამ“ მცხეთაში 1:0 მოუგო „ბათუმს“. დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მაშინ მეტად გაახალგაზრდავებულმა სტუმრებმა.

მთლად საუკეთესო ფორმაში ვერ უხვდებიან ბათუმელები სტუმრებს. ზედიზედ ორი საშინაო მარცხი და ფრე ბოლნისში.

„ვიტ ჯორჯიამ“ „დინამოსთან“ დიდი ანგარიშით რომ წააგო, მერე მწვრთნელი შეიცვალა და მთლად ფორმის პიკზეც ვერ იმყოფება.

ფრეა ჩვენეული პროგნოზი. დანარჩენი სტუმარ-მასპინძელზე იყოს.

ინტერესი და დაძაბულობა არასდროს მოჰკლებია „სიონი“ — „კოლხეთის“ დაპირისპირებას. მათ შორის ურთიერთობების რკვევას აყალმაყალიც ხშირად მოჰყოლია. „კოლხეთი“ უფრო ხშირად გამოსულა გამარჯვებული და ხვალაც ფავორიტად ესტუმრება „თემურ სტეფანიას“.

მთლად უშანსო როდია „სიონი“. ყოფილა შემთხვევა, როცა „კოლხეთი“ წამოსულა ბოლნისიდან გულდაწყვეტილი.

პაატა ბარნოვს ვერ ათამაშებს სპარტაკ არჩვაძე. ეს ისედაც დიდი დანაკლისია „სიონის“ დაცვისთვის, რამეთუ შაკიაშვილი და ვასილ მაისურაძე ისევ ტრავმირებულები არიან.

სოსო ფილია ამაღლებული განწყობით მოდის აღმოსავლეთში. გასულ ტურში შინ ჩემპიონი წააქცია, ტრავმირებული და დისკვალიფიცირებულიც არავინ ჰყავს და გამარჯვების დიდი იმედიც აქვს.

მეტად კერკეტი კაკალია „სიონი“, თანაც ხვალ შინ თამაშობს, მაგრამ უპირატესობას მაინც სტუმრებს ვანიჭებთ.

ისევ უკოტორაშვილოდ ჩავა „დილა“ ქუთაისში და დახვდება გავეშებული „ტორპედო“. ქულის გამოყოლიების არავითარი შანსი არ არსებობს გორელებისთვის. ქუთაისური გუნდი ისეთ დღეშია, არავის დაინდობს.

ჰოდა, რუსთავის „გორდაც“ ისარგებლებს ამით და გადაასწრებს „დილას“. თუ ალადაშვილის ბიჭებს ბედმა გაუღიმათ, მაშინ უფრო წინსვლაზეც შეუძლიათ ფიქრი.

აქამდე „იბერიას“ არ მოუგია და რაღა რუსთავში გაგიჟდებიან ფრუიძის ბიჭები. თუმც მეტოქის შეუფასებლობაც ალარ ივარგებს. „იბერია“ აუტსაიდერი კია, მაგრამ ჟინიანები არიან ახალგაზრდები და ემანდ რუსთავში არ იფეთქონ. ჩვენ მაინც მასპინძელთა გამარჯვებას ვიწინასწარმეტყველებთ.

მთლად უიმედო არა, მაგრამ ცუდ დღეშია თსუ. მეექვსე ადგილოსან „მერანს“ მასპინძლობს. კოჭლაშვილი ვერ ათამაშებს დისკვალიფიცირებულ სვანაძეს და, ალბათ, ვერც მეკარე გუგუნავას. მისი მონაწილის ბარათი ფედერაციაში იყო დატუსაღებული. სხვა არჩევანი არცა აქვთ სტუდენტებს, კარში ტრავმამოუშუშებელი მამარდაშვილი უნდა ჩააყენონ.

ჯიშკარიანს გიორგი კვეტენაძე გამოაკლდება, ფოცხვერიას ტრავმას უკვე შეჩვეულები არიან.

უპირატესობა „მერანის“ მხარესაა, გასული წლის სტატისტიკაც ამაზე მიუთითებს, მაგრამ თსუ მეტად გამოუცნობი გუნდია და...

„სარბიელიც“ წლისა და საუკუნის ბოლო ანონსს გთავაზობთ. მეთვრამეტე ტურის ანონსს თებერვალი ბოლოს შემოგთავაზებთ. მანამდე კი უბრალოდ, ნახვამდის.

**მამუკა ძგანტალიანი**

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 16 | 13 | 1 | 2 | 31:7 | 24 | 40 | 8 | 7 | 0 | 1 | 19:3 | 16 | 21 | 8 | 6 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 19 |
| 2 დინამო | 16 | 12 | 1 | 3 | 43:16 | 27 | 37 | 8 | 7 | 0 | 1 | 28:6 | 22 | 21 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:10 | 5 | 16 |
| 3 ტორპედო | 16 | 11 | 3 | 2 | 23:6 | 17 | 36 | 8 | 5 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 17 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:2 | 11 | 19 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 16 | 9 | 4 | 3 | 25:11 | 14 | 31 | 8 | 6 | 0 | 2 | 11:2 | 9 | 18 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 13 |
| 5 კოლხეთი | 16 | 7 | 3 | 6 | 15:14 | 1 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 17 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:10 | -3 | 7 |
| 6 მერანი | 16 | 5 | 6 | 5 | 16:17 | -1 | 21 | 8 | 4 | 4 | 0 | 10:4 | 6 | 16 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 5 |
| 7 ბათუმი | 16 | 6 | 2 | 8 | 21:23 | -2 | 20 | 8 | 5 | 0 | 3 | 16:11 | 5 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 8 სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 12:23 | -11 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 0 | 9 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:15 | -11 | 7 |
| 9 გორდა | 16 | 3 | 6 | 7 | 13:22 | -9 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:15 | -13 | 3 |
| 10 დილა | 16 | 4 | 3 | 9 | 13:27 | -14 | 15 | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 8 | 1 | 1 | 6 | 2:15 | -13 | 4 |
| 11 თსუ | 16 | 4 | 2 | 10 | 17:31 | -14 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | -7 | 7 | 8 | 2 | 1 | 5 | 10:17 | -7 | 7 |
| 12 იბერია | 16 | 0 | 1 | 15 | 3:35 | -32 | 1 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 8 | 0 | 0 | 8 | 2:18 | -16 | 0 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 10 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 9 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 8 - იონანიძე | ტორპედო |
| გადელია | დინამო |
| 7 - ბ. ვ. მიქაძე | დინამო |
| რუსია | ლოკომოტივი |
| წუწუნავა | თსუ |
| 6 - მ. შენგელია | ლოკომოტივი |
| აფხაზავა | ბათუმი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |

# პირველხარისხოვანი საქართველოდან

## დიპლომატის ვაჟი ბეთესდა ჩევი ჩეისში ბრწყინავს

**რიქ ფრიმენი, საგანგებოდ „ვაშინგტონ პოსტისთვის“**

*ბოლო წლებში ამერიკულ პრესაში მოხვედრილი ქართული გვარ-სახელი, როგორც წესი, ან ედუარდ შევარდნაძე იყო, ანაც გიორგი მახარაძე. მას შემდეგ, რაც ქართველი დიპლომატის უნებლიე საგზაო შემთხვევას შარშან უდანაშაულო გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა, ქართველ დიპლომატთა რეპუტაციას ჩრდილი მიადგა. „ვაშინგტონ პოსტის“ საოლქო ყოველკვირეულ „მონტგომერი ექსტრაში“ დაბეჭდილი წერილი, რომელიც ჩვენებური დიპლომატის ფეხბურთელ ვაჟს ეძღვნება, აშკარად სასიამოვნო გამონაკლისია და ჩვენი ყურადღებაც იმით მიიპყრო, რომ მის გმირს მონტგომერის ოლქის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იხსენიებენ.*



რევაზ ჯებირაშვილი

**პირველად** იყო სატელეფონო ზარი. ჩვეულებრივი — მსგავსი თხოვნით მწვრთნელ რონ ფორლაინთან ადრეც დაურეკავთ.

— უცხოელი დიპლომატის შვილი ბეთესდა ჩევი ჩეისის საფეხბურთო გუნდში მოხვედრის შანსს ეძებს — ეს საკითხი ისეთივე მოსაბეზრებელი და უპერსპექტივოა, როგორც ბელტვეის მოძრაობა.

მაგრამ წლეულს ერთ-ერთმა ასეთმა ზარმა ნაყოფი გამოიღო: ესაა ბარონების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, თავდამსხმელი რევაზ ჯებირაშვილი, ვაჟი ქართველი დიპლომატისა, რომელსაც მეგობარმა უპროტექტორა.



MontgomeryExtra

— თავიდანვე მომეწონა და შევაქე — ამბობს ფორლაინი — ასეთი ზარი სხვაც ბევრი ყოფილა. თანაც ყველა ფიქრობს, რადგან უცხო ქვეყნიდანაა, შეუძლია მოედანზე ისეირნოს და მოსაწყენად ითამაშოს. უმეტესობა კი მატჩის ბოლომდე ვერც ძლებს.

მე პირველი ორი ვარჯიშის შემდეგვე შემეძლო მეთქვა, რომ ის ჩემი გუნდის ყველაზე დახელოვნებული მოთამაშეა. ბურთის მიღებისას უბადლოა, რითაც ძლიერ ჰგავს ველკროს. ამასთანავე ჯებირაშვილი ზოგ რამეში შეზღუდულიცაა, სისწრაფით არ გამოირჩევა, მაგრამ საუცხოო დრიბლიორია. ის ღვთის საჩუქრის მსგავსია“ — თვლის მწვრთნელი.

ჯებირაშვილმა ბევრი თანაგუნდელივით თამაში 11 წლისამ დაიწყო, მშობლიურ ქალაქში ორ კლუბში თამაშობდა, თბილისის „დინამოსა“ და „კავკასიონში“.

თამაშისას მისი გონება ერთი ნაბიჯით უსწრებს ზუსტ პასს, ლაპარაკი კი გაუჩერებლად შეუძლია, თუმცა ამას საკუთარ შესაძლებლობებზე სასაუბროდ არ იყენებს. იმითაც ბედნიერია, რომ ლაპარაკის უფლება აქვს — საქართველოში ფეხბურთელები მოედანზე ისევე უშუალონი არ არიან, როგორც ამერიკაში.

„მე მომწონს აქაური სტილი — ამბობს ჯებირაშვილი — მომწონს აქაურთა ქცევა. აქ მეტი თავისუფლებაა მოედანზე სასაუბროდ, შეგიძლია ყველას მიესალმო.“

საქართველოში მოედანზე ლაპარაკი დაუშვებელია, შეერთებულ შტატებში კი სავსებით მოსალოდნელი. მაგრამ ნებისმიერი ლაყბობა ერთი წლის წინ ძნელი უნდა ყოფილიყო, რადგან, როცა ჯებირაშვილი ბეთესდა ჩევი ჩეისში ჩამოვიდა, მისი ინგლისური ძლიერ შეზღუდული იყო: ორადორი სიტყვა იცოდა, „ჰაი“ და „ჰელოუ“.

ჯებირაშვილმა მხოლოდ ნიკა ჯაფარიძის დახმარებით (ისიც ქართველი დიპლომატის ვაჟია და მას ვარჯიშებისას თარჯიმნობდა) შეიტყო, რომ მდუმარე ფეხბურთელად დარჩენა კარგს არაფერს უქადდა. ანუ იქნებოდა ისეთი მოთამაშე, რომელიც იხსნება, მაგრამ არ შეუძლია თანაგუნდელს მოსთხოვოს ბურთი, ან გააგებინოს ნათქვამი.

ახლა, როცა ის ბეთესდა ჩევი ჩეისში წარჩინებით სწავლობს, ინგლისური მისთვის მეორადი საგანია. თავის დროზე ფორლაინი ასწავლიდა მეორად ენას ქუინქ ორჩარდში და იცის უცხო ენის შესწავლის სირთულეები.

„იმან, რომ ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, ვერ შეაშინა და გუნდში მოხვედრა ვერ გადააფიქრებინა. რაც ვფიქრობ, კარგად აჩვენებს, როგორი პიროვნებაა — დასძენს ფორლაინი — ჯებირაშვილის ტალანტით იოლია ნდობის მოპოვება. მას შეუძლია გახდეს ისეთივე პროფესიონალი ფეხბურთელი, როგორიც იყო მისი 34 წლის მწვრთნელი, რომელიც 1997 წელს დაეთხოვა აწ უკვე გაუქმებულ „ვაშინგტონ ვარტოგზს“.

„ვიდრე გაიცნობდეთ, ვერც კი წარმოიდგენთ, რაოდენ კარგია — ამბობს ფორლაინი, რომელიც ნახევარმცველად და მცველად თამაშობდა მერილენდის უნივერსიტეტის გუნდში — ჩინებული ბავშვია და ბევრს ვარჯიშობს, გუნდსაც ძალიან კარგად შეეწყო.“

**თარგმნა ვახტანგ ბზიკაძემ**

საქართველოს ჩემპიონატი
რეგიონული ლიგა
პირველი წრე

## სამისთვის გაზაფხულიდან

**25 და 28** ნოემბერს აღმოსავლეთ ზონაში გამოტოვებული ორი მატჩი გაიმართა და რეგიონული ლიგის საშემოდგომო ეტაპი დასრულდა. რკინიგზულ „ლოკომოტივი 3“-ს კარგი შანსი ჰქონდა, პირველი წრე პირველ ადგილზე ჩაემთავრებინა, მაგრამ სამშაბათს „ხალიბის“ ძლევა ვერ შეძლო და ურთიერთშეხვედრაში წაგების გამო ჩამორჩება „აკადემიას“. გაზაფხულიდან ამ ორ გუნდთან ერთად „ჭაბუკიანი“ და „ხალიბი“ იბრძოლებენ პირველი ლიგის საგზურისთვის. სხვებთან შედარებით ამ ოთხეულს აშკარად უკეთესი შანსი აქვს.

ცენტრალურ ზონაში პირველობისთვის „ამირანი“ და „დინამო“ იბრძვიან, ურიგოდ არც „ვიტ ჯორჯია 2“ და ს.ა. „იბერია“ თამაშობენ და ამ ზონაშიც საბოლოო გამარჯვებულის ვინაობა ამათ შორის საძიებელი.

ზუგდიდში დაბინავებულმა გალის „მზიურმა“ თერთმეტ მატჩში მხოლოდ ხუთი ქულა დაკარგა და რაღა გასაკვირია, რომ დასავლეთ ზონაში ლიდერობს, თუმც ზურგსუკან „სქურის“ და „ლაზიკას“ სუნთქვას გრძნობს და პირველ ლიგაში მოსახვედრად სწორედ მათი შეჩერება მოუწევს.

რეგიონული ლიგის ჩემპიონატი გაზაფხულზე განახლდება. მოგეხსენებათ, ამ გათამაშებას სფფ-ის დაქვემდებარებაში მყოფი რეგიონული ფედერაციები ხელმძღვანელობენ და გათამაშების კალენდარსაც მომავალ წელს ისინი შეიმუშავებენ, ჩვენ კი მოკლედ შეგახსენებთ ჩემპიონატის რეგლამენტს. მეორე ეტაპიც 11 ტურად ჩატარდება და ბოლო ზონების გამარჯვებულები ავტომატურად მოიპოვებენ პირველი ლიგის საგზურს.

**ბაატა ძმანტალიანი**

საშემოდგომო ეტაპის
საბოლოო ცხრილები

**აღმოსავლეთი**

გამოტოვებული მატჩები

25 ნოემბერი, შაბათი

**ლოკომოტივი 3 2:2 ხალიბი**

28 ნოემბერი, სამშაბათი

**თბილისი 2 1:3 ხალიბი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 10 | 7 | 2 | 1 | 22:7 | 23 |
| ლოკომოტივი 3 | 10 | 7 | 2 | 1 | 23:9 | 23 |
| ჭაბუკიანი | 10 | 7 | 1 | 2 | 29:9 | 22 |
| ხალიბი | 10 | 5 | 3 | 2 | 15:13 | 18 |
| ალაზანი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:14 | 17 |
| ცხუმი | 10 | 4 | 3 | 3 | 7:5 | 15 |
| თბილისი 2 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:19 | 11 |
| ზოოვეტი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:15 | 8 |
| სამგორი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:21 | 8 |
| ასკ | 10 | 2 | 0 | 8 | 13:27 | 6 |
| კავკასიონი | 10 | 1 | 1 | 8 | 11:33 | 4 |

**ცენტრი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:9 | 25 |
| დინამო 2 | 10 | 7 | 1 | 2 | 29:9 | 22 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 6 | 2 | 2 | 30:9 | 20 |
| ს.ა.იბერია | 10 | 5 | 4 | 1 | 23:9 | 19 |
| ვალენსია 83 | 10 | 4 | 3 | 3 | 16:15 | 15 |
| მრეტები | 10 | 4 | 2 | 4 | 10:11 | 14 |
| მესხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 7:17 | 13 |
| ოლიმპიკი | 10 | 4 | 0 | 6 | 13:9 | 12 |
| ვარძია | 10 | 2 | 2 | 6 | 6:14 | 8 |
| დილა 2 | 10 | 0 | 4 | 6 | 6:24 | 4 |
| საბურთალო | 10 | 0 | 2 | 8 | 4:39 | 2 |

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 11 | 9 | 1 | 1 | 32:14 | 28 |
| სქური | 11 | 8 | 2 | 1 | 25:8 | 26 |
| ლაზიკა | 11 | 8 | 1 | 2 | 40:18 | 25 |
| კოლხეთი 2 | 11 | 6 | 1 | 4 | 19:11 | 19 |
| ინტერი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:12 | 17 |
| ბათუმი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 16:18 | 14 |
| დინამო 2 სოხუმი | 11 | 3 | 3 | 5 | 16:18 | 12 |
| გურია 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 19:31 | 12 |
| მერცხალი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 9 |
| სამეგრელო | 11 | 2 | 3 | 6 | 10:21 | 9 |
| სალხინო | 11 | 1 | 4 | 6 | 14:25 | 7 |
| სულორი | 11 | 2 | 1 | 8 | 10:44 | 7 |


**რესტორანი მზიანი ღამე**





**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
პირველი მატჩი. 30 ნოემბერი

**რეინჯერსი (შოტლანდია) 1:0 ლაუტერნი (გერმანია) UEFA CUP**

1:0 ალბერტცი (88)
რეინჯერსი: შ. კლოსი, უილსონი, კონტერმანი, ნუმანი, ლ. ამორუზო, რეინა, რ. დე ბური (მაკანი 70), ფერგიუსონი, ალბერტცი, მოლსი (უოლესი 86), მილერი
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, იაკინი, რამზი, კომლიენოვიჩი, ჰ. კოხი, ჯორკაეფი (შტრასერი 83), გრამოცისი, ხრისტოვი, პეტერსონი, ბუკი (რაიხი 90), ლოკვენცი (კლოსე 58)
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაძევება: პეტერსონი (81)
მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
47 279 მაყურებელი

მატჩის 88-ე წუთი მიმდინარეობდა, ალბერტცმა მილერისგან ბურთი რომ მიიღო, გაისწორა და შორი მანძილიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა. სტუმართა მეკარე გეორგ კოხმა ვერაფერი გააწყო. მატჩის მიწურულს გატანილმა ერთადერთმა გოლმა შოტლანდიელთა გერმანელი ნახევარმცველი გმირად აქცია და ახალი მეტსახელიც შეარქვა — „ბრეივ ჰართი" ანუ მამაცი გული.

უეფას თასის ეს მეთექვსმეტედფინალური მატჩი დანარჩენი შეხვედრების მსგავსად გასულ კვირაში უნდა გამართულიყო, მაგრამ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ორივე გუნდის მოთხოვნას დათანხმდა და ეს დუელი ერთი კვირით გადადო.

გერმანელთა თავკაცი ანდრეას ბრემე თამაშამდე მძიმე მდგომარეობაში იყო — „კაიზერსლაუტერნს" ზედიზედ ოთხი მატჩი ჰქონდა წაგებული და მწვრთნელსაც კრიტიკა არ აკლდა, ამიტომ გლაზგოში მისი მთავარი მიზანი ამ უიღბლო სერიის დასრულება იყო. არ გამოუვიდა.

„ლაუტერნი" დამარცხდა, თუმცა არ გაუმართლაო, ვერ ვიტყვით. მთელი შეხვედრა ცალკარა იყო — „რეინჯერსი" უტევდა, „კაიზერსლაუტერნი" თავს იცავდა. და რომ არა გერმანელთა მეკარე კოხის ბრწყინვალე თამაში, საპასუხო მატჩს აზრი დაეკარგებოდა.

კოხს მესამე წუთზევე მოუხდა თავის გამოჩენა — მოლსის დარტყმის შემდეგ ტრიბუნაზე მსხდომი ქომაგები წამოიშალნენ, მაგრამ უმალ გაწბილდნენ: სტუმრები მეკარემ იხსნა. ეს არაერთხელ განმეორდა, კოხმა ალბერტცს და ფერგიუსონს ორ-ორჯერ აულო ძნელად მოსაგერიებელი ბურთი, არც ამორუზოს, მაკკენსა თუ მილერს გაატანინა. რით უპასუხა „კაიზერსლაუტერნმა" მეტოქეს ამის სანაცვლოდ? მე-7 წუთზე ჯორკაეფის აცილებულს თუ არ ჩავთვლით, ვერც ვერაფრით — „რეინჯერსის" გერმანელ მეკარე შტეფან კლოსს საქმე მთელი 90 წუთი არ მისცემია. მიუხედავად შოტლანდიელთა ასეთი დიდი უპირატესობისა, მატჩს უგოლოდ დასრულება ემუქრებოდა, მაგრამ „ბრეივ ჰართმა" სხვაგვარად ინება. გოლი რომ გავიდა, „ლაუტერნი" რიცხვნაკლული იყო მინდორზე. მსაჯმა პეტერსონს მაკკენთან უხეშობისთვის 81-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და მინდორი დაატოვებინა.

ისე, ფრანგ არბიტრ ჟილ ვესიეზე ცალკე უნდა ითქვას: 27-ე წუთზე ალბერტცის ძლიერად დარტყმული ბურთი კოხმა ვერ შეიმაგრა, მოლსი დასამატებლად წავიდა, მაგრამ მეკარემ დაასწრო, რეინჯერსელმა კი მოულოდნელად კარგი სილა გააწნა. მსაჯმა ორივეს ყვითელი ბარათი უჩვენა, არადა, გერმანულ „ბილდს" თუ ვერწმუნებით, მოლსი გასაძევებელი იყო. 30-ე წუთზე ხრისტოვმა ფერგიუსონს ჩაარტყა — მსაჯმა ვერაფერი დაინახა. ექვს წუთში გრამოცისმა თავის საჯარიმოში აშკარად ხელით ითამაშა — ყველას პენალტი ეგონა, მსაჯმა ვერაფერი დაინახა. 43-ე წუთზე პეტერსონმა ფერგიუსონს იდაყვი სახეში უთავაზა... ვესიემ ისევ ვერაფერი დაინახა. მართალია, ამ ეპიზოდებში არბიტრი დუმდა, მაგრამ აქედანაც კარგად ჩანს, რა ხდებოდა ხუთშაბათს გლაზგოს „აიბროქსზე" — გუნდები ერთმანეთს არ ინდობდნენ.

„პირველ ტაიმში გაგვიმართლა. კოხის ჩინებული გარჯა რომ არა, ცუდ მდგომარეობაში ვიქნებოდით. ახლა კი ყველაფერი წინაა" — თქვა ბრემემ ნამატჩევს. შოტლანდიელთა ჰოლანდიელმა დამრიგებელმა დიკ ადვოკაატმა კი, გერმანიაშიც თუ დღევანდელივით ვითამაშეთ, ჩათვალეთ, შემდგომ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ახლავე ცნობილიაო, განაცხადა.



რეინჯერსელი სკოტ ულსონისა (მარჯვნივ) და კაიზერსლაუტერნელი ვრატისლავ ლოკვენცის ორთაბრძოლა

# ფეხბურთელიც, მწვრთნელიც და ვიცე-პრეზიდენტიც



ენცო შიფო

**ერთი** და იგივე კაცი მწვრთნელიც იყოს და მოთამაშეც, როგორ არ გაგონილა. რაღა შორს წავიდეთ, ორიოდ წლის წინ არ იყო, ლონდონის „ჩელსის" ყოფილი იტალიელი თავკაცი ჯანლუკა ვიალი, თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო, გუნდის ლურჯ ფორმას რომ მოირგებდა და მინდორზე შეგირდების დასახმარებლად შეიჭრებოდა-ხოლმე? ანდა გიორგი ნემსაძის „დანდის" იტალიელი მწვრთნელი ივანო ბონეტი აიღეთ, ახლაც გუნდის ძირითადი შემადგენლობის ლამის უცვლელი წევრი რომაა.

აი, ერთი და იგივე კაცი მწვრთნელიც იყოს, მოთამაშეც და გუნდის ვიცე-პრეზიდენტიც, ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა. რამდენიმე თვის წინ წარსულში სახელოვანი ბელგიელი ფეხბურთელი ენცო შიფო „შარლერუას" ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. შიფოს აქტიური კარიერა დასრულებული ჰქონდა, უბრალოდ ბელგიის უმაღლეს დივიზიონში მოთამაშე კლუბის კეთილდღეობისთვის უნდა ეზრუნა. ზრუნავდა კიდეც.

ახლახან „შარლერუა" უმწვრთნელოდ დარჩა — გუნდის თავკაც მანუ ფერერას კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდა და თანამდებობა დატოვა. არადა, ფერერამ „შარლერუაში" სულ ნახევარი წელი იმუშავა. გასულ სეზონში იგი იმ დროს მივიდა, როცა ბელგიური კლუბი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი იყო. ფერერამ გუნდი გადაარჩინა, უმაღლეს დივიზიონში დატოვა, წლეულს კი შარშანდელი აუტსაიდერი ჩინებულად აათამაშა. „შარლერუა" მოწინავეთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ ფერერა მაინც დაითხოვეს. იგი თავისმა პირდაპირობამ დაღუპა: მწვრთნელი პრესასთან გუნდის შესახებ ყველაფერს ლაპარაკობდა, მოთამაშეთა ნაკლსაც არ მალავდა. კლუბის ხელმძღვანელობასაც მოთმინების ფიალა აევსო და...

ახალი მწვრთნელის ძებნას დიდი დრო არ წაულია. მაშინვე შიფო დაინიშნა.

„ბედნიერი ვარ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო საქმე ჩამაბარეს" — თქვა შიფომ მწვრთნელად არჩევის შემდეგ და იქვე ისიც დაამატა, თუ საჭირო იქნება, მზად ვარ, მინდორზეც შევიდე და ბიჭებს მაგალითი თავად მივცეო. ასე რომ, ენცო შიფო „შარლერუას" ვიცე-პრეზიდენტიცაა, მწვრთნელიც და მოთამაშეც.

## გერმანია

დღეს გერმანიის ჩემპიონატში გამორჩეული მატჩია — მიუნხენის „ბაიერნი" ლევერკუზენის „ბაიერს" მასპინძლობს. ამ მატჩისთვის ორივე გუნდი საგანგებოდ ემზადება. გასაგებიცაა, ისინი ხომ ბოლო წლებში ერთმანეთის უშუალო კონკურენტებად ქცეულან. ახლაც ასეა: „ლევერკუზენი" ლიდერია და მეოთხე ადგილზე მყოფ ბავარიელებს 5 ქულით უსწრებს.

„ბაიერნმა" ყველას უნდა უჩვენოს, რომ მისი ბოლოდროინდელი ჩავარდნა სერიოზული არ არის. „ეს კრიზისია. გუნდის შედეგითა და თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ" — ამბობს „ბაიერნის" პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი. მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის აზრით კი კრიზისამდე ჯერ შორია. ჰოდა, მას თავისი სიტყვების დამტკიცება მართებს.

ბავარიელები დღევანდელ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდებიან. ყველა ტრავმირებული თუ ავადმყოფი გამოჯანმრთელდა, მათ შორის მეჰმეტ შოლიც. ეს ამბავი ჰიცფელდს წარმატების იმედს უორმაგებს. „შოლი ძალიან დიდი ძალაა, კარგია, რომ იგი ამ პრინციპული შეხვედრისთვის მზად იქნება. „ლევერკუზენთან" ბევრი რამ გამოჩნდება. ბოლო თამაშებიდან ამას ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ" — ამბობს მწვრთნელი და დასძენს — აუცილებლად უნდა მოვიგოთ, სხვა გზა არ არსებობს".

წარუმატებლობა ქვეყნის თასზე, ხუთი მარცხი ბუნდესლიგაში და არადამაჯერებელი გამოსვლა ჩემპიონთა ლიგაში — ასეთია კლუბის შედეგი ამ სეზონში. ფრანც ბეკენბაუერმაც „ფრაიბურგთან" ბოლო ტურში დაკარგული ქულების მერე ჰიცფელდი დაიბარა და კარგა ხანს ესაუბრა, მწვრთნელმა კი ფეხბურთელებს მოუყარა თავი და, როგორც მიუნხენელთა ბაზაზე მოდარაჯე ჟურნალისტები იუწყებიან, გვარიანად შეახურა. მოკლედ, ლამისაა „ბაიერნში" საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადონ.

ახლა „ლევერკუზენის" სიახლეებზე ვთქვათ. ბერტი ფოგტსს საკლუბო ფეხბურთში დიდი გამოცდა ელის. ჩემპიონატის წინა ორი მატჩი მოიგო და გუნდი ლიდერადაც აქცია, რამაც მწვრთნელი ოპტიმისტურად განაწყო.

„ჩვენ ლიდერები ვართ, ამიტომაც მიუნხენში თავაწეულები და მხრებგაშლილები ჩავალთ" — ეს სიტყვები ფოგტსმა კვირას „კაიზერსლაუტერნთან" 4:2 მოგებული თამაშის მერე თქვა. მას შემდეგ „ლევერკუზენმა" კიდევ ერთი მატჩი გამართა და თასზე „ფრაიბურგთან" 2:3 წააგო. იმ შეხვედრაში შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონებმა ძირითადის შვიდი ფეხბურთელი დაასვენეს — „ბაიერნთან" ბრძოლისთვის ლევერკუზენელებიც საგანგებოდ ემზადებიან.

„ლიდერები რომ ვართ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, აი, მიუნხენში თუ „ბაიერნი" დავაჩოქეთ, მაშინ კი ვიამაყებთ და ვიტყვით, რომ უძლიერესი გუნდი გვყავს" — აცხადებს იენს ნოვოტნი, ლევერკუზენელთა კაპიტანი.

სტუმართა გამარჯვება ნამდვილად გმირობის ტოლფასი იქნება. აგერ უკვე ათი წელია, „ლევერკუზენს" მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" ვერ მოუგია.

„კარგი შანსი გვაქვს. მეტოქე კრიზისშია, ჩვენ კი აღმავლობას განვიცდით, ამიტომაც უნდა მოვიგოთ" — იმედოვნებს „ლევერკუზენის" მთავარი ბომბარდირი ულფ კირსტენი.

## იტალია

### თასის მეოთხედფინალი
### პირველი მატჩი
### ფიორენტინა 6:0 ბრეშა

1:0 ლეანდრო (29), 2:0 ბრეშანი (35), 3:0, 4:0 კიეზა (40, 56), 5:0 ლეანდრო (66), 6:0 რუი კოშტა (74)
ფიორენტინა: ტოლდო, პიერინი, რეპკა, ტორიჩელი (ადანი 78), ვანოლი, დი ლივიო, ბრეშანი, როსიტო, რუი კოშტა (მარკო როსი 74), კიეზა (მიატოვიჩი 74), ლეანდრო
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, მერო, ბონერა, კორეა (ფ. გალი 67), ორლანდინი (რ. ბაჯო 46), ბიზოლი, ე. ფილიპინი, კოზმინსკი, უბნერი, გონსალესი (მარინო 61)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: რეპკა
12 000 მაყურებელი

## ჰოლანდია

### გადადებული მატჩი
### აიაქსი 3:0 ვალვაიკი

1:0, 2:0 მახლასი (9, 52), 3:0 არველაძე (87)
აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო, პასანენი, კნოფე (სიერი 30), დე კლერი, ვინტერი, გალაშეკი, ვიჩგე (ვან დერ მეიდე 62), ვან დერ გუნი, მახლასი, ვამბერტო (შ. არველაძე 62)
მწვრთნელი: კო ადრიანსე
30 543 მაყურებელი

## ბრაზილია

### ჩემპიონატის მერვედფინალი
საპასუხო მატჩი
### პალმეირასი 2:1 სან პაულუ (1:1)
### ჩემპიონატის მეოთხედფინალი
პირველი მატჩი
### გრემიო 2:1 სპორტ რესიფე

## ირლანდია

### ლიგის თასის ნახევარფინალი

სენტ პატრიკსი — ფინ ჰარპსი 2:1; უნივერსიტი კოლეჯი — ლიმერიკი 4:0

## იუგოსლავია

მე-15 ტური: პარტიზანი — ჩუკარიჩკი 6:2; რადნიჩკი (ნიში) — ოფკ 2:1; ჰაიდუკი — ზემუნი 2:0; ობილიჩი — ვოივოდინა 3:1; ნაპრედაკი — ცრვენა ზვეზდა 1:2; ბუდუჩნოსტი — რადი 2:1; რადნიჩკი (კრაგუევაცი) — ზეტა 5:0; ჟელეზნიკი — მილიციონარი 2:0; სარტიდი — სუტიესკა 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 14 | 12 | 0 | 2 | 43:12 | 36 |
| ცრვენა ზვეზდა | 14 | 11 | 3 | 0 | 34:6 | 36 |
| ობილიჩი | 15 | 9 | 3 | 3 | 24:16 | 30 |
| ოფკ | 15 | 8 | 2 | 5 | 23:16 | 26 |
| სარტიდი | 15 | 7 | 2 | 6 | 22:23 | 23 |
| ჰაიდუკი | 15 | 6 | 4 | 5 | 24:13 | 22 |
| ჟელეზნიკი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:24 | 21 |
| მილიციონარი | 15 | 6 | 2 | 7 | 14:16 | 20 |
| კრაგუევაჩი | 15 | 6 | 1 | 8 | 16:26 | 19 |
| ვოივოდინა | 15 | 5 | 3 | 7 | 16:15 | 18 |
| ზეტა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:23 | 18 |
| რადი | 15 | 5 | 2 | 8 | 18:26 | 17 |
| ჩუკარიჩკი | 15 | 5 | 2 | 8 | 20:32 | 17 |
| სუტიესკა | 14 | 5 | 2 | 7 | 14:28 | 17 |
| ბუდუჩნოსტი | 15 | 5 | 1 | 9 | 13:20 | 16 |
| ზემუნი | 15 | 3 | 6 | 6 | 14:21 | 15 |
| ნიში | 14 | 3 | 3 | 8 | 13:24 | 12 |
| ნაპრედაკი | 15 | 3 | 3 | 9 | 11:23 | 12 |

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

მე-5 ტური: მტკ — ვაშაში 1:0; ტატაბანია — დებრეცენი 3:2; უიპეშტი — ფერენცვაროში 0:1; დუნაფერი — ჰონვედი 0:3; დიორ ეტო — ვიდეოტონი 2:1; ზალაეგერსეგი — შოპრონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 5 | 3 | 2 | 0 | 8:0 | 15 |
| მტკ | 5 | 2 | 3 | 0 | 6:2 | 15 |
| უიპეშტი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:6 | 14 |
| დუნაფერი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:9 | 14 |
| ვიდეოტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 12 |
| დიორ ეტო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 11 |
| ვაშაში | 5 | 2 | 0 | 3 | 4:5 | 10 |
| ტატაბანია | 5 | 1 | 1 | 3 | 6:14 | 10 |
| ჰონვედი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:8 | 8 |
| შოპრონი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| დებრეცენი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:13 | 6 |
| ზალაეგერსეგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 5 |

# დუბაისკენ ჰერი-ჰერი

**გერმანელი** ლოთარ მათეუსი აქტიურ საფეხბურთო კარიერას ექვს თვეში არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დაასრულებს. მართალია, 39 წლის ვეტერანს კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მოუწერია, მაგრამ არაბთა შემოთავაზებულ პირობებზე დიდხანს იფიქრა და გადაწყვიტა დათანხმებოდა. ეს ამბავი საზოგადოებას თავად მათეუსმა ტელეკომპანია „პრემიერ ვორლდის" საშუალებით ამცნო.

ბოლო დროს გერმანელი ვეტერანი, გეცოდინებათ, ამერიკაში თამაშობდა, ნიუ იორკის „მეტროსტარზის" ღირსებას იცავდა. ამ გუნდში იგი მიუნხენის „ბაიერნიდან" გაზაფხულზე გადავიდა და ექვსთვიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც ნოემბრის ბოლოს დაუსრულდა. მათეუსიც თავისუფალი აგენტი გახდა. „მეტროსტარზმა" გერმანელს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ გერმანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა იუარა და სამშობლოში დაბრუნდა.

მათეუსს ვერ გადაეწყვიტა, ბუცები კედელზე ჩამოეკიდა, თუ კარიერა გაეგრძელებინა — მას სამხრეთ კორეის ეროვნული გუნდის მწვრთნელობაც შესთავაზეს, რაზეც უარი განაცხადა. მანამდე გუნდის გაძღოლა მისმა ყოფილმა კლუბმა მილანის „ინტერმაც" შესთავაზა — სანამ გერმანელი ფიქრობდა, იტალიური გუნდი მარკო ტარდელიმ ჩაიბარა. დიდი ფეხბურთელიც პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, მაგრამ ცოტა ხნით.

რამდენიმე დღის წინ მას საამიროების კლუბი „დუბაი" დაუკავშირდა და იქ გადასვლა შესთავაზა. მათეუსმა ყველაფერი კარგად აწონ-დაწონა და...

გუშინ მათეუსი ნიუ იორკში გაფრინდა, სადაც თავისი ნივთები უნდა შეკრას და ალბათ დუბაიში ჩაიტანოს.



ვანდერლეი ლუქსემბურგო: გავყიდე მანქანა, ვიშოვე მილიონი



ტოსტაოს დროს სხვანაირ ფეხბურთს თამაშობდნენ

# სულელი ხარ? ციხეში! არ ხარ? მაინც ციხეში!

## ყველას მოგვეკითხებათ!

**თითქმის** დღე არ გადის, ბრაზილიურ ფეხბურთში ატეხილი სკანდალის თაობაზე რომ არ დავწეროთ. იქაურ კონგრესმენთა მიერ შექმნილი სპეციალური საგამოძიებო კომისია ისეთი მონდომებით მუშაობს, რომ სათქმელი არ ილევა.

ოთხშაბათს აღნიშნული კომისიის წევრი ალვარო დიასი ახალი ინიციატივით გამოვიდა და მის დაკანონებასაც ცდილობს. კანონ-პროექტის არსი ასეთია: თუ კლუბის პრეზიდენტი ბევრ ფულს დახარჯავს, რითაც კლუბს ვალებში ჩააგდებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უნდა მიეცეს და შესაბამისად, გისოსებს მიღმა აღმოჩნდეს. და რაც მთავარია, არა აქვს მნიშვნელობა, მან შეგნებულად შეჭამა ფული თუ საკუთარი უგუნურობით რაღაც ვერ გათვალა. „ასეთ რადიკალურ ზომებს თუ არ მივმართეთ, ბრაზილიურ ფეხბურთს არაფერი ეშველება — ამბობს დიასი — აბა, რა გამოდის: ჩვენს ფეხბურთში უზარმაზარი ფული ტრიალებს, კლუბებს კი უჭირთ და ბიუჯეტშიც კაპიკი არ შედის".

ახალი კანონის მიღებამდე კომისიამ ძიების საქმეში ერთი ნაბიჯით წინ წაიწია — ვანდერლეი ლუქსემბურგო დაკითხა. თუმცა იქამდე უზარმაზარი მოცულობის სამუშაოს შესრულება გახდა საჭირო. ხუმრობა ხომ არაა — ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ოცდაათ სხვადასხვა ბანკში აქვს ანგარიშები. კომისიის წევრებმა ლუქსემბურგოს ფული დაუთვალეს, მერე საშემოსავლო დეკლარაციებსაც გადახედეს და ჰკითხეს: 1995-99 წლებში თქვენი რეალური შემოსავალი 9 554 353 დოლარია, დეკლარაციებში კი მხოლოდ 4 316 552 გაქვთ ნაჩვენები. სხვაობა ხუთ მილიონზე მეტია. ამ შეუსაბამობას როგორ ახსნით?

ლუქსემბურგომ დიდხანს ილაპარაკა, თუმცა სათქმელის ერთ წინადადებაში ჩატევა შეეძლო. პატიოსანი კაცი ვარ და ფულიც პატიოსანი შრომით მაქვს ნაშოვნი — ამ აზრს ატრიალებდა ის სხვადასხვა სიტყვებით, კონკრეტულად თანხების წარმოშობაზე კი ბევრი არაფერი უთქვამს. ჩემი ბიზნესი მქონდა, მანქანებს ვყიდიდიო. კომისიაც მაინცდამაინც არ ჩაძიებია, თუმცა ლუქსემბურგოს არაკორუფციულობაც არ ირწმუნა. ალვარო დიასმა შენიშნა, ნეტავ, როდის რჩებოდა მწვრთნელს მანქანებით ვაჭრობის დრო, თან ამხელა ფულსაც შოულობდა და თუნდაც ასე იყოს, რატომ ავიწყდებოდა სისტემატურად დეკლარაციაში ამის ჩაწერაო. შეგახსენებთ, რომ ყოფილ მწვრთნელს კლუბებში მუშაობისას ტრანსფერებიდან წილების მიღებაში, ხოლო ნაკრებში ყოფნისას გარკვეული გასამრჯელოს ფასად ფეხბურთელთა ეროვნულ გუნდში აყვანაში ადანაშაულებენ.

ლუქსემბურგოს „ნაიკთან" ურთიერთობის თაობაზეც ჰკითხეს. „სპონსორთან ფაქტობრივად ურთიერთობა არ მქონია — იყო პასუხი — თუ არ ვცდები, „ნაიკის" წარმომადგენლებს ერთადერთხელ შევხვდი. ფედერაციის წარმომადგენლების თანდასწრებით რამდენიმე ამხანაგური მატჩის ორგანიზება შემომთავაზეს, რომლებიც მათ სარეკლამო კამპანიას წაადგებოდა. მაგრამ მე რა საქმე მაქვს რეკლამასთან? ჩემთვის ამხანაგური მატჩი ფეხბურთელთა შემოწმების, ტაქტიკის დამუშავებას ნიშნავს. სხვა არაფერი მაინტერესებს".

ბოლოს ლუქსემბურგომ მადლობაც გადაუხადა კომისიის წევრებს: „თავისთავად დაკითხვა არასასიამოვნო პროცედურაა, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება მომეცა, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აი, უკვე რამდენი თვეა, ბრალდებებს მიყენებენ და პასუხის გაცემის საშუალებასაც არ მაძლევენ. გმადლობთ, რომ თავის მართლების შესაძლებლობა მომეცით, მე ხომ ვიცი, რომ მართალი ვარ და და დარწმუნებული ვარ, თქვენც დამიჯერებთ".

## ვერ ართმევ? წააქციე!

ამასობაში კი ბრაზილიელებმა ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარეს: სტატისტიკოსებს დაუთვლიათ, რომ ჟოაო აველანჟის თასზე ერთ მატჩში საშუალოდ 55-ჯერ ინიშნება ჯარიმა, ხოლო „გრემიო" — „პონტე პრეტას" შეხვედრაში არბიტრმა 74-ჯერ ჩასტვინა. ამის თაობაზე სან პაულუს გაზეთ „ფოლიაში" ოდინდელი მსოფლიოს ჩემპიონი ტოსტაო წერს: „ბრაზილიურ ფეხბურთში უხეშობის რეკორდი დამყარდა. მისი გაუმჯობესება შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 90 წუთში მეტს ვერ მოასწრებენ. ეს ძალიან სამწუხარო რეალობაა. მწვრთნელები მხოლოდ მოგებაზე ფიქრობენ და თამაშის ხარისხი სრულიად არ ადარდებთ. ისინი პირდაპირ ავალებენ ფეხბურთელებს, რომ მეტოქე დაამტვრიონ. მერე ეს ფეხბურთელები უცხოეთში მიდიან და უსუსურად თამაშობენ, რადგან ჩეხვის მეტი არაფერი იციან. ბრაზილიური ფეხბურთის დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა". ტოსტოს სიტყვების სიმართლეს ადასტურებს „კრუზეიროს" მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარიც. მან აღიარა, რომ თავის შეგირდებს მატჩის წინ ეუბნება, ჯარიმებს არ მოერიდოთო. მანვე თქვა, მე კიდევ პატიოსანი კაცი ვარ, რადგან აღიარების არ მრცხვენია, სხვა მწვრთნელებს კი თავი უცოდველად მოაქვთ, თუმცა იგივეს აკეთებენო.

უხეშობამ რომ არნახულ დონეს მიაღწია, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამაც განაპირობა: ადრე ფეხბურთელს სამი ყვითელი ბარათის მიღების შემდეგ ეძლეოდა დისკვალიფიკაცია, ამ სეზონში კი ხუთი გაფრთხილების შემდეგ ისჯება.

## ამ დროს ურუგვაიში...

ეს რაოდენობა, ახლა ხარისხზეც ვთქვათ. ამისთვის ბრაზილიიდან მეზობელ ურუგვაიში გადავინაცვლოთ. კვირას ურუგვაიში დიდ დერბი გაიმართა — „პენიაროლი" „ნასიონალს" შეხვდა. კლაუსურას დასრულებამდე სამი ტური რჩებოდა, ორივე გუნდი დაუმარცხებელი იყო და „პენიაროლი" ორი ქულით უსწრებდა „ნასიონალს", რომელსაც აპერტურა მოგებული აქვს.

შეხვედრა 1:1 დასრულდა და ყველაზე საინტერესო ამბები ამის მერე დაიწყო. იმის ნაცვლად, რომ გასახდელში გასულიყვნენ, ორივე გუნდის მოთამაშეები და მწვრთნელები მოედნის ცენტრში შეიკრიბნენ და მცირედი სიტყვიერი კინკლაობის მერე ცემა-ტყეპაზე გადავიდნენ.

კარგი ჩხუბი იყო. ზოგიერთები ტაისონისა და ლუისის ერთი მუშტის მოქნევის სანახავად ათასობით დოლარს იხდიან და მონტევიდეოს სტადიონზე შეკრებილმა 60 ათასმა კაცმა ჯიგრიანი ჯგუფური ჩხუბი იხილა (თან უფასოდ!)

დასასრული ყველაფერს აქვს და ეს აყალმაყალიც რის ვაი-ვაგლახით ჩაცხრა, ხალხი დაიშალა. მეორე დღეს კი პენიაროლელებს, ფედერიკო ელდუაიენს, ხოსე დე ლოს სანტოსს, დარიო როდრიგესს, მარსელო დე სოუსას, ფაბიენ კესაროს, მარტინ გარსიას და ნასიონალელებს, რიჩარდ მორალესს, მარკო ფანტინის და მარიო რეგუეიროს შინ პოლიციელები დაადგნენ და ერთი მიმართულებით წაიყვანეს. მოგვიანებით „ნასიონალის" მწვრთნელმა პენიაროლელი კოლეგა რიბასი დაასმინა, ეგ იყო ჩხუბის მოთავეო და რიბასსაც მიაკითხეს. დაკავებულები ეროვნული გუნდის მწვრთნელმა დანიელ პასარელამ მოინახულა, რადგან ნაკრების წევრები არიან.

მოკლედ, ათი კაცი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. მოსამართლეს უთქვამს, ათივეს გავუშვებ თავდებით, მაგრამ ეს საქმე 10 დეკემბრამდე არ მოგვარდებაო.

ორი კვირით საკანში ჯდომას მოჩხუბარნი როგორმე აიტანენ, მაგრამ კლუბებს უამათოდ რა ეშველებათ, საკითხავი, აი, ეს არის — იმ დროისთვის ურუგვაიში კლაუსურაც დასრულდება. ისე, ერთი უცნაური ამბავიც ვთქვათ. „ნასიონალმა" იკითხოს, თორემ 6 ფეხბურთელის და მწვრთნელის გარეშე დარჩენილმა „პენიაროლმა" ოთხშაბათს ბოლოსწინა ტურში გასვლაზე 4:0 მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელთა მასობრივმა დაკავებამ თავად ურუგვაელები არ გააკვირვა, რადგან ასეთ რამეებს მიჩვეულნი არიან.

წინა სეზონში მოხდა, მერკოსურის თასზე „პენიაროლი" ბრაზილიურ „ფლამენგოს" რომ მასპინძლობდა და მატჩის შემდეგ შედეგით უკმაყოფილო მასპინძლებმა სტუმრებზე გაიწიეს. ბრაზილიელებს ჩემპიონატში აქვთ დიდი გული, თორემ 11 გაცოფებული ურუგვაელის დანახვაზე გასახდელისკენ თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ. ვერ გაასწრეს — პენიაროლელები დაეწივნენ და სამი მათგანი გემრიელად სცემეს. მაშინ ფეხბურთელებმა სამიდან ათ მატჩამდე დისკვალიფიკაციები მიიღეს.

უფრო ძველი ამბავიც გავიხსენოთ: ათი წლის წინ ისევ „პენიაროლი" — „ნასიონალის" მატჩის შემდეგ ატეხილი ჩხუბის გამო... 21 ფეხბურთელი დაისაჯა.

**გიორგი დარჯანია**

# დიეგო ჩვეულ სტიქიაშია

**სასეირო** ამბების მოყვარული თუ ბრძანდებით და ყურს მოჰკრავთ, მარადონა ინტერვიუს იძლევაო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ აუცილებლად გაგახალისებთ.

დიეგო არმანდოს ინგლისური „დეილი მეილის" რეპორტიორი შეეხმიანა და ასეთი რამ მოისმინა:

— ჩემი ნარკომანობა წარსულს ჩაბარდა და გამორიცხულია, კიდევ შევცდე. ახლა ვვარჯიშობ და ყველას დავუმტკიცებ, რომ ჯერაც ის მარადონა ვარ, დიდი დიეგო. ერთ რამესაც გეტყვით: ნაკრებში უნდა დავბრუნდე, ოღონდ დიდი ხნით არა — ერთი მატჩის გამართვა მინდა. თან ეს ძალიან მაგარი თამაში უნდა იყოს. მომავალ სექტემბერში არგენტინა ბრაზილიას ხვდება, სწორედ საჩემო მატჩია.

„დეილი მეილის" კორესპოდენტს მარადონასთვის მოუსმენია, თავისთვის ჩაუცინია და საუბრის დასრულებისთანავე არგენტინის ფეხბურთს ფედერაციაში დაურეკავს, მარადონა ასეთ რამეს ამბობს და თუ შეიძლება, თქვენი კომენტარიო.

რეპორტიორს იმედი გაუცრუვდა. დარწმუნებული იყო, რომ ეტყოდნენ, მარადონა ხომ ცნობილი გიჟია და ჩვენც გიჟები ხომ არ ვართ, რამდენჯერაც რაღაც სისულელეს იტყვის, კომენტარი გავუკეთოთო. ამის ნაცვლად რეპორტიორს უთხრეს, აბა, რა გითხრათ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება და ეგებ მართლაც ითამაშოსო.

მარადონას ნაკრებში დაბრუნებას მაინცდამაინც ნუ ვირწმუნებთ, მაგრამ აღვნიშნოთ — თუ ქვეყანა არ დაინგრა, გაისად სექტემბრამდე ბრაზილიასაც და არგენტინასაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა განაღდებული უნდა ჰქონდეთ და სატურნირო თვალსაზრისით არაფრისმომცემ მატჩში მარადონამ რომ ითამაშოს, არაფერი დაშავდება. ისევე, როგორც პასარელამ, ბერტონიმ, კემპესმა...

## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანური** „რაიო ვალეკანო" „დეპორტივოს" თავდამსხმელ ივან პერეს მუნიოსს ყიდულობს. ფეხბურთელი გალისიურ კლუბში ირიცხება, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში საერთოდ არ თამაშობს. იუწყებიან, რომ მადრიდული კლუბი 24 წლის ფორვარდის სანაცვლოდ „დეპორტივოს" 400 ათას გირვანქას უხდის. ტრანსფერი სავარაუდოდ დეკემბრის მეორე ნახევარში განხორციელდება, როცა ესპანეთში სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. „თამაში მინდა, ამიტომ კლუბის გამოცვლას ვაპირებ" — განაცხადა მუნიოსმა, რომელსაც ადრე „ბეტისისა" და ფრანგული „ბორდოს" ღირსება დაუცავს, ხოლო „დეპორტივოსთან" კონტრაქტი 2004 წლამდე აკავშირებს.

**ფრანგმა მცველმა ფილიპ მექსმა, შესაძლოა, კარიერა „რომაში" გააგრძელოს. კლუბის თავკაცმა ფაბიო კაპელომ საფრანგეთში სელექციონერები გაგზავნა, რათა ისინი „ოსერის" 18 წლის მოთამაშეს დააკვირდნენ. თუმცა რომაელებს უკვე კონკურენტებიც გამოუჩნდნენ — „მილანი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „იუვენტუსი". „ფილიპი ალექს ფერგიუსონმა ინგლისში მიიწვია, მისი თამაშის სანახავად მილანიდანაც ჩამოვიდნენ, თუმცა მცველი ჯერჯერობით „ოსერში" დარჩება. ჩვენ დრო გვჭირდება, რათა საუკეთესო ვარიანტი შევარჩიოთ" — განაცხადა ახალგაზრდა ფრანგის აგენტმა.**

**ინგლისელ** მცველ გარეთ საუთგეიტს „ვესტ ჰემი" იწვევს და „ასტონ ვილას" სანაცვლოდ 8 მილიონ გირვანქას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს ადრე სხვა კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ბირმინგელებმა არავის დაუთმეს. „ვესტ ჰემის" თავკაც ჰარი რედნაპს კი „აპტონ პარკზე" გამოცდილი მცველის მიყვანა სურს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რიო ფერდინანდი „ლიდსში" 18 მილიონ გირვანქად გაყიდა.

**პარაგვაელ ფორვარდ მიგელ ანხელ ბენიტესს მუხლის რთულმა ტრავმამ ცხრა თვე გააცდენინა. ახლა მან ვარჯიში დაიწყო და „ესპანიოლს" სავარაუდოდ იანვრიდან დაეხმარება. „დიდი ხნის უთამაშებლობის შემდეგ ფორმიდან ამოვვარდი. ექიმები შიშობდნენ, ვაითუ საერთოდ დამესრულებინა კარიერა, მაგრამ საბედნიეროდ, გადავრჩი" — განაცხადა 30 წლის ფეხბურთელმა, რომელმაც ტრავმა თებერვალში, მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ პრიმერადივიზიონის რიგით შეხვედრაში მიიღო.**

**ესპანელმა** ნახევარმცველმა გაბრი გარსიამ, შესაძლოა, მალე „ბარსელონა" დატოვოს. 21 წლის ფეხბურთელს კატალონიელთა მწვრთნელი ლორენს სერა ფერერი ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებს, ხოლო „მარსელში" მას ახალდანიშნული მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ეპატიჟება. არ გამორიცხავენ, რომ ნახევარმცველი „ბარსელონამ" სეზონის ბოლომდე საფრანგეთში გაანათხოვროს. გაბრი კატალონიურ კლუბში ორი წლის წინ გამოჩნდა. იგი ლუის ვან გაალმა აღმოაჩინა, თუმცა მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელი „ბარსელონადან" გაუშვეს, გაბრიც თითქმის აღარ თამაშობს.

**ბრაზილიელი ფორვარდი მარიო ჟარდელი „ჩელსიში", ალბათ, არ გადავა და თუ „გალათასარაი" მაინც დატოვა, სავარაუდოდ „ბენფიკას" მიაშურებს. ლონდონურმა კლუბმა ჟარდელის მიმართ ინტერესი მას შემდეგ გამოთქვა, რაც ტორე ანდრე ფლო „რეინჯერსში" გაყიდა. კლაუდიო რანიერიმ „სელტას" ყოფილ ფორვარდ ხაიმ რევივოსაც დაადგა თვალი. ეს ფეხბურთელი ახლა „ფენერბაჰჩეში" თამაშობს. იუწყებიან, რომ ლონდონურმა კლუბმა სტამბოლელებს სანაცვლოდ 7 მილიონი დოლარი შესთავაზა.**

**ირლანდიელი** ნახევარმცველი ლი კარსლი „ქოვენთრიმ" პირველდივიზიონელ „ბლექბერნიდან" შეიძინა და მასთან ოთხწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის კარსლი „ბლექბერნმა" შარშან მარტში „დერბიდან ქაუნთიდან" გადაიბირა და სანაცვლოდ 4,9 მილიონი დოლარი გადაიხადა. „პრემიერლიგაში მსურს თამაში, „ქოვენთრი" კი კარგი გუნდია. ვიმედოვნებ, მათ მალე შევეწყობი" — განაცხადა ირლანდიელმა.

**ინგლისელი ნახევარმცველი დევიდ ბეტი „ლიდსს" გაცილებით ადრე დაუბრუნდება, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო: პირველ მატჩს იგი სარეზერვო გუნდში დეკემბრის შუა რიცხვებში ჩაატარებს. ბეტი შარშან ნოემბერში დაშავდა. ექიმების ვარაუდით, მას ეს სეზონიც უნდა გამოეტოვებინა, მაგრამ ადრე გამოჯანმრთელდა. „დევიდის დაბრუნება ძალიან სასიხარულოა. ვიმედოვნებ, რომ იგი ძირითად შემადგენლობაშიც მალე ითამაშებს" — განაცხადა ლიდსელთა თავკაცმა დევიდ ოლირიმ.**

**ფრანგი** ნახევარმცველი დიდიე დეშამპი ტრავმის გამო იანვრამდე ვერ ივარჯიშებს. ექიმები ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მოედანს დეკემბრის დასაწყისში დაუბრუნდებოდა, მაგრამ მკურნალობის კურსი გაჭიანურდა. დეშამპმა „ჩელსიდან" „ვალენსიაში" გადასვლის შემდეგ უკვე მეორე ტრავმა მიიღო, პირველად იგი სექტემბერში დაშავდა და ერთი თვე გამოტოვა.

**შოტლანდიური „აბერდინის" დირექტორი კიტ ბარკინშოუ დაკავებული პოსტიდან გადადგა, თუმცა კლუბში სხვა თანამდებობაზე იმუშავებს. მისი განცხადებით, სურს, ოჯახს უფრო მეტი დრო დაუთმოს. „ტოტენჰემისა" და ლისაბონის „სპორტინგის" ყოფილი მწვრთნელი ედინბურგულ კლუბში 1997 წლის მაისის შემდეგ მოღვაწეობს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ფიგუ?

**ვინ** გამოცხადდება „ფრანს ფუტბოლის“ წლევანდელ ლაურეატად?

„ოქროს ბურთის“ წლევანდელი მფლობელის ვინაობა ექსშვიდ კაცში ტრიალებს. ყოველთვის ასეა. და ამათ შორის პირველ რიგში დაასახელებენ ხოლმე ლუიშ ფიგუს, რივალდოს, ზინედინ ზიდანს, დევიდ ბექემს... წლეულს უთუოდ დაემატება ტიერი ანრი და ტრადიციულად იქნებიან რაული და გაბრიელ ბატისტუტა.

ევროპელ ფეხბურთზე მწერალთა უმრავლესობას უკვე გაუგზავნია თავისი ხუთეული განთქმული ფრანგული ჟურნალისათვის. ჩვენთვის ეს სია რომ დავამცროთ მათი აზრების გამოთვლის ხარჯზე, ხელში უფრო ფიგუ შეგვრჩებოდა და აი, რატომ. რივალდო შარშან იყო საუკეთესო და წელს შარშანდელზე უკეთესი არ ყოფილა. ზიდანმა ევრო 2000-ზე იფრინა, მაგრამ „იუვეში“ ბევრი არაფერი, თანაც წითელი ბარათის შეგროვება დაიწყო. ბექემი შარშან მეორე იყო, წელს კი შარშანდელზე უკეთესი ეგებ იყოს კიდეც, მაგრამ მის კლუბს და ნაკრებს საერთაშორისო არაფერი მოუგია. რაული საუცხოოა, მაგრამ ათი წელიწადია საუცხოოა ბატისტუტაც, მაგრამ... ისინი, რატომღაც ყოველთვის განზე რჩებიან. ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის ბრწყინვალენი არიან, მაგრამ ხან თავად წაუცდებათ ფეხი (როგორც რაულს ევროპის ჩემპიონატზე) და ხანაც კლუბია („ფიორენტინა“) საშუალო.

ტიერი ანრი ფრინავს: „არსენალში“ და ნაკრებში მისი თამაში სამაგალითოა, მაგრამ ფიგუს თუ დავუყენებთ გვერდით, მივხვდებით, რომ მას ხმაური არ სდევს თან. ანუ, ქარიზმატული არ გახლავთ.

ფიგუ კი: ყველაზე ძვირია, ნაკრებშიაც ყველაფერი იყო, „ბარსაშიც“ და „რეალსაც“ მოერგო. ფიგუ ფიგუა. წელს თამაშითაც წინ იყო და ხმაურითაც, ასტრონომიულ ტრანსფერზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამიტომ, უფრო ფიგუსკენ წავიწეოდით.

რა თქმა უნდა „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვა იმგვარია, რომ „ოქროს ბურთს“ ვერასოდეს მოიგებენ როი კინი, ფრანჩესკო ტოლდო, ედგარ დავიდსი და უჩინარი ფრონტის სხვა მსახურნი, ვთქვათ, მარსელ დესაი. ასე რომ, ამ ერთგვარად ზედაპირული გამოთვლების მიხედვით, ეგებ სწორადაც ვმსჯელობთ.

ფიგუ–

ვითომ გამოვიცანით?

# ტატუ ჰინდიზე

**ძალიან** მარტივი კითხვა დავსვათ: თუ დევიდ ბექემმა 24 წლის ასაკში პირველი სვირინგი ამოიტვიფრა, 25 წლისამ — მეორე და ყოველწლიურად ასე განაგრძო, რამდენი წლისას აღარ ექნება სხეულზე თავისუფალი ადგილი?

პასუხი ზუსტი რომ გამოვიდეს, უნდა ვიცოდეთ: მათემატიკა, შესასწავლი ობიექტი ზომებში (სიმაღლე, წელის ზომა და ასე შემდეგ) და თავად სვირინგების მოცულობა (კვადრატულ სანტიმეტრებში). რაკი რიგი მიზეზების გამო ყველაფერ ამაზე ოდენ მიახლოებითი წარმოდგენა გვაქვს,


THE SUN
მთავარია ყურადღება ბექემის მარცხენა ხელს მიაპყროთ

სავარაუდოდ, პასუხად 40-45 წელი ვთქვათ და იმაზე ვისაუბროთ, რაც ზუსტად ვიცით.

ზუსტად კი აი, რა ვიცით: ორიოდე დღის წინ დევიდ ბექემი და ვიქტორია ადამსი ლონდონში, მოდურ კლუბ „რედ კლუბში“ მივიდნენ, სადაც პოშ-სპაიზის და ლუსი დაბადების 24-ე წლისთავს აღნიშნავდა. მისის ბექემის კაბის სიგრძეზე აქ ნუ შევჩერდებით, რაკი საუბრის თემა ეს არაა.

ვიქტორიას ფეხებიდან მზერა დევიდის მარცხენა ხელზე გადავიტანოთ, სადაც უცნაური იეროგლიფებია ამოსვირინგებული. უფრო გულდასმით თუ დავაკვირდებით და აზიურ დამწერლობებში ოდნავ მაინც ვართ განსწავლული, მივხვდებით, რომ წარწერა ჰინდიზეა შესრულებული და იეროგლიფებთან საერთო არაფერი აქვს.

ახლა ის გამოვიცნოთ, ჰინდიზე ეს საკმაოდ გრძელი წარწერა რას ნიშნავს. ლოგიკურ ჯაჭვს მივყვეთ: ა) ბექემის პირველი სვირინგი (წელზე) გვამცნობს, რომ მის შვილს ბრუკლინი ჰქვია და ბ) ფეხბურთელს არაერთხელ უთქვამს, რომ ცოლის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია, ახალი ტატუთი ხელდამშვენებული პირველად ვიქტორიასთან ერთად გამოჩნდა საზოგადოებაში და ის ხელიც მისთვის ჩაუჭიდია. ლოგიკა გვკარნახობს, რომ ბექემს სწორედ „ვიქტორია“ ამოუსვირინგებია ხელზე და არა სხვა რამ.

„დიდებულია, დიდებული — აღფრთოვანებას ვერ მალავს ავი მისრა, მანჩესტერის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც ინგლისში აღმოსავლურ ენათა უდიდეს სპეციალისტად ითვლება — ჰინდიზე ვიქტორიას დაწერა იოლი საქმე არ გეგონოთ, რაკიღა...“ აქ პროფესორს ინგლისელთა და ინდუსთა გამოთქმის თავისებურებებზე, სინტაქსზე, მორფოლოგიაზე და ენათმცოდნეობის რამერუმეებზე გაუგრძელებია საუბარი, რაც მის გარდა ვერავინ გაიგო.

ცოტათი უფრო გასაგებად ილაპარაკა ლუის მელოიმ, სვირინგების მოხატვაში ისეთივე ჯადოქარმა, როგორიც ენათმეცნიერებაში პროფესორი მისრაა — ბექემის ტატუც სწორედ მისი ნახელავია: „ძალიან ძნელი სამუშაო იყო. ინდუსებს სახელი „ვიქტორია“ არა აქვთ და უბრალოდ ასოებს თუ დავწერთ, სხვა ჟღერადობის სიტყვებს მივიღებთ, ამიტომ ბექემს ისეთი ასოთშეთანხმება ამოვუსვირინგე, რომ წაკითხვისას „ვიქტორია“ გამოსულიყო“.

ბექემმა კი თქვა, თავდაპირველად მინდოდა, წარწერა არაბულად შესრულებულიყო, მაგრამ ინდური მოხაზულობები უფრო მეამა და ასე გადავწყვიტეო. და რატომ არა ინგლისურად? თურმე დევიდი და ვიქტორია დიდი ესთეტები ყოფილან და ჩაუთვლიათ, ყველა წარწერის ერთ, მშობლიურ ენაზე ამოსვირინგება ესთეტიკურ სიამოვნებას ვერ მოგვანიჭებსო. და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ფეხბურთელი ყოველწლიურად აპირებს ტატუების კეთებას, ხოლო დამწერლობა მსოფლიოში არცთუ ბევრია, ეგებ მალე ქართულადაც დაიწეროს რამე.

**გიორგი დარჯანია**

# არა იჩხუბო!

**34 წლის** ბრისტოლელი დევიდ ჯელი პასტორი გახდა და მშობლიური ქალაქის ეკლესიაში ქადაგებს. თუ არ განვმარტეთ, ჩვენ ეს ცნობა არაფერს გვეუბნება, აი, მთელი ევროპის მასშტაბით სამართალდამცავებისთვის კი ფრიად სასიხარულო ამბავია — ერთი ჭირი მოიშორეს.

ბრიტანელი ქომაგების ხულიგნობის ამბავს ჩვენს ყურამდეც მოუღწევია, ხოლო დევიდ ჯელი მათ შორის გამორჩეული ვინმე იყო. ბრისტოლის „მემორიალ გრაუნდზე“, სადაც ჯელის სათაყვანებელი „როვერსი“ თამაშობს, მას ბოლო ხუთი წელია, ფეხს არ ადგმევინებდნენ, რაკიღა იცოდნენ, რომ აუცილებლად იჩხუბებდა და სხვებსაც აიყოლიებდა. ჩხუბობდა უცხოეთშიც, სადაც ინგლისის ნაკრებს დაჰყვებოდა (აბა, „ბრისტოლ როვერსს“ ევროტურნირებზე რა უნდა). იქ კი ხშირად ახერხებდა სტადიონებზე შეღწევას, თუმცა მისი ხულიგნობის ამბავი ინგლისელ პოლიციელთა წინდახედულობით სხვათათვისაც იყო ცნობილი. და თუ მაინც გამოიჭერდნენ და თამაშზე დასწრებას აუკრძალავდნენ, ქუჩა ხომ მისი იყო. ჰოდა, დადიოდა ჯელი მთელ ევროპაში და ადგილობრივ ქომაგებთან კინკლაობდა.

ბოლოს სტოკჰოლმში იჩხუბა, რასაც ასე იხსენებს: „შვედეთში ვიყავი და ჩვეულებრისამებრ, იქაურ ქომაგებს დავერიე — მე ინგლისური შევაქე, იმათ თავისი და ვერ შევთანხმდით, რომელი სჯობდა. მერე ერთმანეთზე გავიწიეთ. ჰოდა, შუა ჩხუბში უეცრად გონება გამინათდა. გავიფიქრე, რას შვრები, სამშობლოს არცხვენ, ან ამ ადამიანებს რას ერჩი. შინ რომ დავბრუნდი, კიდევ დიდხანს ვფიქრობდი ასეთ რაღაცეებზე და მივხვდი, რომ ცხოვრებაში სასიკეთო ჯერ არაფერი გამიკეთებია“.



დევიდ ჯელიმ ცოდვები მოინანია და ახლა სხვებს აყენებს სწორ გზაზე. ფეხბურთი? ის კვლავ „ბრისტოლ როვერსის“ თავგადაკლული ქომაგია, ოღონდ აღარ ჩხუბობს.

# საიდუმლო ბარათები

**მსოფლიოს** დღემდე ვერ დაავიწყდა, რომ 1966 წელს ინგლისში ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა. აქ მთლად იმაში არ არის საქმე, რომ ჯეფ ჰერსტის მიერ გერმანელთა კარში გატანილი გოლი საბჭოთა მსაჯ ბახრამოვის მეცადინეობით ჩაითვალა: მისი და ინგლისელი ფეხბურთელების გარდა ვერავინ დაინახა, ზედა ძელიდან ასხლეტილი ბურთი ხაზსიქეთ რომ დაეცა. თუმცა იმ ეპიზოდის მონაწილე როჯერ ჰანტი კარის წინ იდგა და ბურთს იმიტომ აღარ დაამატა, რომ კარში შესული ეგონა.

გერმანელთა გულისწყრომა დღემდე არ დამცხრალა, მაგრამ ეს მაინც ევროპა იყო. ინგლისელმა არქივარიუსებმა კი ახლახა ახსნეს საიდუმლოების ნიშანი დიპლომატთა წერილებს, სამხრეთ ამერიკიდან რომ მოდიოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საქმე ისაა, რომ 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ლათინოამერიკელებს მიაჩნდათ, რომ ისინი დაჩაგრეს: ურუგვაელები გერმანიასთან მატჩში, არგენტინელები ინგლისელებთან შეხვედრაში... სამხრეთელ ჟურნალისტებს მატჩებზე დასასწრებ ბილეთებს უმალავდნენ და ა. შ. ერთი მექსიკელი ჟურნალისტი დედოფალთან ჩივილსაც კი აპირებდა.

ინგლისმა რომ არგენტინას მოუგო, სამხრეთელთა კაპიტანი რატინი გააძევეს, სერ ალფ რამსეიმ კი არგენტინელებს „პირუტყვები“ უწოდა.

სამხრეთამერიკულმა პრესამ ხალხი ააბობოქრა. ბრიტანეთის საელჩოს მონტევიდეოში ბრბო დაესხა. სატელეფონო მუქარები გახშირდა.

რიოდან კი საელჩოს პირველი მდივანი ჯონ შექსპირი იწერებოდა: „მსოფლიო თასს აქ საშინელი პრესა აქვს. მდგომარეობა ისეთია, რომ ახლა ჩუმად ყოფნას ვამჯობინებთ. სანამ ქარბუქი არ ჩადგება, ასე გვიჯობს.“

ბოლივიაში მოღვაწე ბრიტანელი დიპლომატი კი წერდა: „ყოველ ბოლივიელს სჯერა, რომ ჩვენ სუსტი გუნდი გვყავს და ძალით მივათრევთ ტიტულზე. არავინ აღიარებს ჩვენს ჯენტლმენობას და რწმენა ჩვენი სპორტული კეთილშობილებისა დაკარგულია.“

არგენტინაში საქმე უარესად იყო: „აქ განწყობილება უმართავია, ნაციონალისტური, ემოციური. ბოლივია მონაგონია.“

აქეთ კი ევროპაში, სამხრეთამერიკელებს იტალიელმა ჟურნალისტებმა აუბეს მხარი. მათი შეხედულებით, ინგლისელები და გერმანელები ერთმანეთს გაურიგდნენ და სამხრეთული გუნდები მოტეხეს.“

მთელს ამ ხმაურზე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მითითება ამგვარი იყო: „იყავით მშვიდად და დაელოდეთ, სანამ წვიმა გადაიღებდეს.“

ინგლისი კი, რა თქმა უნდა, რჩება მსოფლიოს ერთგზის ჩემპიონად.

**ირაკლი გამყრელიძე**


ანდრეას და პილარი ბრემეები

# შენც, ბრემე?!

**ხუთშაბათს** დილით, როცა „კაიზერსლაუტერნის“ მთავარი მწვრთნელი ანდრეას ბრემე გუნდთან ერთად შოტლანდიაში იმყოფებოდა და გლაზგოს „რეინჯერსთან“ უეფას თასის მატჩისთვის ემზადებოდა, მიუნხენის მახლობლად მდებარე შტრასლახში, ბრემეს ვილის კარებზე კაკუნის ხმა გაისმა.

„ამ დროს აბაზანაში ვიყავი და კბილებს ვიხეხავდი, ბავშვები უკვე სკოლაში იყვნენ. შინ მე და ჩემი დაქალი ვიყავით. მან შემატყობინა, რომ ვიღაცეები მოსულიყვნენ. სანამ გავიდოდი, გავიხედე და რვა მამაკაცი დავინახე. არ მესიამოვნა, მაგრამ კარი მაინც გავაღე“ — უთხრა ჟურნალისტებს პილარი ბრემემ, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელის ესპანელმა მეუღლემ.

ზღურბლს იქით მდგომი მამაკაცები გერმანიის საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები აღმოჩნდნენ, რომლებმაც ფრაუ ბრემეს ჩხრეკის ორდერი აჩვენეს და სახლშიც დაუპატიჟებლად შებრძანდნენ. მათ იქ მწვრთნელის კაბინეტში მდგარი მაგიდის უჯრები გაჩხრიკეს. მერე კარადებიც გადაქექეს და წასვლისას ხელს სხვადასხვა საბუთი გააყოლეს, რომელთა შორის აღნიშნული ვილის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვაც იყო.

ზუსტად იმ დროს, როცა საგადასახადოს თანამშრომლები პოლიციელებითურთ შტრასლახში ბრემეების გემოვნებით აშენებულ ვილას ჩხრეკდნენ, გერმანელი სამართალდამცავები ავსტრიის საკურორტო ქალაქ კიცბუელსა და კაიზერსლაუტერნის სასტუმრო „შულტესაც“ ეწვივნენ. კიცბუელში ბრემეს სახლი აქვს, „შულტეში“ კი აპარტამენტებში ცხოვრობს. გაიჩხრიკა „კაიზერსლაუტერნის“ ოფისში მდებარე ბრემეს ოთახიც, თუმცა იქიდან არანაირი დოკუმენტები არ წაუღიათ.

ამის თაობაზე თავად ოჯახის უფროსმა გვიან ღამემდე არაფერი იცოდა. მზრუნველმა ცოლმა ქმარს შეგნებულად არ შეატყობინა ეს ამბავი. მძიმე მატჩი ელოდა, თამაშზე ფიქრობდა და ამიტომ აღარ გავანერვიულეო, ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება პილარიმ, რომელიც უკვე 13 წელია, ანდრეას ბრემეს მეუღლეა. მათ ორი ვაჟიც ჰყავთ: 12 წლის რიკარდო და 5 წლის ალესიო. ჰოდა, მათი დედა ამბობს, ჩემი ქმარი ისეთს არაფერს იზამდა, შვილებისთვის მერე თვალებში ველარ შეეხედაო. მან პოლიციისა და საგადასახადოს თანამშრომლებიც გააკრიტიკა: „არ შეიძლება, ვიღაცეები ასე შემოგეჭრან სახლში. ეს სამარცხვინო იყო. ძალიან დამცირებული ვარ.“

ახლა კი მთავარი ვთქვათ — რაში სდებენ ბრემეს ბრალს. საგადასახადოს თანამშრომლებს თუ ვერწმუნებით, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორმა სახელმწიფოს შემოსავლები დაუმალა. ბრემე 1993 წლის აპრილამდე ესპანურ „სარაგოსაში“ თამაშობდა. მერე კარიერა დაასრულა, თუმცა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გულმა კვლავ მინდვრისკენ გაუწია და ივნისში „კაიზერსლაუტერნთან“ გააფორმა კონტრაქტი. სწორედ ამ პერიოდში არ დაუცავია სახელგანთქმულ მცველს კანონი და როგორღაც გერმანიისთვის 1 მილიონი გერმანული მარკა მოუტეხია, რომლის ნაწილიც შტრასლახში მშენებარე ვილის საშენებლად დაუხარჯია.

ფრაუ ბრემე ამტკიცებს, ჩემი ქმარი ამას არ იზამდაო. მალე გამოჩნდება...

**ვანო ოქროპირიძე**

# სამხრეთ ამერიკა 21:18 ევროპა

**ყველაფერი** 12 წუთში მოხდა. უფრო სწორად, დროის ამ მონაკვეთში სამი გოლი გავიდა. ორი ბოკელმა მარტინ პალერმომ გაიტანა, ერთიც რეალელმა რობერტო კარლოსმა.

მერე იყო „რეალის“ შეტევები — ფიგუს, რაულისა და სავიოს შესანიშნავი თამაში. იქით „ბოკას“ თავგამოდება და ხუან რიკელმეს დადგმული დიდებული წარმოდგენა. ერთი სიტყვით, ამ სამშაბათს, საკონტინენტთაშორისო, იგივე „ტოიოტას“ თასისთვის მატჩში — არგენტინის „ბოკა ხუნიორსმა“ მადრიდის „რეალი“ 2:1 დაამარცხა და სამხრეთ ამერიკასა და ევროპას შორის ანგარიში 21:18-მდე გაზარდა.

უზომოდ გაიხარა ბუენოს აირესმა და არგენტინის პრეზიდენტმა ფერნანდო დე ლა რუამ. მათთვის ამ გამარჯვებას მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა როდი აქვს.

ხუთი წელი სამხრეთ ამერიკელებს მსოფლიოს საკლუბო თასი აღარ მოეგოთ. 1994-ში არგენტინულმა „ველეზ სარსფილდმა“ იტალიურ „მილანს“ ტროტასა და ასადის გოლებით 2:0 მოუგო და პრიზს დაეუფლა. მერე ჰოლანდიურმა „აიაქსმა“ ევროპელთა ერა დაიწყო. 28 ნოემბერს კი პრიზი ისევ არგენტინელებმა ირგუნეს და ისევე, როგორ 94-ში „ველეზის“, ახლაც „ბოკას“ მწვრთნელი კარლოს ბიანკი გახლავთ — მოუსვენარი და ამბიციური კაცი: მიჭირს ამ ორი თამაშის შედარება. „მილანი“ და „რეალი“ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ისევე, როგორც „ველეზი“ და „ბოკა“. საერთოდ კი დღევანდელი გამარჯვება ერთ გუნდს არ ეკუთვნის, ის მთელი ერის საკუთრებაა და იმის დასტურად გამოდგება, რომ არგენტინული ფეხბურთი მსოფლიოში საუკეთესოა — იტყვის მატჩის შემდეგ ბიანკი.

საკონტინენტთაშორისო თასი 1960 წლიდან თამაშდება და მისთვის ერთმანეთს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა, იგივე ლიბერტადორესის და ევროპის ჩემპიონთა თასის, ანუ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები ხვდებიან. 1980 წლიდან თასის სპონსორობა იაპონურმა „ტოიოტამ“ ითავა და მას შემდეგ გამარჯვებული ერთ მატჩში, ტოკიოს ეროვნულ სტადიონზე ირკვევა.

თუ მხოლოდ „ტოიოტას“ შემდგომ ამბებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ორივე კონტინენტის წარმომადგენლებს თასი თანაბრად 10-10-ჯერ მოეგოთ. ასე რომ, „ბოკამ“ სამხრეთ ამერიკელები ამ მაჩვენებლითაც დააწინაურა.

მართლა გამოხატავს ციფრთა ეს თანაფარდობა რეალურ სურათს? ალბათ, ვისთვის როგორ. თუმცა, ერთი გარემოება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, ამერიკელები ამ თასს გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ევროპელები. აი, უბრალო მაგალითი: „ბოკა ხუნიორსი“ ტოკიოში ცხრა დღით ადრე ჩავიდა და შეხვედრისთვის საგულდაგულოდ მოემზადა, „რეალმა“ კი დროის ამ მონაკვეთში „ლიდსთან“ ჩემპიონთა ლიგის ნერვებდამწყვეტი მატჩი ითამაშა და იაპონიის დედაქალაქს მერელა გაემგზავრა. თუ ამ მაგალითის ფონზე, ზოგადად მადრიდელთა უდაძაბულეს კალენდარსაც გავიხსენებთ, მისი ფეხბურთელების მძიმე ფიზიკურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ნათელი გახდება. თუმცა, ეს სულაც არ ამცირებს „ბოკას“ ჩინებულ გამარჯვებას. სხვა თუ არაფერი, მათ პალერმო და რიკელმე ჰყავთ.

და კიდევ. ყველაზე მეტჯერ ეს თასი სწორედ არგენტინელებს მოუგიათ (8) — აქედან ორი „ბოკას“ მონაგარია — იტალიელებს ოთხფეხაზე მიკრული ბურთი შვიდჯერ რგებიათ, ხოლო ბრაზილიელებსა და ურუგვაელებს ექვს-ექვსჯერ.

ახლა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის, უეფას, ასევე სპონსორების — იაპონური „დაიჰაცუსა“ და შვეიცარიული ISL-ს შეთანხმებით, საკონტინენტთაშორისო თასის ტოკიოში ჩატარება 2003 წლამდეა გარანტირებული. მერე არავინ იცის რა მოხდება. J ლიგის კულუარებში უამრავი ჭორ-მართალი ტრიალებს. შესაძლოა, მისი ადგილი ფიფას ახალმა შეჯიბრებამ, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატმა დაიკავოს, რომელიც პირველად წლეულს იანვარში გაიმართა ბრაზილიაში, ხოლო მეორედ 2001 წლის აგვისტოში ესპანეთში ჩატარდება. თანაც ორის ნაცვლად თორმეტი გუნდი ითამაშებს.

თუ ასე მოხდა, იაპონელებისთვის დიდი დარტყმა იქნება, „ტოიოტას“ თასის მატჩი ხომ იქაური გულშემატკივრებისთვის ნამდვილი ზეიმია. დაღს დაასვამს იქაურ ფეხბურთსაც, რომელიც ისედაც ცუდ დღეშია. ფინანსურმა კრიზისმა ფეხბურთელების ხელფასებზე საგრძნობლად იმოქმედა და ბოლო დროს ლეგიონერებიც დაიფანტნენ. ამიტომ, იაპონელები ცდილობენ, უფრო სანახაობრივად ჩაატარონ „ტოიოტას“ თასი. ახლაც მატჩს წინ ფოიერვერკები და შოუ უძღვოდა, სტადიონი გადაიჭედა, ხოლო გადამყიდველებთან ბილეთები 300-დან (300 დოლარი) 900 ათას იენამდე ღირდა.

ვინ იცის, რა იქნება ხვალ...

ჯერჯერობით კი 21:18.

**სოლომონ ბულისკშვილი**

REUTERS ბუენოს აირესიდან




უკან კასა როსადაა, მთავრობის სახლი. ეს ბუენოს აირესია. ხალხის ზღვაში მოლივლივე ავტობუსში კი „ბოკა ხუნიორსის“, პორტენოთა საყვარელი გუნდის ფეხბურთელები სხედან. ორიოდ დღის წინათ ტოკიოში მოგებული საკონტინენტთაშორისო თასი, დიახაც, რომ საზეიმო ჯილდოა



მარტინ პალერმო „ტოიოტას“ სიმბოლური გასაღებით

## საკონტინენტთაშორისო „ტოიოტას“ თასის ყველა ფინალი 1960-2000

| | | |
|---|---|---|
| 1960 | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) | 0:0, 5:1 |
| 1961 | პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) | 0:1, 5:0, 2:1 |
| 1962 | სანტოსი (სან პაულუ, ბრაზილია) — ბენფიკა (ლისაბონი, პორტუგალია) | 3:2, 5:2 |
| 1963 | სანტოსი (სან პაულუ, ბრაზილია) — მილანი (იტალია) | 2:4, 4:2, 1:0 |
| 1964 | ინტერი (მილანი, იტალია) — ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 0:1, 2:0, 1:0 |
| 1965 | ინტერი (მილანი, იტალია) — ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 3:0, 0:0 |
| 1966 | პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 2:0, 2:0 |
| 1967 | რასინგი (ბუენოს აირესი, არგენტინა) — სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია) | 0:1, 2:1, 1:0 |
| 1968 | ესტუდიანტესი (ბუენოს აირესი, არგენტინა) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | 1:0, 1:1 |
| 1969 | მილანი (იტალია) — ესტუდიანტესი (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 3:0, 1:2 |
| 1970 | ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) — ესტუდიანტესი (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 2:2, 1:0 |
| 1971 | ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) | 1:1, 2:1 |
| | *ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ამსტერდამის „აიაქსმა“ თამაშზე უარი განაცხადა* | |
| 1972 | აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) — ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 1:1, 3:0 |
| 1973 | ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) — იუვენტუსი (ტურინი, იტალია) | 1:0 |
| | *ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ამსტერდამის „აიაქსმა“ თამაშზე უარი განაცხადა* | |
| 1974 | ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) — ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 0:1, 2:0 |
| | *ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა მიუნხენის „ბაიერნმა“ თამაშზე უარი განაცხადა* | |
| *1975* | *ფინალი არ გამართულა* | |
| 1976 | ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) — კრუზეირო (ბელუ ორიზონტი, ბრაზილია) | 2:0, 0:0 |
| 1977 | ბოკა ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა) — ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) | 2:2, 3:0 |
| | *ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ინგლისის „ლივერპულმა“ თამაშზე უარი განაცხადა* | |
| *1978* | *ფინალი არ გამართულა* | |
| 1979 | ოლიმპია (ასუნსიონი, პარაგვაი) — მალმიო (შვედეთი) | 1:0, 2:1 |
| | *ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ინგლისის „ნოტინგემ ფორესტმა“ თამაშზე უარი განაცხადა* | |
| 1980 | ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი) — ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) | 1:0 |
| 1981 | ფლამენგო (რიო დე ჟანეირო, ბრაზილია) — ლივერპული (ინგლისი) | 3:0 |
| 1982 | პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) — ასტონ ვილა (ბირმინგემი, ინგლისი) | 2:0 |
| 1983 | გრემიო (პორტუ ალეგრი, ბრაზილია) — ჰამბურგი (გფრ) | 2:1 |
| 1984 | ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა) — ლივერპული (ინგლისი) | 1:0 |
| 1985 | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) — არგენტინოს ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 2:2 (პენ. 4:2) |
| 1986 | რივერ პლეიტი (ბუენოს აირესი, არგენტინა) — სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) | 1:0 |
| 1987 | პორტუ (პორტუგალია) — პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი) | 2:1 |
| 1988 | ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 1:1 (პენ. 7:6) |
| 1989 | მილანი (იტალია) — ატლეტიკო ნასიონალი (მედელინი, კოლუმბია) | 1:0 |
| 1990 | მილანი (იტალია) — ოლიმპია (ასუნსიონი, პარაგვაი) | 3:0 |
| 1991 | ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლავია) — კოლო კოლო (სანტიაგო, ჩილე) | 3:0 |
| 1992 | სან პაულუ (ბრაზილია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 2:1 |
| 1993 | სან პაულუ (ბრაზილია) — მილანი (იტალია) | 3:2 |
| | *ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი მარსელის „ოლიმპიკი“ უეფამ მოკვეთა* | |
| 1994 | ველეზ სარსფილდი (არგენტინა) — მილანი (იტალია) | 2:0 |
| 1995 | აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) — გრემიო (პორტუ ალეგრი, ბრაზილია) | 0:0 (პენ. 4:3) |
| 1996 | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) — რივერ პლეიტი (ბუენოს აირესი, არგენტინა) | 1:0 |
| 1997 | ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) — კრუზეირო (ბელუ ორიზონტი, ბრაზილია) | 2:0 |
| 1998 | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ვასკუ და გამა (რიო დე ჟანეირო, ბრაზილია) | 2:1 |
| 1999 | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — პალმეირასი (სან პაულუ, ბრაზილია) | 1:0 |
| 2000 | ბოკა ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 2:1 |

## ყველაზე მეტჯერ „ტოიოტას“ თასს ფლობდნენ

3 .... მილანი (იტალია)
ნასიონალი (მონტევიდეო, ურუგვაი)
პენიაროლი (მონტევიდეო, ურუგვაი)

2 ... აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია)
ბოკა ხუნიორსი (ბუენოს აირესი, არგენტინა)
ინდეპენდიენტე (ბუენოს აირესი, არგენტინა)
ინტერი (მილანი, იტალია)
იუვენტუსი (ტურინი, იტალია)
რეალი (მადრიდი, ესპანეთი)
სან პაულუ (ბრაზილია)
სანტოსი (სან პაულუ, ბრაზილია)

## „ტოიოტას“ პრიზი ირგუნეს

| | |
|---|---|
| 1980 | ვიქტორინო (ნასიონალი) |
| 1981 | ნუნიესი (ფლამენგო) |
| 1982 | ჟაირი (პენიაროლი) |
| 1983 | რენატო (გრემიო) |
| 1984 | ხოსე პერკუდანი (ინდეპენდიენტე) |
| 1985 | მიშელ პლატინი (იუვენტუსი) |
| 1986 | ანტონი ალსამენდი (რივერ პლეიტი) |
| 1987 | რაბაჰ მაჯერი (პორტუ) |
| 1988 | სანტიაგო ოსტოლასა (ნასიონალი) |
| 1989 | ალბერიგო ევანი (მილანი) |
| 1990 | ფრანკ რაიკარდი (მილანი) |
| 1991 | ვლადიმირ იუგოვიჩი (ცრვენა ზვეზდა) |
| 1992 | რაი (სან პაულუ) |
| 1993 | ტონინიო სერეზო (სან პაულუ) |
| 1994 | ომარ ასადი (ველეზ სარსფილდი) |
| 1995 | დანი ბლინდი (აიაქსი) |
| 1996 | ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი) |
| 1997 | ანდრეას მიოლერი (ბორუსია) |
| 1998 | რაული (რეალი) |
| 1999 | რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი) |
| 2000 | მარტინ პალერმო (ბოკა ხუნიორსი) |

# გადანცვას დანცვა სჯობს

**ლისაბონი. პორტუგალია. „მასტერსის თასი“-დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 3.7 მილიონი $**

### წითელი ჯგუფი

**III ტური**

**ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) 3:6, 7:6 (7:3),6:3**

ალექს კორეჩასა და ლეიტონ ჰიუიტის შეხვედრა ჩოგბურთის გულშემატკივართათვის შეიძლება მაგნიტური მიმზიდველობით არც გამოირჩეოდა, მაგრამ თავად მოთამაშეებისათვის, მართლაც, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მომდევნო უქმეებზე ბარსელონაში დევისის თასის ფინალი გაიმართება ავსტრალიისა და ესპანეთის ნაკრებებს შორის. კორეჩა და ჰიუიტი თავიანთი გუნდების ლიდერები არიან და სავსებით შესაძლებელია, თასის მფლობელის ბედი სწორედ მათმა მატჩმა გადაწყვიტოს.

მეორეც, ჰიუიტთან წინა პირად შეხვედრაში 26 წლის ესპანელმა კარიერის უმძიმესი და ყველაზე დამამცირებელი მარცხი იწვნია — ავსტრალიის ღია პარველობაზე იანვარში 0:6, 0:6, 1:6 წააგო და, ცხადია, შურისძიების წყურვილი კლავდა. დაუმატეთ ამას პირადი შუღლიც და სულ იოლად წარმოიდგენთ იმ დაძაბულ გარემოს, რაც ლისაბონის „ატლანტიკ პავილიონში“ სუფევდა.

„ადრე მეტოქეზე ასეთი რამ არასოდეს მითქვამს, მაგრამ მისი კორტზე მოქცევა ნამდვილად არ მომწონს. მატჩის დაწყებიდან სულ ორი წუთი გავიდა და უკვე „COME ON“-ის ყვირილით აიკლო ყველაფერი. არა მგონია, ეს ნორმალური იყოს. არ ვიცი, ასეთი რამეებით იქნებ სხვებს ფსიქოლოგიურად თრგუნავს კიდეც, მაგრამ მე საშინლად გამაღიზიანა. ისე მინდოდა მისთვის მომეგო, მზად ვიყავი, თუნდაც მთელი ღამე მერბინა კორტზე“ — განაცხადა მოგვიანებით კორეჩამ.

ასე, რომ პირველი სეტის წაგებისა და ნახევარფინალში გასვლის თუნდაც თეორიული შანსის დაკარგვის მიუხედავად, ესპანელმა უმცროს კოლეგას პროფესიონალიზმის მაგალითი უჩვენა და თავხედობისთვის ყურიც აუწია. დაძაბულ ბრძოლაში ტაი-ბრეიკის მოგებისა და ანგარიშის გათანაბრების შემდეგ გადამწყვეტ ხელში კორეჩა უკვე 5:0 დაწინაურდა. თავად მისი და ავსტრალიელის საწინააღმდეგოდ განწყობილი ტრიბუნების სამწუხაროდ, სეტში ანგარიშის დასველება ჰიუიტმა მაინც მოახერხა, თუმც ესპანელს მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა არ გასჭირვებია.

„მინდოდა მეგობრებისა და კოლეგებისთვის მეჩვენებინა, რომ ჩვენ მისი დამარცხება შეგვიძლია. ამისი ცოდნა იმ კვირაში ძალიან გამოგვადგება — გაიხარა ესპანელმა — სეზონის ბოლოს გასავათებული კი ვარ, მაგრამ რამდენიმე დღეში ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მატჩები მელის დევისის თასზე. დასვენებას მერეც მოვახერხებ. ეგებ, ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე არც წავიდე, გადაწვას სადმე მზეზე დაწვა მირჩევნია.“

მარცხის მიუხედავად, ჰიუიტს კორეჩასგან განსხვავებით, ნახევარფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავს. ამისთვის საკმარისია საუკეთესო ოთხეულში ადგილგანაღდებულმა მარატ საფინმა ბოლო ტურში პიტ სამპრასს მოუგოს.

| | თ. | მ. | წ. | სეტ. |
|---|---|---|---|---|
| 1. მარატ საფინი | 2 | 2 | 0 | 4-1 |
| 2. ლეიტონ ჰიუიტი | 3 | 1 | 2 | 3-4 |
| 3. პიტ სამპრასი | 2 | 1 | 1 | 2-2 |
| 4. ალექს კორეჩა | 3 | 1 | 2 | 3-5 |

### მწვანე ჯგუფი

**II ტური**

**ანდრე აგასი (8, აშშ) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 6:1, 6:4**

იმედგამაცრუებელი სეზონის შუაწელის შემდეგ ანდრე აგასი ნელ-ნელა იბრუნებს იმ ფორმას, რომელმაც 1999 წლის როლან გაროსიდან მოყოლებული ზედიზედ ოთხი დიდი სლემის ტურნირის ფინალში გაიყვანა და ჩოგბურთის ოლიმპოზე შემოსვა.

ლისაბონში მაყურებლებმა ისევ ის აგასი იხილეს, წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ თითქმის 10 თვით რომ გაუჩინარდა — კონცენტრირებული სახე, გაფაციცებული თვალები, უზუსტესი დარტყმები ორივე მხრიდან.

სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი კაფელნიკოვი მთელი პირველი ხელის მანძილზე უმწეოდ უცქერდა ატლანტის თამაშების ოქროსმედალოსანს და შეთავაზებულ გიჟურ ტემპსაც ვერაფრით პასუხობდა. ერთ მომენტში კი, როდესაც აგასიმ მთელი კორტი თვალის დახამხამებაში გადაირბინა და ლამის იატაკზე დავარდნილი ბურთი აულებლად გადააგდო ბადის მეორე მხარეს, სოჭელ ჟენიას სიმწრისგან გაეღიმა.

21 წუთში დასრულებული პირველი სეტიდან განსხვავებით, მეორე ასე ცალკარა აღარ გამოდგა. კაფელნიკოვი შედარებით უკეთ გამოიყურებოდა და აურაცხელ შეცდომას შორის ალაგ-ალაგ ხეირიან დარტყმასაც გამოურევდა. თუმცა დროებითი გაბრწყინება, მისდა სამწუხაროდ, იმ მომენტს არ დაემთხვა, როდესაც მთელ მატჩში მეტოქისთვის მოწოდებისართმევის ერთადერთი შესაძლებლობა მიეცა — აქ ჟენიამ ბურთი უნიჭოდ გაახვია ბადის ძირში და თავი ხელებში ჩარგო.

„დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვითამაშე ასე კარგად, დღეს მთელი ძალით ავმოქმედდი — აღნიშნა ანდრემ, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთადერთხელ, ისიც შორეულ 1990-ში უმარჯვია — ამ ტურნირის მოგება, გარკვეულწილად, დიდი სლემისაზე ძნელია. იქ შეიძლება გაგიმართლოს, სუსტი მეტოქე შეგხვდეს, კარგა ხანს დაისვენო. აქ კი — ყოველდღე და ზედიზედ ძალების მაქსიმალური დაძაბვა გჭირდება. ჩოგბურთელებს შენი არ ეშინიათ, არც ნერვიულობენ და უეჭველად ისარგებლებენ შეცდომებითა თუ სისუსტეებით“.

**გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — მაგნუს ნორმანი (4, შვედეთი) 7:5, 6:3**

აგასისა და კაფელნიკოვის არ იყოს, გუსტავო კუერტენი და მაგნუს ნორმანიც აქამდე უკანასკნელად დიდი სლემის ტურნირის სამახსოვრო ფინალში, როლან გაროსზე შეხვდნენ ერმანეთს, სადაც შვედმა მხოლოდ 10 მატჩ-პოინტის გადარჩენის შემდეგ დაყარა ფარხმალი.

ბევრი ელოდა, რომ ამჯერად კუერტენი ან სულ ვერ შეძლებდა თამაშს, ან აგასისთან წინა მატჩში დაჭიმული კუნთი გვარიანად შეუშლიდა ხელს, თუმცა ასეთი არაფერი მომხდარა. „გუგამ“ ერთბაშად 15 ეისი მოაწოდა და სეზონის ბოლოს შესამჩნევად გადაღლილ სკანდინაველს შანსი არ დაუტოვა.

„თანახმა ვარ, მეც მქონდეს გუსტავოს მსგავსი ტრავმა, თუ ასე შემიწყობს ხელს მოწოდებაში“ — იხუმრა ნორმანმა, რომელმაც ნახევარფინალში გასვლის ყოველგვარი შესაძლებლობა დაკარგა.

„კუნთი ცოტათი მტკივა, მარგამ თუ მატჩმა ძალიან დიდხანს არ გასტანა, გავძლებ — განაცხადა ბრაზილიელმა, რომელიც „მარტერსის თასის“ მოგებითაც გადაასწრებს კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფ მარატ საფინს — ამაზე აღარ ვფიქრობ, ათასი სხვა რამ მაქვს სადარდებელი. სასწაული უნდა მოხდეს, საფინს რომ დავეწიო, მაგრამ ჩემი აზრით ის ნამდვილად იმსახურებს პირველ ჩოგნობას“.

| | თ. | მ. | წ. | სეტ. |
|---|---|---|---|---|
| 1. ანდრე აგასი | 2 | 2 | 0 | 4-1 |
| 2. გუსტავო კუერტენი | 2 | 1 | 1 | 3-2 |
| 3. ევგენი კაფელნიკოვი | 2 | 1 | 1 | 2-3 |
| 4. მაგნუს ნორმანი | 2 | 0 | 2 | 1-4 |

**ავთანდილ სვანიძე**




დამარცხებულნი და გამწარებულნი: ლეიტონ ჰიუიტი და ევგენი კაფელნიკოვი



# მაგარი, მაგარი და ძალიან მაგარი



ტრინიდადმა ვარგასს მუშტი ჩხუბამდეც მოუღერა

**იმას,** რაც დღეს მოხდება, მძიმეწონოსანთა შეხვედრის პეწი არ აქვს. იმაში, რაც დღეს მოხდება კრივის „ოქროს ბიჭუნა“ — ოსკარ დე ლა ჰოია არ მონაწილეობს. მაგრამ ის, რაც დღეს მოხდება წლის ერთ-ერთ უმთავრეს ბრძოლადაა შერაცხული.

დღეს, ლას ვეგასის ცენტრ „მენდალი ბეიში“, პირველი საშუალო წონაში WBA-ს და IBF-ის ქამრებისთვის ერთმანეთს ფელიქს ტრინიდადი და ფერნანდო ვარგასი ეჩხუბებიან. ტრინიდადი და ვარგასი ერთმანეთისგან მცირედ განსხვავებულ წონებში ფრიად პატივცემული ხალხია, სარეიტინგო ხუთეულში არიან, ორივე ჩინებულ ფორმაშია და ბოლო წლის განმავლობაში სერიოზულ ბრძოლებში გაუმარჯვიათ.

დღეს, როდესაც უძლიერესი მოკრივეები ხშირად ერთმანეთთან ჩხუბს თავს არიდებენ, ტრინიდადი და ვარგასი ერთობ ძველმოდურ ნაბიჯს დგამენ და აცხადებენ — მძლეთამძლე რინგმა გაარკვიოსო. ამის მერე მოდით და თქვით, რომ მათ შეხვედრას მძიმეწონოსანთა ხიბლი აკლია ან კნინდება იმიტომ, რომ მასში პოპულარული ოსკარ დე ლა ჰოია არ მონაწილეობს.

ტრინიდადი პროფესიულ რინგზე 38-ჯერ ასულა და მხოლოდ გამარჯვებებსაა ნაჩვევი. აქედან 31 მეტოქეს ნოკაუტი აწვნია. ის პირველად 1993 წელს, 20 წლისა გახდა ჩემპიონი. მას მერე IBF-ის ქამარი 15-ჯერ დაიცვა. ამ 15 ბრძოლაში თვით ეკტორ კამაჩო და პერნელ უიტეკერიც გახლდნენ მის მოცილეთა შორის, მაგრამ ყველაზე გახმაურებული გამოდგა 1999 წლის ჩხუბი დე ლა ჰოიასთან, რომელშიც გამარჯვება ქულათა მცირე რაოდენობით მოიპოვა.

ვარგასი მოწინააღმდეგეზე ახალგაზრდაა და ამიტომაც მხოლოდ 20 ბრძოლა აქვს გამართული. თუმცა წაგება რა არის, არც მან იცის. ამ ბრძოლებში მხოლოდ ორი მეტოქე გადაურჩა ნოკაუტს. ტრინიდადის არ იყოს, ვარგასსაც 15-ჯერ მოუწია ქამრის დაცვამ, ოღონდ თავიდან კრიტიკოსები მაინც ალმაცერად უყურებდნენ. უძლეველობა მოკრივემ 1998 წელსღა დაამტკიცა, როდესაც მექსიკელ ვეტერანს, იორი ბოი კამპასს ადინა ცხვირიდან ძმარი. ვარგასმა პირველ რვა რაუნდში ისე იყოჩაღა, რომ მეცხრეში ჩხუბზე მოწინააღმეგემ ცივი უარი განაცხადა.

ერთი სიტყვით, ერთიცა და მეორეც ნაღდი ჩემპიონები გახლავან, და დღეს მათ შორის უპირატესი უნდა გაირკვეს. ამ ამბავს კი წინ სიტყვათა ლაწა-ლუწი უძღვის ხოლმე.

— ტრინიდადმა ძალიან დაიგრძელა ენა, ამიტომაც ჭკუის სწავლება მომიწევს. თქვენი თვალით ნახავთ, როგორ დავამტკიცებ, რომ ყველა ამ ერთმანეთს მიყოლებულ წონებში ჩემზე ძლიერი არავინაა — განაცხადა ტრადიციული, ბრძოლისწინა ტრაბახის დროს ვარგასმა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 7 წლის ლოსანჯელესელი ბიჭუნა გახლდათ, თომას ჰერნსმა და მარველოს ჰეგლერმა ისტორიაში უდიდესი საშუალოწონოსნური ბრძოლა რომ გაჩაღეს. იმ დროს, რამდენიმე წლით უფროსი ტრინიდადი პუერტო რიკოში კრივის პირველ გაკვეთილებს იღებდა.

და აი, დღეს დიდი შანსია, რომ ამ ბიჭებმა 1985 წელს გამართული იმ დიდი ბრძოლის მსგავსი რამ გამართონ.

— ტრინიდადს თავი შოუმენი ჰგონია, მაგრამ არ არის. ტყუილა ფიქრობს, რომ ყურადღებას მიიპყრობს და ამას რიცხვებით დაგიმტკიცებთ: მაგალითად, მისი ბრძოლა დევიდ რეიდთან წამგებიანი გამოდგა. ასე იყო სხვათა წინააღმდეგაც და მხოლოდ ჩემთან ჩხუბის გამო თუ ჩართავს ხალხი ტელევიზორს, ესე იგი აქ მთავარი მე ვარ — ისევ შეიქო თავი ვარგასმა.

ტრინიდადი: — მე რეიდზე მაგარი ვიყავი და მაგ ვარგასზე მაგარიც ვარ.

# ბობ და სედრიკ კვაჭები

**მსოფლიო** კრივში თუ ვინმე საქმეებს ატრიალებს და ბრძოლებს აწყობს, პრომოუტერები — ბობ არუმი და სედრიკ კუშნერი არიან, მაგრამ ვინაიდან მათი პროფესია კვაჭობასთან არის დაკავშირებული, ხოლო კვაჭობა შინაარსით ძალიან განსხვავდება სათნოებისგან, ისინი სამართალდამცავებს გადააწყდნენ.

კერძოდ, ნიუ ჯერსის შტატში არსებულმა კაზინოთა კონტროლის კომისიამ შეიტყო რა „თამაშობათა დივიზიონისა“ და ხსენებულ პრომოუტერთა დავის ამბავი, არუმსა და კუშნერს ამ შტატში მოღვაწეობა აუკრძალა. ნათქვამი უფრო ნათელი რომ იყოს, განვმარტოთ, რომ ეს „თამაშობათა დივიზიონი“ ნიუ ჯერსიში კაზინოების პოლიცია და იმავდროულად ბრალმდებელიცაა. ამიტომაც, როდესაც ის ბრძანებს არუმი და კუშნერი საეჭვო პატიოსნების ხალხიაო, კაზინოთა კონტროლის კომისიამ კეთილი უნდა ინებოს და გაითვალისწინოს.

თავის მხრივ, განაწყენებულმა პრომოუტერებმა პირი შეკრეს, თუკი ეგრეა, ნიუ ჯერსიში ერთი ცენტის ბიზნესსაც აღარ დავატრიალებთო, მაგრამ ადვოკატებიც აამუშავეს — გაბრაზება გაბრაზებად და, ეტყობა, ლუკმა არ ეთმობათ.

„ბობ არუმი ის კაცია, ვინც ერთი შეცდომა დაუშვა და ეს რომ გაიგეს, რატომღაც გადააწყვიტეს, რომ ნამდვილი გმირიცაა. წესიერი ხალხი არუმით აღფრთოვანებული უნდა იყოს“ — მაღალფარდოვნად განაცხადა მისმა ვექილმა ჯად ბარსტეინმა.

ახლა, მოკლედ შევეხოთ იმ საქმეს, რომლის გამოც ატყდა ხსენებული ალიაქოთი. თურმე, ნუ იტყვით და, 1995 წელს ჯორჯ ფორმენისა და აქსელ შულცის ბრძოლის მოსაწყობად კუშნერს IBF-ისთვის 100 ათასი დოლარი გადაუხდია, ანუ, როგორც ჩანს, ამის საფასურად ფედერაციის მოხელეებმა რეიტინგში პატარა წაიცუღლუტეს, მეტოქეები გაათანაბრეს და ბრძანეს, ამათი დაჯახება შეიძლებაო. იმავე საქმეზე შერისხეს არუმიც.

მაგრამ, ბარსტეინი და მისი კოლეგა პიტერ ჰარვეი, რომელიც კუშნერს წარმოადგენს, სხვა მხრიდან უვლიან. ისინი არ უარობენ, რომ მათმა კლიენტებმა ითითლიბაზეს, ამბობენ: დაგვაჯარიმეთ, ბატონო, მაგრამ ეს აკრძალვა როგორ გეკადრებათო. ერთი სიტყვით, რაც მოხდა შტატის კანონებზე გადაცუნცულება კი იყო, მაგრამ სისხლის სამართლის დანაშაული არ გახლდათ და ვექილებიც ამით მანიპულირებენ.

გარდა ამისა, ბარსტეინის და ჰარვეის თქმით, როდესაც ხელისუფალნი მათ კლიენტებს საქმის გასარკვევად მიადგნენ, მათ არც ადვოკატების დასწრება მოუთხოვიათ და არც დამალულან, პირიქით, დიდი ხალისით დაუსხდნენ და ყველა კუნჭულში შეაჭყიტეს, ეს კი მორალური კოზირია.

და კიდევ, კვაჭ პრომოუტერთა სასარგებლოდ ფურცელზე კალამი აშშ-ის მთავარმა პროკურორმა რობერტ ჯეი კლირიმაც გაატარ-გამოატარა — წერილი დაწერა აკრძალვა მეტისმეტია, გთხოვთ, ჯარიმა აკმარეთო.

**ტუტა სიხარულიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანია. ბუნდესლიგა. მე-15 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 002 | კიოლნი-მიუნხენ 1860 | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 18.30 | 003 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 005 | ბოხუმი-აინტრახტი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-ფრაიბურგი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 23.15 | 007 | ბაიერნი-ლევერკუზენი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 20.30 | 008 | კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.30 | 009 | კოტბუსი-ჰანზა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-15 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 012 | ოსნაბრიუკი-როიტლინგენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.00 | 013 | ზაარბრიუკენი-კიკერსი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 014 | მაინცი-ნიურნბერგი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 18.00 | 015 | ობერჰაუზენი-ალენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 016 | ულმი-ვალდჰოფი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 18.00 | 017 | ზტ. პაული-ალემანია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.15 | 018 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. მე-16 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 019 | არსენალი-საუთჰემპტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 020 | არსენალი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 021 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 022 | ბრედფორდი-ქოვენტრი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 023 | იფსვიჩი-დერბი ქაუნთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 024 | ლესტერი-ლიდსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 025 | ლივერპული-ჩარლტონი | 1,4 | 3,6 | 7,5 |
| | 026 | ლივერპული-ჩარლტონი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 027 | მანჩესტერი-ტოტენჰემი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 19.00 | 028 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1,65 | 3,1 | 4,7 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 029 | ჩელსი-სიტი | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 030 | სანდერლენდი-ევერტონი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**ინგლისი. I დივიზიონი. 21-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 031 | ბარნლი-ნოტინგემი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 032 | ჯილინგემი-ბირმინგემი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 033 | გრიმსბი-კრისტალ პალასი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 034 | ჰადერსფილდი-ქრიუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 035 | პორტსმუთი-ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.00 | 036 | პრესტონი-ფულემი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 19.00 | 037 | უენსდი-ქუინზ პარკი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 038 | სტოკპორტი-შეფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | ტრანმერი-ბლექბერნი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 040 | უიმბლდონი-ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 041 | ვულვერჰემპტონი-ბარნსლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.00 | 042 | ბოლტონი-უოტფორდი | 2,2 | 3,0 | 3,0 |

**ინგლისი. II დივიზიონი. მე-20 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 043 | ბრენტფორდი-უიგანი | 2,7 | 2,8 | 2,3 |
| 19.00 | 044 | ბრისტოლი-ბერი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 045 | კოლჩესტერი-ნოტსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 046 | ნორთჰემპტონი-სუინდონი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 047 | ოლდემი-ოქსფორდი | 1,45 | 3,4 | 6,0 |
| 19.00 | 048 | პიტერბრო-რექსემი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 049 | რედინგი-კემბრიჯი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 050 | როტერჰემი-მილუოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 051 | სტოკი-ლუტონი | 1,4 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 052 | სუონსი-როვერსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 053 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 054 | უიკომბი-ბორნმუთი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. მე-20 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 055 | ტორკი-კარდიფი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 17.00 | 056 | ექსეტერი-პლიმუთი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 057 | ბრაიტონი-ჰალიფაქსი | -1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 058 | ბრაიტონი-ჰალიფაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 059 | კარლაილი-ლინკოლნი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 060 | ჩელტენემი-ბარნეტი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 061 | ჩესტერფილდი-ლეიტონი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 062 | დარლინგტონი-მენსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-საუთენდი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 064 | კიდერმინსტერი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 065 | როჩდეილი-ბლეკპული | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 19.00 | 066 | სკანთორპი-ჰალი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 067 | იორკი-შრიუსბერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-19 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.15 | 068 | მეცი-ლიონი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 069 | ბასტია-ოსერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 070 | ტრუა-ბორდო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 23.00 | 071 | ნანტი-გენგამი | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 23.00 | 072 | რენი-ლილი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 073 | სედანი-პსჟ | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 074 | მონაკო-სტრასბური | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 23.00 | 075 | სენტ ეტიენი-ტულუზი | 1,55 | 3,2 | 6,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 076 | ლანსი-მარსელი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. 22-ე ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 077 | ლე მანი-ანჟე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 078 | მარტიგი-კანი | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 23.00 | 079 | კრეტეი-გენიონი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 080 | კაენი-ლავალი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 23.00 | 081 | შატორუ-ლორიანი | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 23.00 | 082 | ბოვუა-ნანსი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.00 | 083 | აიაჩო-სოშო | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 23.00 | 084 | ნიცა-ვასკეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 085 | ნიმი-ლე ავრი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 086 | ნიორი-მონპელიე | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**იტალია. სერია A. მე-9 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 087 | ლაციო-რეჯინა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 088 | ლაციო-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 23.30 | 089 | პარმა-ატალანტა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 090 | ბოლონია-ვიჩენცა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 091 | ლეჩე-ფიორენტინა | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 18.00 | 092 | ნაპოლი-ბარი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 093 | პერუჯა-რომა | 4,0 | 2,9 | 1,85 |
| 18.00 | 094 | უდინეზე-მილანი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 18.00 | 095 | ვერონა-ბრეშა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.30 | 096 | ინტერი-იუვენტუსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**იტალია. სერია B. მე-14 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 098 | ანკონა-ტერნანა | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 18.00 | 099 | ჩიტადელა-კროტონე | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 18.00 | 100 | ემპოლი-კალიარი | 2,6 | 2,5 | 2,9 |
| 18.00 | 101 | მონცა-ტრევიზო | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.00 | 102 | პისტოიეზე-ჯენოა | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 18.00 | 103 | სამპდორია-სიენა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.00 | 104 | ტორინო-რავენა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 18.00 | 105 | ვენეცია-პიაჩენცა | 1,9 | 2,6 | 4,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 106 | კოზენცა-კიევო | 1,8 | 2,8 | 4,7 |

**იტალია. სერია C1/ა. მე-13 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 107 | ალბინოლეფე-მოდენა | 3,0 | 2,5 | 2,5 |
| 17.30 | 108 | ალესანდრია-პიზა | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 17.30 | 109 | ალძანო-არეცო | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 17.30 | 110 | ბრეშელო-ლეკო | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 111 | კომო-რეჯანა | 1,6 | 2,9 | 6,5 |
| 17.30 | 112 | ლივორნო-სპალ | 1,6 | 2,9 | 6,5 |
| 17.30 | 113 | ლუკეზე-ვარეზე | 1,7 | 2,6 | 5,6 |
| 17.30 | 114 | სპეცია-კარარეზე | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 115 | ჩეზენა-ლუმეცანე | 1,7 | 2,8 | 5,6 |

**იტალია. სერია C1/ბ. მე-13 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 116 | ასკოლი-ატლეტიკო | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 17.30 | 117 | კატანია-ბენევენტო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| 17.30 | 118 | ფ.ანდრია-ლოდიჯანი | 2,2 | 2,6 | 3,4 |
| 17.30 | 119 | მესინა-ჯულიანოვა | 1,65 | 2,8 | 6,0 |
| 17.30 | 120 | ნოჩერინა-ტორესი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 17.30 | 121 | პალერმო-ფერმანა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 17.30 | 122 | სავოია-დი სანგრო | 1,7 | 2,6 | 6,5 |
| 17.30 | 123 | პეზარო-აველინო | 2,2 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 124 | ვიტერბეზე-აკილა | 2,6 | 2,5 | 2,9 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. მე-13 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 125 | ვალიადოლიდი-ვალენსია | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 21.00 | 126 | რაიო ვალეკანო-რასინგი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 22.00 | 127 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 23.15 | 128 | ოსასუნა-რეალი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 24.00 | 129 | სელტა-ბარსელონა | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 130 | ოვიედო-მალაგა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 20.00 | 131 | ალავესი-ბილბაო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 132 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 20.00 | 133 | სოსიედადი-ლას პალმასი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.00 | 134 | სარაგოსა-მალიორკა | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. მე-15 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 135 | ატლეტიკო-სალამანკა | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| 21.00 | 136 | ფეროლი-ლეიდა | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 21.00 | 137 | უელვა-ხეტაფე | 1,7 | 3,1 | 4,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 138 | ელჩე-ლევანტე | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 22.00 | 139 | უნივერსიდადი-ეიბარი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 140 | კორდობა-მურსია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 141 | ბადახოსი-სევილია | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 20.00 | 142 | ბეტისი-ლეგანესი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 20.00 | 143 | კომპოსტელა-ალბასეტე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.00 | 144 | ხაენი-სპორტინგი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 145 | ტენერიფე-ესტრემადურა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. მე-13 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 147 | ბეირა მარი-ავეში | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 148 | ბრაგა-პორტუ | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 149 | კამპომაიორენსე-მარიტიმუ | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 150 | ამადორა-ჟილ ვისენტე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 20.00 | 151 | ფერეირა-ფარენსე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 152 | ლეირია-სალგეირუში | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.00 | 153 | ბენფიკა-სპორტინგი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 01.00 | 154 | ბოავიშტა-ალვერკა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 155 | ბოავიშტა-ალვერკა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. მე-13 ტური** | | | |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 156 | ესპინიუ-მარკუ | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 157 | ფელგეირაში-ოვარენსე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 158 | ნავალი-ლამაში | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 19.30 | 159 | რიუ ავე-ვარზიმი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 160 | ნასიონალი-ლეცა | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 20.00 | 161 | შავეში-ფრეამუნდე | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 20.00 | 162 | მაია-აკადემიკა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 20.00 | 163 | სეტუბალი-პენაფიელი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 164 | სანტა კლარა-იმორტალი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 166 | ტილბურგი-ალკმაარი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 167 | სიტარდი-უტრეხტი | 2,5 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 168 | სპარტა-გრააფსხაპი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 169 | ნაიმეგენი-ტვენტე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 17.30 | 170 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 17.30 | 171 | აიაქსი-ჰერენვენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 172 | აიაქსი-ჰერენვენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 173 | იგლსი-ჰერაკლესი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 174 | ემენი-ჰელმონდი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 175 | ჰაარლემი-ოსი | 2,4 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 176 | დენ ჰააგი-ვენლო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 177 | დენ ბოსხი-ვეენდამი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 178 | დენ ბოსხი-ვეენდამი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 179 | კამბური-დორდრეხტი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.00 | 180 | მაასტრიხტი-ტელსტარი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.00 | 181 | ექსელსიორი-ზვოლე | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 182 | ვოლენდამი-ეინდჰოვენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.00 | 184 | ბევერენი-სენტ ტრუიდენი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 23.00 | 185 | შარლერუა-აალსტი | 1,45 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 186 | ანტვერპენი-მეხელენი | 1,75 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 187 | ლიერსი-ბეერსხოტი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 188 | გენკი-ლუვიე | 1,45 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 189 | გენტი-სტანდარდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 190 | მუსკრონი-ლოკერენი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 191 | ჰარელბეკე-ვესტერლო | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 22.30 | 192 | გეელი-ტინენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.00 | 193 | ლიეჟი-დაინცე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.00 | 194 | ინგელმუნსტერი-დესელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 195 | ოსტენდე-დენდერლეუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 196 | ჰეუსდენი-ლომელი | 3,6 | 3,2 | 1,75 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 197 | სტრომბეკი-ჰეკელგემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.30 | 198 | მონსი-მაასლანდი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 18.00 | 199 | რუზელარე-მოლენბეკი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 18.00 | 200 | სერკლი-ტურნჰაუტი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **საბერძნეთი. მე-9 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 21.00 | 201 | პანიონიოსი-აეკ | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 202 | ოლიმპიაკოსი-კალამატა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 203 | ოლიმპიაკოსი-კალამატა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 19.00 | 204 | ქსანთი-პაოკ | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 205 | იანინა-პანაჰაიკი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 206 | არისი-იონიკოსი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 207 | ეთნიკოსი-ოფი | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| 20.45 | 208 | ირაკლისი-პანათინაიკოსი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 209 | ათინაიკოსი-პანილიაკოსი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩეხეთი** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 16.30 | 211 | ბლშანი-ბრნო | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| | | **თურქეთი. მე-15 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 213 | ტრაბზონი-გაზიანთეფი | 1,7 | 3,1 | 4,2 |
| 15.30 | 214 | იოზგათი-ისთანბული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 16.00 | 215 | ანთალია-ქოჯაელი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 216 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 217 | იეთფა-დენიზლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 15.00 | 218 | რიზე-სამსუნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 15.30 | 219 | ადანა-ბურსა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 220 | ფენერბაჰჩე-ერზურუმი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 221 | ფენერბაჰჩე-ერზურუმი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | | **შოტლანდია. მე-19 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 19.00 | 222 | აბერდინი-კილმარნოკი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 223 | სელტიკი-დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 224 | სელტიკი-დანფერმლაინი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 19.00 | 225 | დანდი-სენტ ჯონსტონი | 1,9 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 226 | სენტ მირენი-დანდი იუნ. | 1,8 | 3,2 | 3,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 18.35 | 227 | ჰართსი-რეინჯერსი | 4,7 | 3,1 | 1,6 |
| 22.05 | 228 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| | | **ავსტრია. მე-22 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 18.30 | 229 | ადმირა-ლინცერი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 230 | რაპიდი-ბრეგენცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 231 | რაპიდი-ბრეგენცი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 18.30 | 232 | რიდი-აუსტრია | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 18.30 | 233 | ზალცბურგი-შტურმი | 2,0 | 3,1 | 3,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 19.30 | 234 | გრაცერი-ტიროლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. მე-21 ტური** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 20.30 | 235 | ლოზანა-ქსამაქსი | 1,2 | 4,4 | 8,0 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 236 | ლუგანო-სერვეტი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.15 | 237 | არაუ-გრასჰოპერი | 2,2 | 3,1 | 3,2 |
| 19.15 | 238 | სიონი-ლუცერნი | 1,2 | 4,0 | 7,0 |
| 19.15 | 239 | სენტ გალენი-ივერდონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.15 | 240 | ციურიხი-ბაზელი | 1,75 | 3,2 | 3,4 |
| | | **კალათბურთი** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 23.30 | 811 | ატლანტა-მილუოკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 04.30 | 812 | შარლოტი-იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 813 | კლივლენდი-ფილადელფია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 814 | ნიუ ჯერსი-ორლანდო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 815 | ნიუ იორკი-მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 816 | ვაშინგტონი-მაიამი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 817 | ჰიუსტონი-პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 818 | დენვერი-სიეტლი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 819 | გოლდენ სტეიტი-დალასი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 21.30 | 820 | ბოსტონი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 24.00 | 821 | მილუოკი-ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 00.30 | 822 | ვანკუვერი-სან ანტონიო | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 04.00 | 823 | დეტროიტი-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 824 | ფინიქსი-პორტლენდი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 06.00 | 825 | სიეტლი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.30 | 826 | ლეიკერსი-დალასი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 827 | ნიუ იორკი-კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.00 | 828 | დენვერი-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **2 დეკემბერი** | | | |
| 04.00 | 908 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.00 | 909 | ტორონტო-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 910 | ოტავა-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 911 | კალგარი-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 912 | პიტსბურგი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 913 | ტამპა ბეი-დეტროიტი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 914 | კოლუმბუსი-ატლანტა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 | 915 | სენტ ლუისი-ფლორიდა | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 916 | ფინიქსი-დალასი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 07.00 | 917 | ვანკუვერი-ედმონტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 918 | ლოს ანჯელესი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| | | **3 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 919 | აილენდერსი-ნიუ ჯერსი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 02.00 | 920 | კაროლინა-ოტავა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 921 | რეინჯერსი-კოლორადო | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 05.00 | 922 | ჩიკაგო-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 05.00 | 923 | ედმონტონი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 924 | ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| | | **4 დეკემბერი** | | | |
| 04.30 | 925 | ტორონტო-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 04.30 | 926 | ატლანტა-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 927 | კალგარი-სან ხოსე | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 07.00 | 928 | ვანკუვერი-ნეშვილი | 1,6 | 4,0 | 2,9 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

საქართველოს ჩემპიონატი 12 ტური | საქართველოს ჩემპიონატი 13 ტური

# ანონსი

| | |
|---|---|
| 2 დეკემბერი. ვერის ბაღი. 12.00<br>ვითა — მაკაბი | 3 დეკემბერი. ვერის ბაღი. 12.00<br>ვითა — სტუ |
| 2 დეკემბერი. ვერის ბაღი. 13.45<br>აზოტი — დინამო | 3 დეკემბერი. ვერის ბაღი. 13.45<br>აზოტი — მაკაბი |
| 2 დეკემბერი. ვერის ბაღი. 15.30<br>სტუ — შევარდენი | 3 დეკემბერი. ვერის ბაღი. 15.30<br>შევარდენი — დინამო |
| 2 დეკემბერი. ბათუმი. 16.00<br>ბასკო — თსუ | 3 დეკემბერი. ბათუმი. 16.00<br>ბასკო — სსუ |

# უპერსპექტივო პერსპექტივა?

**მეათე** ეროვნულში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენათაგან უშუქობას თუ არ ვახსენეთ, თბილისის „დინამოს“ წამოჩიტება და ამბიციების მქონე თსუ-ს დაღმასვლაა აღსანიშნავი. ლევან მოსეშვილის „დინამომ“ ძალიან ცუდი სტარტი კი აიღო, მაგრამ ექვს საღებიუტო მარცხს ზედიზედ ოთხი გამარჯვება შეუნაცვლა. ზაზა ზამთარაძის თსუ კი, თამაშს თამაშზე რომ იგებდა და ერთხანს ლიდერთა მარაქაშიც გაერია, ახლა სატურნირო ცხრილის ქვედა ეშელონის ბინადარია, რადგან ბოლოს ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო.

სადღეისოდ უკვე გამოიკვეთა ოთხი გუნდი, რომელთაც, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, ექვსეულში შეღწევის პრობლემა არ ექნება. „ბასკოს“, „აზოტს“, „მაკაბისა“ და სტუ-ს, შეიძლება ითქვას, თავი ქუდში აქვთ და ახლა ელიტაში დამკვიდრების დანარჩენ მსურველთა ჭიდილმა წამოიწია წინა პლანზე. ამ პატივისთვის „შევარდენთან“ ერთად სწორედ „დინამო“ და თსუ იბრძოლებენ და უპრიანი იქნება, დღევანდელი ანონსის დასაწყისში ამ გუნდების მომავალი განვჭვრიტოთ, მით უფრო, რომ დღეს-ხვალ, ანუ ჩემპიონატის მეთორმეტე და მეცამეტე ტურებში ექვსეულზე მეოცნებეთ თვალწინ არცთუ სასურველი პერსპექტივა ეშლებათ.

თსუ დღეს ბათუმში გათამაშების უდანაკარგო ლიდერ „ბასკოს“ სტუმრობს და ნაკლებად მოსალოდნელია, ზღვისპირეთში გაიხაროს. ეგ კი არა, თსუ-ს ბოლოდროინდელი თამაშის გათვალისწინებით ამ გუნდს „ბასკოსთან“ დიდი ანგარიშით მარცხი უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, მით უფრო, რომ აჭარის გუნდს შინაური კედლები სულ სხვა სტიმულს აძლევს და თავისთან ნებისმიერ მეტოქეს დაუნდობლად არბევს.

დღეს არც „დინამოს“ დაადგება კარგი დღე. თამაშის იმტაზე მოსულ ლევან მოსეშვილის გუნდს ალბათ დაამუხრუჭებს რუსთავის „აზოტი“, რომელიც შემადგენლობის მიხედვით გაცილებით ძლიერია, ვიდრე „დინამო“. მართალია, სადღეისოდ თბილისელებს ქულები მეტად სჭირდებათ, მაგრამ თავის მხრივ რუსთაველებსაც გააჩნიათ საამმატჩო მოტივაცია — წინა უქმეებზე სტუ-ს ძლევის შემდეგ ოთარ ხმელიძის გუნდმა სატურნირო ცხრილში დაკარგული მეორე პოზიცია დაიბრუნა და აქედან ფეხის მოცვლას აღარ აპირებს.

ასევე ექვსეულში თამაშმოწადინებული „შევარდენი“ დღესვე ნირწამხდარ სტუ-ს დაუპირისპირდება. წინა შაბათ-კვირას „მაკაბისთან“ და „აზოტთან“ დამარცხებამ გვარიანად გაუფუჭა ხასიათი სტუდენტურ გუნდს და სწორედ „შევარდენის“ დაჯაბნით თუ მოიოხებს გულს. ცნობისთვის, პირველ წრეში სერგო იმხნელის „შევარდენთან“ საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა ნუგზარ ჭეიშვილის სამწყსო და საკუთარი ქომაგებიც ძლიერ ანერვიულა. დღეს ეს გუნდები ხელმეორედ მოუსინჯავენ ერთმანეთს მკლავის ძალას და რაც მოხდება, იმასაც ვნახავთ. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გამარჯვება მაინც სტუ-ს დარჩება.

ამ უქმეების ყველაზე პრინციპული მატჩი კვირას ვერის ბაღში გაიმართება. ხვალ ერთმანეთს „შევარდენი“ და „დინამო“ დაეჭიდებიან, ამ შეხვედრის შედეგს კი სატურნირო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ორივე გუნდი, როგორც უკვე გითხარით, ექვსეულში მოხვედრას ლამობს. ასე რომ, მათი ურთიერთშეხვედრა, შესაძლოა, გადამწყვეტიც აღმოჩნდეს მეტოქეთათვის. სადღეისოდ „შევარდენს“ ორი ქულითა და ერთი თამაშით ნაკლები აქვს „დინამოზე“, აქედან გამომდინარე, თუ ხვალ იმხნელის გუნდმა მოიგო, სამარქაფო მატჩის წაგების შემთხვევაშიც კი „დინამოზე“ წინ იქნება, რადგან პირველ წრეში შევარდნებმა იძალეს. მოსეშვილის „დინამოც“, ცხადია, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს, რევანშის შემთხვევაში „შევარდენთან“ ხომ ბარიბარში იქნება და ბევრად გაიუმჯობესებს ექვსეულში მოხვედრის შანსს.

პრინციპულობით „შევარდენი“ — „დინამოს“ დაპირისპირებას სხვა დანარჩენი ვერ გაუტოლდება, თუმც უახლოესი ორი ტურის ცენტრალური მატჩი მაინც „აზოტი“ — „მაკაბია“. მეათე ეროვნულში ეს გუნდები ერთიორად მაღალ მიზნებს ისახავენ და, ბუნებრივია, მათი შეხვედრა გაცილებით მეტ ინტერესს იწვევს. თუ „მაკაბიმ“ ასევე განაგრძო და პლეი ოფის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, ეს ამ გუნდისთვის უკვე წარმატება იქნება, რადგან სხვა დროს ასეთი შედეგისთვის არასდროს მიუღწევია. რუსთავის „აზოტი“ კი, ბოლოდროინდელი ტრადიციის თანახმად, კვლავაც ჩემპიონობას უმიზნებს და მისი გულშემატკივარისთვის ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან დამარცხება ტრაგედიის ტოლფასია.

„აზოტმა“ „დინამოსგან“ კახა შენგელიას გადაბირებით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩემპიონობის გარდა ნებისმიერი შედეგი მისთვის დიდი წარუმატებლობა იქნება. ამ შენაძენით ქვეყნის ზედიზედ სამგზის ვიცე-ჩემპიონი მნიშვნელოვნად გაძლიერდა ფარქვეშ. ეს რგოლი კი აქამდე, ვფიქრობთ, ყველაზე სუსტი წერტილი იყო ოთარ ხმელიძის გუნდში. რუსთაველთა ცენტრი მიხეილ ბერუაშვილი, მართალია, კარგად ართმევს თავს მწვრთნელთა დავალებას, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მიშა ნომინალური ცენტრი არაა. თანაც მარტო კაცისთვის ურთულესი საქმეა ფარქვეშ ყოველგვარ პრობლემათა გადაჭრა. ახლა კი ბერუაშვილს ღირსეული დამხმარე გამოუჩნდა კახა შენგელიას სახით, „აზოტის“ წინა ხაზის ეს ტანდემი ნებისმიერს შიშის ზარს სცემს.

ბერუაშვილ — შენგელიას შებოჭვა მაკაბელთაგან სავარაუდოდ დიდიე დაჩუმისა და ჟოლივეტ ტუჯანის დაეკისრებათ. „მაკაბიში“ ფარქვეშ სწორედ კამერუნელი ლეგიონერები ილვწიან და ძალიან ბევრს გადაწყვეტს ქართულ-აფრიკული დუელი.

უკანა ხაზში „აზოტს“ აქვს უპირატესობა, თუნდაც იმიტომ, რომ ოთარ ხმელიძეს ამ რგოლში გაცილებით დიდი არჩევანი აქვს. „მაკაბის“ კი ამ ფუნქციის ერთადერთი გამოცდილი კალათბურთელი ჰყავს — გოჩა წოწელია, რომელიც ამპლუით მსროლელი უფროა, ვიდრე გამთამაშებელი. წოწელიას ძალიან ეხმარება ირაკლი შანიძე, მაგრამ რუსთაველ უკანახაზელთა ტრიო — ჟღენტი, გაბისონია, ტურაშვილი — უფრო მძლავრიცაა და ნაცადიც.

„მაკაბის“ ყველაზე დიდი ნაკლი მაინც ისაა, რომ სრულფასოვანი სათადარიგოების ნაკლებობას განიცდის. ძირითადი კალათბურთელების მაგივრობას თითო-ოროლა თუ გასწევს, რაც ღირსეულ მეტოქესთან ჭიდილში უფრო თვალსაჩინო ხდება-ხოლმე. ამიტომ ფავორიტად რუსთაველი კლუბი მიგვაჩნია, თუმც „მაკაბის“ „აზოტთან“ ბრძოლა რომ ძალუძს, აქამდე არაერთხელ დაუმტკიცებია — წინა სეზონში ამ კლუბმა ორჯერ დაამარცხა ვიცე-ჩემპიონი.

ანონსის დასკვნითი ნაწილი კი უცნაურად სულაც არ ჟღერს, იმ პრობლემას ეხება, უადგილო ადგილას რომ ამუხრუჭებს მეათე ეროვნულს. ალბათ, მიხვდით, უშუქობას ვგულისხმობთ და ისღა დაგვრჩენია, თელასს შევთხოვოთ: ნუ ჩააბნელებთ ვერის ბაღს — ეს დღეს ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება ჩვენი კალათბურთისთვის...

**გიორგი ბიძაშვილი**



პირველი წრის დინამო — შევარდენი 71:79. ხვალ „დინამო“ თამაზ გიგაურის (№6) „შევარდენს“ „აზოტში“ გადასული კახა შენგელიას გარეშე შეებმება

## საფრანგეთი

# ლის ნვლილის მიუხედავად



შალონი — ვილერბანი. რაშარდ ლიმ (მარცხნივ) და ანდრე ოუენსმა ვილერბანელი არტ ლონგი შუაში მოიქციეს

### VII ტური

**გრაველინი — სტრასბური 86:82, ლე ავრი — რასინგი 70:83, მონპელიე — ბეზანსონი 82:73, ბურგი — ანტიბი 77:81, შოლე — დიჟონი 84:75, ევრე — პო ორტეზი 86:79, ნანსი — ლე მანი 75:82, შალონი — ვილერბანი 64:74**

მათ ველარავინ აჩერებს. „ვილერბანი“ და „ლე მანი“ პრო A-ს ლიდერები არიან და თანაც ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიდიან. წაგებების გრაფაში რომელიმეს ერთიანი რომ ვნახოთ, ალბათ, მე-13 ტურამდე მოგვიწევს ცდა, როცა ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

მე-7 ტურში კი „ვილერბანმა“ პირველი სერიოზული საგარეო გამოცდა ფრიადზე ჩააბარა — „შალონივით“ ძლიერ გუნდს „მწვანები“ პირველად ესტუმრნენ. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მასპინძლებს ორი წამყვანი მოთამაშე — გულიაში და ოსტროვსკი აკლდათ და მათ გარეშე, ფაქტობრივად, ნახევარი ძალით თამაში გამოუვიდათ. მიუხედავად ამისა, პირველი მეოთხედი შალონელთა უდავო უპირატესობით წარიმართა და 10 ქულით მოახერხეს წინ გაჭრა (26:16). ამაში ყველაზე დიდი წვლილი რაშარდ ლის მიუძღვის, რომელმაც 4-დან 4 სამქულიანი ჩააგდო, ჯამში კი 22 ქულა დააგროვა. თუმცა „ვილერბანი“ მალე გამოერკვა და თანდათანობით უპირატესობასაც დაეუფლა. და როდესაც მე-19 წუთზე ის დაწინაურდა (37:36), ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა. შესვენებამდე 0:12 წაგებული მონაკვეთის (ტაიმი 36:44) შემდეგ „შალონმა“ მატჩში გარდატეხის შეტანა ველარ შეძლო. მეორე ტაიმში სტუმრებს უპირატესობის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ, მით უმეტეს, რომ ფარქვეშ არტ ლონგი გაბატონებულიყო (19 ქულა, 11 მოხსნა), შორი დისტანციებიდან კი შალონელებს სამიზნემ უმტყუნა.

გასვლითი შეხვედრა წარმატებით დაასრულა „ლე მანმაც“, რომელმაც „ნანსი“ ძირითადად საჯარიმოების უკეთ სროლის ხარჯზე დაჯაბნა. თავად განსაჯეთ: ნანსელებმა 16 ცდიდან მხოლოდ 8 საჯარიმო ჩააგდეს, ლემანელებმა კი 21-დან 18. სხვა მაჩვენებლები გუნდებს თითქმის თანაბარი ჰქონდათ. სტუმართაგან თავიდან მერი და სხოლტენი გამოირჩეოდნენ და საშუალო მანძილებიდან ბომბავდნენ მეტოქის კალათს. მესამე მეოთხედიდან მოყოლებული კი ერთი ციდა როჯერსმაც (161 სმ) გაილაღა და ბლომად პასები ჩამოარიგა. თანაც მოწინააღმდეგე ყველაზე ხშირად მასზე ჯარიმდებოდა და ისიც უშეცდომოდ ისროდა. 27-ე წუთზე „ლე მანი“ 12 ქულითაც დაწინაურდა, მაგრამ ათიოდ წუთში მისი უპირატესობა ქულადა იყო. სწორედ აქ გამოიჩინა ხასიათის სიმტკიცე როჯერსმა, რომელმაც თავისი 15 ქულის უმეტესი ნაწილი ბოლო სამ წუთში მიითვალა.

რამდენიმე დღის წინ „პო ორტეზში“ რუმინელი გიგანტი გეორგე მურეშანი (230 სმ) ჩაირიცხა და მას „ევრესთან“ სათამაშოდაც ამზადებდნენ, მაგრამ ბოლო წუთს მისი მოედანზე გაყვანა გადაიფიქრეს. თავიდან იქნებ ვინმეს ეფიქრა, სწორადაცო, რადგან ტაიმი პოელებმა 46:37 მოიგეს, მაგრამ მერე მოპოვებული ნელ-ნელა გაფლანგეს და საბოლოოდ 7 ქულითაც წააგეს.

### გაიოლზ თალაძგაძ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 7 | 7 | 0 | 547:454 | 14 |
| ლე მანი | 7 | 7 | 0 | 625:567 | 14 |
| რასინგი | 7 | 5 | 2 | 550:515 | 12 |
| დიჟონი | 7 | 4 | 3 | 575:510 | 11 |
| ნანსი | 7 | 4 | 3 | 572:532 | 11 |
| შოლე | 7 | 4 | 3 | 545:523 | 11 |
| პო ორტეზი | 7 | 4 | 3 | 574:569 | 11 |
| ანტიბი | 7 | 4 | 3 | 565:566 | 11 |
| შალონი | 7 | 4 | 3 | 518:525 | 11 |
| გრაველინი | 7 | 3 | 4 | 570:583 | 10 |
| სტრასბური | 7 | 2 | 5 | 540:514 | 9 |
| ევრე | 7 | 2 | 5 | 588:618 | 9 |
| ბეზანსონი | 7 | 2 | 5 | 545:592 | 9 |
| მონპელიე | 7 | 2 | 5 | 558:626 | 9 |
| ლე ავრი | 7 | 2 | 5 | 483:565 | 9 |
| ბურგი | 7 | 0 | 7 | 521:617 | 7 |

# სადაც არის ბგერა შენი...

## სუპერსონიკი სუპერსონიქსში

30 ნოემბერი

**სიეტლი 121:88 ლეიკერსი**

სიეტლი: პეიტონი (27), ბეიკერი (20)

ლეიკერსი: ონილი (23), ბრაიანტი (17)

**გოლდენ სტეიტი 99:95 ინდიანა**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (29), მილზი (19), სურა (18)

ინდიანა: ონილი (18 ქულა, 13 მოხსნა), მილერი (17)

**პორტლენდი 95:84 დალასი**

პორტლენდი: ვოლესი (28), სმიტი (19)

დალასი: ალექსანდერი (20), ნოვიცკი (17), ნეში (16)

**დენვერი 105:109 ჰიუსტონი**

(ძირითადი დრო 98:98)

დენვერი: მაკდაიესი (40 ქულა, 20 მოხსნა), ლაფრენცი (16 ქულა, 5 დაფასება)

ჰიუსტონი: ფრენსისი (22), მობლი (22), ტომასი (18)

**მილუოკი 108:97 ბოსტონი**

მილუოკი: რობინსონი (25), კასელი (19 ქულა, 14 პასი)

ბოსტონი: პირსი (34), უოლკერი (20)

**ატლანტა 82:91 ჩიკაგო**

ატლანტა: ტერი (22)

ჩიკაგო: მერსერი (30), ბრენდი (22 ქულა, 13 მოხსნა)

„მისტერ სონიკი“ სასწაულებს ახდენს. „სიეტლის“ ახალ მწვრთნელ ნეიტ მაკმილანს ვგულისხმობთ, რომელსაც ეს მეტსახელი (ჩვენებურად „ბგერა“) ამ გუნდის ერთგულებისთვის შეარქვეს. მაკმილანი თორმეტი წელი სისხლს უშრობდა „სონიქსის“ მეტოქეებს. „ზებგერითებმა“ ახლა უკვე ამას ერთ დროს თანაგუნდელები, ახლა კი მისი შეგირდები აკეთებენ, როგორც ხედავთ კარგადაც.

მაკმილანი თავის საქმეში ახალბედაა, თუმც რაც მან ამ ორიოდ დღეში მოახერხა, ამის გაკეთება მწვრთნელობაში ნებისმიერ ჭიპმოჭრილს გაუჭირდებოდა. ახალი დამრიგებლის ხელში პირველივე თამაშში „პორტლენდს“ სტუმრად აჯობეს, ორ დღეში კი შინ „ლეიკერსი“ დააჩოქეს. ჩემპიონებს გაუჭირდებათ გახსენება, ბოლოს ასეთი რამ როდის აკადრეს.

„ვფიქრობ, ნეიტი დიდი მწვრთნელი გახდება. მან ჯერ ბევრი უნდა ისწავლოს და ნახოს მაგრამ აქედანვე ეტყობა, რომ თავის საქმეში რიგითი კაცი არ იქნება. რაც შეეხება ჩვენ წაგებას, ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. მხოლოდ ასე დაცემას არ ველოდი. „სიეტლს“ კარგი შემადგენლობა ჰყავს და რიგიანი მეთაურის ხელში ბევრის მიღწევა შეუძლია“ — თქვა ნამატჩევს „ლეიკერსის“ თავდამსხმელმა ჰორას გრანტმა, რომელმაც წინა სეზონი, როდესაც მაკმილანი მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, „სიეტლში“ გაატარა და კარგად იცნობს ყოფილი გუნდის ახალ თაკაცს.

მაკმილანთან ერთად ნურც მის შეგირდებს დავუკარგავთ შრომას. მათ ხომ ლიგის საუკეთესო გუნდი წააქციეს და მერე როგორ მწარედ. ოლიმპიურ ჩემპიონს ვინ ბეიკერს, რომელსაც ძველი დამრიგებელი პოლ ვესტფოლი ყველა ხელსაყრელი შემთხვევის ჩავარდნისას ზარმაცობისთვის საჯაროდ აკრიტიკებდა, ახლაც სათადარიგოთა სკამზე მიუჩინეს ადგილი... „ზარმაც ტომარად“ წოდებულ ბეიკერს მაინც არ გამოუხატავს უკმაყოფილება. იგი ბებერ ცენტრს, პატრიკ იუინგს ცვლიდა და შაკილ ონილს არ აზარებდა. ვეება ონილი ამაოდ ცდილობდა მეურვის კლანჭებისგან თავის დახსნას. პირველ ტაიმში მას ათი ქულაც ვერ მოუგროვდა. როცა შაკი ვერ თამაშობს, მეტოქეს რისხვად კობი ბრაიანტი ევლინება, ხოლო როცა ვერც კობის მისდის საქმე რიგიანად, მაშინ ჩემპიონი განწირულია. იმ დღეს „ლეიკერსის“ ლიდერები რომ „ტყემალზე“ ისხდნენ, ეს მასპინძელ დამცველთა დიდი შრომის ნაყოფია, ახალი დამრიგებლის ხელში თვინიერ ბატკნებად ქცეულმა სიეტლელებმა წესრიგი იგუეს და დაცვაში ხისტ თამაშს მიჰყვეს ხელი. საკუთარ ნახევარზე გარჯას არავინ უკადრისობდა პეიტონით დაწყებული ვოლკოვისკით დამთავრებული. „ლეიკერსიც“ ამაოდ აწყდებოდა მასპინძელთა დაცვის კედელს, შეტევაში უამრავ ბურთს ჰკარგავდა, რაც მათ კალათში ფეხმარდი სიეტლელების მიერ ჩატენილი ბურთით მთავრდებოდა. სწრაფ პირველ შეტევებზე ჩასაფრებული „ზებგერითები“ პირველივე წუთებიდან უხვ მოსავალს იმკიდნენ და სხვაობაც ყოველ წუთს ასტრონომიულად იზრდებოდა. პირველი მეოთხედი „სიეტლს“ დარჩა, 34:25. აი, მეორეში კი მასპინძლები უფრო შევიდნენ ეშხში და ჩემპიონთა რბევა უმაღლეს ფაზაში აიყვანეს. აგდება ყველა, ვისაც ბურთი მიუვიდოდა და „სონიქსმა“ ამ თორმეტწუთეულში მეტოქეზე 22 ქულით მეტი მიითვალა. როდესაც გუნდები ტაიმებს შორის შესვენებაზე გასახდელში 17 ათასი გულშემატკივრის ოვაციების თანხლებით წავიდნენ, ტაბლოზე 74:43 კიაფობდა „სიეტლის“ სასარგებლოდ. ეს უკვე დასასრული იყო. მესამე მეოთხედში ჩემპიონმა ბოლოსლა გაიფართხალა, სხვაობა 22 ქულამდე დაიყვანა, მაგრამ ბეიკერმა და პეიტონმა მას „თავისი ადგილი მიუჩინეს“.

მას შემდეგ, რაც ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა, „ლეიკერსი“ ასე არ დამართხებულა. და წინა სეზონის ტრიუმფატორთათვის რაც უფრო გულდასაწყვეტია, მათ შეწყვიტეს ხუთმატჩიანი მოგებათა სერია.

ვერც ვიცე-ჩემპიონი „ინდიანასთვის“ გამოდგა 30 ნოემბერი იღბლიანი. რამდენიმე თვის წინ აღმოსავლეთის უძლიერესი გუნდი ახლა ისე დაცემულა, ყველაზე უხეირო დასავლელ „გოლდენ სტეიტთან“ შინ და გარეთ აგებს. ორი კვირის წინ აიზია ტომასის შეგირდებს შინაურმა კედლებმაც ვერ უშველა „ვორიოზთან“, ახლა მათ სტუმრადაც დათმეს. „ეს ახალგაზრდული გუნდია და სანამ ბიჭები დაფრთიანდებიან, დიდი დრო გავა. თუმც ჩვენ ყოველთვის მზად ვართ საბრძოლველად და ხანდახან გრანდებსაც ვუგებთ“ — განაცხადა ყმაწვილ „მეომართა“ შორის შედარებით გამოცდილმა კრის მილზმა. კრისი ცდება, „ინდიანა“ გრანდი აღარაა.

ორ წელზე მეტი გავიდა, რაც დიდების შარავანდედით მოსილი „ჩიკაგო ბულზი“ მაჩანჩალა გუნდად იქცა. სეზონი სეზონს მისდევს „ბულზს“ კი სასიკეთო ჯერ არაფერი ეტყობა. „ხარებმა“ წააგეს ზედიზედ ცხრა თამაში და ალბათ ერთ ამდენს კიდევ მიაყოლებდნენ, გზად მათსავით გაჭირვებული „ატლანტა ჰოქსი“ რომ არ გადაჰყროდათ. „ნახირს“ „ხართა“ შორის ყველაზე მხცოვანი, 26 წლის (!) რონ მერსერი მიუძღოდა და „ბულზმა“ მასპინძლები გადაქელა. „ატლანტა“ დანარჩენ 28 გუნდში მხოლოდ „ჩიკაგოს“ სჯობს. თუმც ლიგის ორი უსუსტესი გუნდის შერკინებამ ცენტრალური დივიზიონის ცხრილის ქვედა ნაწილში ვერ შეიტანა ცვლილება, „ბულზმა“ ვერ გადაასწრო „ჰოქსს“, რადგან სეზონში სულ მეორედ იმარჯვა, ჯორჯიელებს კი ეს ბედნიერება სამჯერ ხვდომიათ წილად. აღსანიშნავია, რომ „ჩიკაგო“ ლიგის ყველაზე ახალგაზრდული გუნდია. მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23 წელს არ აღემატება. ექვსი „ხარი“ კი სულაც პირველ სეზონს ატარებს ნბა-ში

30 ნოემბერს გამართულ შეხვედრათაგან ყველაზე დაძაბული დენვერში გამართული მატჩი აღმოჩნდა. მთებით შემოჯარულ დენვერში იქაური „ნაგიტსი“ ამაოდ ცდილობდა მეტოქის წაქცევას, „ჰიუსტონი“ მაგრად იდგა და დამატებით დროში იმარჯვა კიდეც. „ნაგიტსმა“ ბოლო ექვს შინაურ თამაშში პირველად წააგო, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ლიდერს, ოლიმპიურ ჩემპიონს ანტონიო მაკდაიესს იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა. კარგად გაისარჯნენ ყმაწვილი სტუმრები ფრენსისი, მობლი და ტომასი, თამაში კი „ჰიუსტონმა“ ბებერი ოლაჯუონის წყალობით მოიგო. ჰაკიმი გვარიანად მობერდა იმისთვის, რომ ყოველ თამაშში 20-25 ქულა, ათი მოხსნა და კიდევ ბევრი რამ აკეთოს, სამაგიეროდ, მას აქვს იშვიათი საკალათბურთო ინტელექტი და კოლოსალური გამოცდილება. განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა, ოლაჯუონმა გამოუცდელი თანაგუნდელის, სტივ ფრენსისის მიერ მეოთხე მეოთხედში გაფუჭებული საქმე (ფრენსისმა ძირითად დროში 98:97 ანგარიშზე ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო) დამატებით დროში გამოასწორა, ორი უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო და ორჯერაც ჩაჭრა გააკეთა, რაც აგრეთვე ჩაგდებით დაგვირგვინდა.

**ირაკლი ფირაშვილი**



სიეტლი — ლეიკერსი. კობი ბრაიანტი სიეტლელ რუბენ პატერსონს გაექცა

| ლიგის ლიდერები | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30 ნოემბრის თამაშების ჩათვლით | | | | |
| **ქულა** | | | | |
| ჯერი სტეკჰაუზი | დეტროიტი | 15 | 430 | 28,7 |
| ვინს კარტერი | ტორონტო | 13 | 357 | 27,5 |
| კობი ბრაიანტი | ლეიკერსი | 16 | 431 | 26,9 |
| სტივენ მარბერი | ნიუ ჯერსი | 15 | 401 | 26,7 |
| კრის ვებერი | საკრამენტო | 12 | 309 | 25,8 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 15 | 377 | 25,1 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 17 | 418 | 24,6 |
| რეჯი მილერი | ინდიანა | 14 | 336 | 24,0 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 15 | 357 | 23,8 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 14 | 330 | 23,6 |
| ტრეისი მაკგრეიდი | ორლანდო | 13 | 301 | 23,2 |
| პოლ პირსი | ბოსტონი | 15 | 348 | 23,2 |
| რეი ალენი | მილუოკი | 15 | 335 | 22,3 |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 14 | 309 | 22,1 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 15 | 321 | 21,4 |
| შარიფ აბდურ-რაჰიმი | ვანკუვერი | 14 | 290 | 20,7 |
| ანტუან ჯემისონი | გოლდენ სტეიტი | 16 | 330 | 20,6 |
| რაშიდ ვოლესი | პორტლენდი | 17 | 351 | 20,6 |
| ჯამალ მაშბურნი | შარლოტი | 16 | 324 | 20,3 |
| პრედრაგ სტოიაკოვიჩი | საკრამენტო | 14 | 281 | 20,1 |
| **მოხსნა** | | | | |
| შონ მარიონი | ფინიქსი | 14 | 174 | 12,4 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 15 | 185 | 12,3 |
| მარკუს კემბი | ნიუ იორკი | 13 | 158 | 12,2 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 14 | 167 | 11,9 |
| ბენ ვოლესი | დეტროიტი | 15 | 169 | 11,3 |
| ანტონიო დევისი | ტორონტო | 15 | 168 | 11,2 |
| კევინ გარნეტი | მინესოტა | 15 | 166 | 11,1 |
| კრის ვებერი | საკრამენტო | 12 | 133 | 11,1 |
| ბრაიან გრანტი | მაიამი | 15 | 163 | 10,9 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 14 | 148 | 10,6 |
| **პასი** | | | | |
| ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 14 | 152 | 10,9 |
| მარკ ჯეკსონი | ტორონტო | 15 | 147 | 9,8 |
| ჯონ სტოქტონი | იუტა | 15 | 141 | 9,4 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 17 | 141 | 8,3 |
| ნიკ ვან ექსელი | დენვერი | 16 | 133 | 8,3 |
| ანდრე მილერი | კლივლენდი | 14 | 113 | 8,1 |
| სემ კასელი | მილუოკი | 14 | 108 | 7,7 |
| მაიკ ბიბი | ვანკუვერი | 15 | 114 | 7,6 |
| ტრევის ბესტი | ინდიანა | 14 | 103 | 7,4 |
| სტივენ მარბერი | ნიუ ჯერსი | 15 | 106 | 7,1 |
| **ჩაჭრა** | | | | |
| ედი ჯონსი | მაიამი | 11 | 30 | 2,73 |
| ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 14 | 35 | 2,50 |
| მუკი ბლეილოკი | გოლდენ სტეიტი | 13 | 29 | 2,23 |
| დუგ კრისტი | საკრამენტო | 14 | 31 | 2,21 |
| ლარი ჰიუზი | გოლდენ სტეტი | 16 | 33 | 2,06 |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 14 | 28 | 2,00 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 17 | 34 | 2,00 |
| დარელ არმსტრონგი | ორლანდო | 16 | 31 | 1,94 |
| რაშარდ ლუისი | სიეტლი | 15 | 29 | 1,93 |
| ქენდალ გილი | ნიუ ჯერსი | 14 | 26 | 1,86 |
| **დაფარება** | | | | |
| თეო რეთლიფი | ფილადელფია | 14 | 56 | 4,00 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 15 | 54 | 3,60 |
| შონ ბრედლი | დალასი | 16 | 55 | 3,44 |
| რაშიდ ვოლესი | პორტლენდი | 17 | 44 | 2,59 |
| ბო ოუთლოო | ორლანდო | 16 | 41 | 2,56 |
| კენიონ მარტინი | ნიუ ჯერსი | 15 | 38 | 2,53 |
| ანტონიო დევისი | ტორონტო | 15 | 36 | 2,40 |
| მარკუს კემბი | ნიუ იორკი | 13 | 31 | 2,38 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 14 | 31 | 2,21 |
| დევიდ რობინსონი | სან ანტონიო | 14 | 31 | 2,21 |

*შენიშვნა: პირველ სვეტში მითითებულია მოთამაშე, მეორეში კლუბი, მესამეში მატჩების რაოდენობა, მეოთხეში შედეგი, მეხუთეში საშუალო მაჩვენებელი*

# მემანქანემ გამოქინებაც მოასწრო და გამოღვიძებაც










გუშინ კლოდ სორელმა ლოკომოტიველების, თამაზ ჩადუნელის ლელოს და კახა ალანიას თავგანწირვას ინტერესით უყურა

ნახევარფინალი
თბილისი. ოქროყანა
1 დეკემბერი

**ლოკომოტივი 1 — ასკ**
**19:17 (7:17)**

**ლოკომოტივი 1:** მაჭუტაძე, თოფურიძე (ხინჩაგიშვილი), ბერიაშვილი (ჩადუნელი), ბურდული (ბ. უდესიანი), მოგელაძე, სორდია, გიორგაძე, ვართანიანი, სარიშვილი, ფ. უდესიანი (ბესელია), ჩაჩუა (ბეგიანიშვილი), ძნელაძე, ცხადაია (ალანია), ბერიძე, ასათიანი
3 ლ — ჩადუნელი, სორდია, მოგელაძე, 2 გ — ძნელაძე (ა)
**ასკ:** სუჯაშვილი, ბალანჩივაძე, ქავთარაძე, ვალიშვილი, დავითაშვილი, ცხადაძე, სვანიძე, უჩავა, აბუსერიძე, ხვიჩია, სამხარაძე, კაპანაძე, პინჩუკოვი, ზაქარიაძე, კიკნაძე
2 ლ — აბუსერიძე, ზაქარიაძე. 2 გ — უჩავა, 1 ს — უჩავა
**მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი
**მეთვალყურე:** ა. ქურდობაძე

**მართალი** ყოფილა არმიელთა ხელმძღვანელობა, როდესაც პლეი ოფის ნახევარფინალური მატჩის გადადებას ითხოვდა. თუ რატომ, ამაზე „სარბიელის“ მკითხველმა კარგად უწყის, მაგრამ ვინც არ იცის საქმის ვითარება, მათთვის კიდევ ერთხელ ვიტყვით — ეს მატჩი 16 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ასკ-ის სამი მორაგბე, ვასილ აბაშიძე, ბადრი ხეხელაშვილი და ირაკლი აბუსერიძე საშვიდკაცო მსოფლიოს სერიაზე ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი და, ცხადია, „ლოკომოტივი 1“-თან პრინციპულ მატჩში თავიანთ გუნდს ვერ დაეხმარებოდნენ. არმიელთა თავკაცებმაც ძლიერ მეტოქესთან მნიშვნელოვანი მატჩის ჩატარება წამყვანი მორაგბეების გარეშე არ ისურვეს და შეხვედრის გადადება ითხოვეს.

საქართველოს რაგბის კავშირში მათი თხოვნა დააკმაყოფილეს და მატჩი გუშინ ჩატარდა. მართალია, ზემოთ ნახსენები სამეულიდან ვასიკო აბაშიძე და ბადრი ხეხელაშვილი დუბაის ტურნირზე მიღებული ტრავმების გამო მაინც გუნდს დააკლდნენ, მაგრამ ირაკლი აბუსერიძე მშვენივრად გაისარჯა და არმიელებს ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, პლეი ოფის მთავარ სენსაციას გამოაცხობდნენ და რკინიგზელებს ბრინჯაოს მედლებისთვის საბრძოლველად „გაიმეტებდნენ“, მაგრამ მოსახდენი მოხდა, „ლოკომოტივი 1“ თასის მოპოვებას არ დასჯერდა და ჩემპიონატის ფინალისკენ გაიკვლია გზა.

იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული რკინიგზელები ოქროყანის სტადიონზე ექსპერიმენტული შემადგენლობით გავიდნენ, ბობა კვინიხიძემ და აჩიკო კობახიძემ ტრავმების გამო ვერ შეძლეს თამაში, თამაზ ჩადუნელი, გიორგი ბუგიანიშვილი, ბესო უდესიანი და კახა ალანია კი თემურ ბენდიაშვილმა თადარიგში დატოვა, ეტყობა, „ლოკომოტივი 1“-ის თავკაცობას თავი უკვე ფინალში ეგონა და ძირითადი შემადგენლობის მობურთალებს დასვენების საშუალება მისცა, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ თემურ ბენდიაშვილს განზარხვაზე ხელი აალებინა — იძულებული შეიქნა, ნაცადი გვარდია ჩაერთო თამაშში.

მატჩი ყველასთვის მოულოდნელად დაიწყო, ბურთი თამაშში არმიელებმა შეიყვანეს და უმალ შეუტიეს. რკინიგზელებმა მოწინააღმდეგის შეტევა წესების დარღვევით შეაჩერეს, ასკ-ის დამრტყმელმა კახა უჩავამ ჯარიმა გოლად აქცია და თავისი გუნდი დააწინაურა. რამდენიმე წუთში აბუსერიძემ მშვენიერი ლელოთი კიდევ უფრო გაზარდა ანგარიშში სხვაობა. ლელო კი მართლაც ლამაზი გამოვიდა. საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების ტანმორჩილი მეცხრე ნომერი თავისი ნახევრიდან ბურთიანად რკინიგზელთა კარისკენ დაიძრა, გზად რამდენიმე მოწინააღმდეგე ჩამოიცალა, „ლოკომოტივი 1“-ის ბოლო მცველს გიორგი ასათიანს ბურთი ფეხით თავზე გადაუგდო, თვითონვე დაეუფლა და აუღელვებლად დადო რკინიგზელთა სალელოე მოედანში. უჩავამ ზუსტად გარდასახა. ამის შემდეგ თასის მფლობელი თითქოს გამოფხიზლდა, მაგრამ რეალურ საფრთხემდე საქმე არ მისულა. სამაგიეროდ, ასკ აქტიურობდა და მეტოქეს სახიფათო იერიშებით პასუხობდა. ერთ-ერთი ასეთი შეტევისას ზაქარიაძემ „ლოკომოტივი 1“-ის მორაგბეთა მარწუხებს თავი დააღწია და ჩემპიონატის ფავორიტები მეორედ დაალელოვა. უჩავას არც ამჯერად უმტყუნა მიზანმა — 0:17. ამას უკვე არავინ ელოდა, თვით არმიელ მობურთალებს უკვირდათ ასეთი წარმატება. მხოლოდ ამის შემდეგ დაფაცურდნენ რკინიგზელთა თავკაცები სათადარიგოებს უხმეს. ცვლილებებმა გაამართლა და სულ მალე შედეგიც გამოიღო. ტაიმის მიწურულს „ლოკომოტივი 1“-ის გაწელილი იერიში მოედანზე ახლად შესულმა თამაზ ჩადუნელმა ლელოთი დააგვირგვინა, ძნელაძემ გარდასახვიდან ივარგა და სხვაობა ათ ქულამდე შეამცირა. აქვე მსაჯის სასტვენმაც მოუსწრო და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ.

დაიწყო თუ არა მატჩის მეორე ორმოცწუთეული, რკინიგზელთა შეტევებმაც იმატა. ასკ-ს დაცვა რის ვაი-ვაგლახით უმკლავდებოდა მოწინააღმდეგეთა მიწოლას და მხოლოდ ბურთის მოშორებაზე ფიქრობდა, ერთ მომენტში კი არმიელთა უკანახაზელები დავით სორდიას წინააღმდეგ უძლურნი აღმოჩნდნენ და ლელოც გაუშვეს. ძნელაძემ გარდასახვა გააცუდა და ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შემცირდა. ცხადია იყო, „ლოკომოტივი 1“-მა თავისი თამაში იპოვა და მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებდა, მაგრამ მეტოქის კართან შექმნილ უამრავ მომენტს ანიავებდნენ, შედეგი არ ჩანდა, დრო კი თანდათან იწურებოდა. ამასობაში არმიელებმა ხელი გამოიღეს და მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაინაცვლეს, საჯარიმო დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ უჩავამ ვერ ივარგა. არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა მატჩი ასკ-ის დამრტყმელი ხეირიანად რომ გარჯილიყო და თავისი გუნდის უპირატესობა გაეზარდა. სწორედ ამ მომენტმა გატეხა არმიელები, რკინიგზელებმა კი უფრო გააძლიერეს შეტევა, სალელოე მინდორშიც მიაღწიეს, ზედახორაში ყველას ზურაბ მოგელაძემ აჯობა და ასკ მესამედ დაალელოვა. ძნელაძეს გასროლილი ზუსტია და პირველად ამ მატჩში წინ „ლოკომოტივი 1“ გავიდა — 19:17. ორ ქულიანი სხვაობა კი გამარჯვების გარანტია ნამდვილად არ არის. ეს ორივე გუნდმა კარგად იცოდა. ერთ დარტყმას შეეძლო, შეხვედრის ბედი გადაეწყვიტა. მატჩის სურათი არც ამის შემდეგ შეცვლილა. რკინიგზელები მოედნის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. მათ სასურველი ანგარიში მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს და ფინალშიც გააღწიეს.

ამ დრამატულ შეხვედრას ეროვნული და შვიდკაცა ნაკრებების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელიც ადევნებდა თვალყურს. მატჩის შემდეგ „ბორჯღალოსანთა“ მესაჭე თავაზიანად დაგვთანხმდა მცირე ინტერვიუზე.

**— ბატონო სორელ, რა არის თქვენი ჩამოსვლის მიზანი?**

— ჭაბუკ და შვიდკაცა ნაკრებების მსოფლიოს თასისთვის მომზადება და სასურველი კანდიდატების შერჩევა.

**— დღეს თუ მოგეწონათ ვინმე?**

— განსაკუთრებით „ლოკომოტივი 1“-ის რამდენიმე მორაგბემ დამამახსოვრა თავი, მაგრამ კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

**— შვიდკაცა ნაკრებმა მსოფლიო სერიის ორ ტურნირზე ითამაშა, კიდევ რამდენ შეჯიბრზე ხომ არ გეგმავთ ძალების მოსინჯვას?**

— იანვარში გასამართი მსოფლიოს თასისთვის უელსისა და ინგლისის ნაკრებებთან ერთად მოვემზადებით.

**— დღევანდელ მატჩზე რას გვეტყვით?**

— დაძაბული შეხვედრა იყო. ვფიქრობ, „ლოკომოტივი 1“-ს გაუმართლა.

**— ფინალში ვინ გაიმარჯვებს?**

— პროგნოზებისაგან თავს შევიკავებ, მაგრამ იმედია, დაძაბული და ლამაზი სანახაობა იქნება. ორივე გუნდს, სტუ-„ყოჩებსაც“ და „ლოკომოტივი 1“-საც შეუძლია ჩემპიონობის მოპოვება.

**ბაჩო სვანიძე**



# აზმაიფარაშვილი ბაკლანს მოერია

**ინდოეთში,** ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე მძიმე არტილერია ამოქმედდა. მეორე რაუნდიდან ბრძოლაში ელიტარული მოჭადრაკეებიც ჩაებნენ და მათში მხოლოდ გარი კასპაროვი, ვლადიმირ კრამნიკი და ანატოლი კარპოვი არ არიან. ბოლო ორისა რა გითხრათ, მაგრამ კასპაროვი დელის მოვლენებს ყურადღებით შეჰყურებს და ყოველი რაუნდის ბოლოს სათანადო კომენტარების გაკეთებას აპირებს. პირველი რაუნდი უკვე დასრულდა, ესე იგი...

„სპორტსმენთა დაწყვილების პრინციპი უცნაურად მეჩვენება“ — წერს კასპაროვი თავის პირველ კომენტარში და გვგონია, რომ იგი კონკურენტი ორგანიზაციის (ფიდე) საქმიანობაში ხარვეზებს შეგნებულად ეძებს, მით უფრო, ნათქვამს არსად განმარტავს, პირდაპირ ყველაზე საინტერესო პარტიათა განხილვას იწყებს. მეორე მხრივ, კენჭისყრას კრიტიკულად სხვებმაც შეხედეს, ამიტომ ექსჩემპიონის აზრი ერთადერთი არ გახლავთ, ისევე როგორც მისი მეორე ფრაზა — პირველ რაუნდებში გამარჯვებულთაგან მომავალ ჩემპიონს ვერც ერთში ვხედავო. მართლაც, კომენტატორები, თითქოს პირი შეკრესო, ერთხმად ამტკიცებენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონი მავანი განთქმული მოჭადრაკე გახდება, თუმცა მეორე რაუნდის პირველ პარტიებში არც ისე წასულა საქმე, რომ ფავორიტებს გაესეირნოთ და უპრობლემოდ მოეხვეჭოთ ქულები.

ვიშვანათან ანანდი მოლდაველ ვიქტორ ბოლოგანს შავებით შეხვდა. მოლდაველმა პირველი რაუნდიდან დამაჯერებლად გამოაგდო ისლანდიელი სტეფანსონი და ინდოელ ვარსკვლავსაც ტოლ-სწორად შეება. ყოველ შემთხვევაში, ბოლოგანის შეთავაზებულ ყაიმზე ვიშის დადებითი პასუხის გაცემა არ დაუხანებია. მეორე პარტიაში ახლა ინდოელი იქნება თეთრებით და ბოლოგანს ოფლში გაწურვა მოუწევს, მაგრამ ამ წყვილში ჯერ არაფერი გადაწყვეტილა.

არც სხვაგან. შავებით მეტოქესთან მშვიდობიანი განშორება არჩიეს და თეთრების იმედად არიან მაიკლ ადამსი, პეტერ ლეკო, ვესელინ ტოპალოვი, პიოტრ სვიდლერი, ალექსანდრ დრეევი, ნაიჯელ შორტი და ალექსანდრ ხალიფმანი. ფერის უპირატესობა გამოიყენეს ალექსანდრ მოროზევიჩმა, ევგენი ბარეევმა, ბორის გელფანდმა და რუსტამ კაზიმჯანოვმა, ხოლო ალექსეი შოროვმა და ვასილი ივანჩუკმა საქმე წინ ვერ წაიგდეს და მეორე პარტიებში შავი ფიგურებით მოგებაზე უნდა იზრუნონ, თუ არა, ბლიცი და მისი ჯანი.

კარგად უძღვება საქმეს ზურაბ აზმაიფარაშვილი. პირველ რაუნდში უკრაინელი ბაკლანი და ხორვატი ზაია საყაიმო მანიას შეეპყრო და ბოლოს რომელიღაც ბლიცის მოგებით, როგორც იყო, უკრაინელმა გაიხარა, რათა მეორე დღესვე ხასიათი წახდომოდა. აზმაიფარაშვილი თეთრებით თამაშობდა და დებიუტიდან უკეთესი პოზიციით გამოვიდა, მეტოქეს B6 პაიკი დაუსუსტა და მთელი ძალებით იმას შეუტია. ბაკლანმა განტვირთვა სცადა, კუსა და პაიკში ეტლი დათმო და სული მოითქვა, მაგრამ აზმაიფარაშვილი ახლა მატერიალური უპირატესობის რეალიზებას შეუდგა და მანევრების შემდეგ ნელ-ნელა ისევ მოუჭირა მარწუხები. მე-60 სვლაზე ბაკლანმა ხელები გაასავსავა და დანებდა. ახლა ერთი ყაიმი და ქართველი შემდეგ წრეშია.



კორინა პეპტანი

ჩვენი ქალებიდან ექვსი უკვე დამარცხდა. არც მეორე რაუნდში უჩანს საქმეს სასიკეთო პირი. პირველი პარტიები წააგეს ინგა ხურცილავამ, ქეთევან არახამია-გრანტმა და რაც ყველაზე გასაკვირია, მაია ჩიბურდანიძემ, რომელსაც ახალგაზრდა რუმინელმა კორინა პეპტანმა შავებით მოუგო. რუმინელი თითქმის თავიდანვე გაბატონდა დაფაზე, მეტოქეს მძლავრი შეტევა დაატეხა თავს და პირველი კონტროლის ამოწურვისთანავე მაია დანებდა. მოიგო მხოლოდ ნანა იოსელიანმა, თეთრებით, ფინელ კოსკელასთან. დებიუტში ქართველმა ტერიტორიული უპირატესობა მიიღო. მერე ათიოდე სვლის მანძილზე მანევრული თამაში წავიდა. იოსელიანის თეთრი ლაზიერი აქაც იყო, იქაც, ფრთიდან ფრთაზე წამდაუწუმ გადარბოდა. 25-ე სვლისთვის სიტუაციას ნათელი მოეფინა: თეთრები შავ მეფეზე იერიშით მიდიოდნენ, მაგრამ გამოხტა შავი პაიკი და ლამის თეთრ მეფემდე იარა. იოსელიანის ფიგურები მის თავხედობას იქამდე უყურებდნენ, სანამ იმან თეთრი კოლეგა არ მოკლა და როგორც გაირკვა, ამით თავის მეფეს გაუთხარა საფლავი. შავი პაიკი თეთრმა ეტლმა მიასიკვდილა, იმას მეორე ზურგში ამოუდგა, აქეთ კუ, იქით ლაზიერი და მოკლედ, შავების საშველი აღარ იყო. მათი ბანაკი ხუხულასავით დაინგრა.

**დავით გულუა**

### გუშინ

სამწუხაროდ, გუშინდელმა დღემაც დელიდან იმედგაცრუება მოგვიტანა. პირველ პარტიებში დამარცხებულმა ვერცერთმა ქართველმა მანდილოსანმა მეორეში რევანში ვერ აიღო. მსოფლიო პირველობას მხოლოდ ზურაბ აზმაიფარაშვილი და ნანა იოსელიანი შემორჩნენ. ქვემორე ანგარიშების გვერდით ფრჩხილებში რაუნდების შედეგებია მითითებული.

**ქალები**

**კორინა პეპტანი (რუმინეთი) — მაია ჩიბურდანიძე 0,5:0,5 (1,5:0,5)**
**ნიინა კოსკელა (ფინეთი) — ნანა იოსელიანი 0,5:0,5 (0,5:1,5)**
**ქეთევან არახამია-გრანტი — ქანინგ ქინი (ჩინეთი) 0,5:0,5 (0,5:1,5)**
**ინგა ხურცილავა — ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) 0,5:0,5 (0,5:1,5)**

**ვაჟები**

**ვლადიმირ ბაკლანი (უკრაინა) — ზურაბ აზმაიფარაშვილი 0,5:0,5 (0,5:1,5)**

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

5 დეკემბერს 12 საათზე ჟურნალისტთა სახლში პრესკონფერენციას გამართავს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან თედიაშვილი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

# უცნობი პოდიუმის თავში



პეტრა ჰალტმაიერი

**ლეიკ ლუისში** სამთო მოთხილამურე კაცები ქალებმა შეცვალეს. კანადური პროვინცია ალბერტას ამ რიგიან კურორტზე 2,66-კილომეტრიანი ტრასა სწრაფდამშვებებს გაუმზადეს და ისინიც მუყაითად შეუდგნენ მოვალეობის მოხდას. სტარტზე მხნედ შედგა იტალიელი იზოლდე კოსტნერი, რომელიც ხედავდა, რომ პრაქტიკულად უკონკურენტოდ დარჩენილიყო თავის გამორჩეულ სახეობაში და მოგების სურვილი კლავდა. მართლაც, გასული სეზონის სწრაფდაშვების ბოლო ეტაპზე გერმანელი რეგინა ჰეუსლი ისე დაეცა, ძვალი არ შერჩა მთელი და თასის მომგები წლევანდელ სეზონს სრულად გამოტოვებს — ეს ერთი. სწრაფდაშვების გენიოსი და თასის არაერთხელ მფლობელი, ამერიკელი, ამერიკელი პიკაბო სტრიტი ხომ საერთოდ ორი წელია, თხილამურებზე არ შემდგარა, 98-ში თეძო გაიტეხა და მარცხენა მუხლის ის ნაწილიც, რუსები რომ „ჩაშკას“ უწოდებენ — ეს ორი. შვედი პერნილა ვიბერგი ახლო ხანებში დაბრუნებას კი გეგმავს, მაგრამ გუშინწინ ლეიკ ლუისში არაფერი ესაქმებოდა და ესეც სამი. მოკლედ, ხუთშაბათი კოსტნერის დღე უნდა ყოფილიყო. თავიდანაც ასე ჩანდა. იტალიელმა მართლაც ჩინებულად იქროლა და სავარაუდო კონკურენტები, მიქაელა დორფმაისტერი და ბრიგიტე ობერმოზერი ჩამოიტოვა.

მაგრამ მარცხი თურმე სულ სხვა მხრიდან ელოდა. მას პეტრა ჰალტმაიერი ჰქვია, 25 წლისაა და დედამისს ზუსტად ხუთშაბათს 60 წლის იუბილე ჰქონია. ჰალტმაიერი არასოდეს გამორჩეულა სწრაფდაშვებებზე, უფრო გიგანტური სლალომისა და სუპერგიგანტის ქალად იცნობენ, მაგრამ არც იქ ანგრევს ქვეყანას: ეტაპი არასოდეს მოუგია.

შარშან ჰალტმაიერმა ერთი სწრაფდაშვება მეორე ადგილზე დაასრულა. ამისთვის სერიოზულად არავის შეუხედავს თავად მოთხილამურის გარდა. „მაშინ ვირწმუნე, რომ ეს საქმეც შემეძლო — უთხრა გერმანელმა მასმედიას — მაგრამ გამარჯვებაზე, ცხადია, არ მიფიქრია. ვარჯიშებზე კოსტნერს ორი წამით ჩამოვრჩი და საკუთარ თავს ვუთხარი, რბოლისას როგორმე ამაზე უფრო უნდა დავუახლოვდე-მეთქი.“ დაუახლოვდა, წამის მეათედიც მოუგო და თხილამურის ჯოხიც ერთხელ ბრაზიანად ჩაარჭობინა თოვლში. მესამე — მსოფლიოს თასის შარშანდელი გამარჯვებული რენატე გოეჩლი იყო. ცუდი სტარტის შემდეგ ლეიკ ლუისში იგი მოფერიანებული ჩანდა.

**დავით გულუა**

### მსოფლიოს თასი

მეოთხე ეტაპი. სწრაფდაშვება
ლეიკ ლუისი. 30 ნოემბერი

| | |
|---|---|
| 1. პეტრა ჰალტმაიერი (გერმანია) | 1:34,71 |
| 2. იზოლდე კოსტნერი (იტალია) | 1:34,81 |
| 3. რენატე გოეჩლი (ავსტრია) | 1:34,98 |
| 4. რეგინ კავანიუ (საფრანგეთი) | 1:35,33 |
| 5. ბრიგიტე ობერმოზერი (ავსტრია) | 1:35,48 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარტინა ერტლი (გერმანია) | 266 |
| 2. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) | 180 |
| 3. კავანიუ | 144 |
| 4. იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) | 139 |
| 5. ანია პერსონი (შვედეთი) | 133 |



# ჩხუბობს და თავისიც გააქვს

30 ნოემბერი

**კაროლინა — ფილადელფია 2:0**

**0:0 1:0 1:0**

1:0 კაპანენი 36'38 (5); 2:0 ბატალია 59'48 (7)

**ჩიკაგო — ნეშვილი 0:3**

**0:0 0:2 0:1**

0:1 ჩიზარი 23'02 (2); 0:2 რონინგი 32'38 (10); 0:3 პელტონენი 43'06 (3)

**ვანკუვერი — მონრეალი 3:4**

**1:2 0:2 2:0**

0:1 დარბი 4'49 (5); 0:2 სავაჟი 7'25 (8); 1:2 კუკი 15'13 (7); 1:3 სტოკი 25'46 (1); 1:4 რუჩინსკი 34'48 (9); 2:4 ნესლუნდი 46'16 (16); 3:4 შეფერი 41'06 (6)

**აილენდერსი — ტორონტო 4:6**

**2:0 0:2 2:4**

1:0 ჩერკავსკი 9'24 (5); 2:0 სკაჩარი 15'17 (6); 2:1 დომი 23'30 (7); 2:2 ბერეზინი 36'13 (7); 2:3 სუნდინი 43'41 (6); 3:3 პერიში 48'54 (6); 4:3 პაიეტი 51'21 (2); 4:4 დომი 55'05 (8); 4:5 სუნდინი 57'45 (7); 4:6 ტაკერი 59'45 (7)

**ფინიქსი — მინესოტა 2:0**

**0:0 2:0 0:0**

1:0 დრუნი 30'43 (8); 2:0 სალივანი 37'11 (2)

**სან ხოსე — ანაჰაიმი 3:2**

**0:0 0:1 2:1 1:0**

0:1 ლეკლერკი 36'17 (8); 0:2 კარია 43'49 (9); 1:2 რიჩი 47'12 (6); 2:2 მარლო 53'40 (9); 2:3 შენანი 64'50 (1)

როგორც იქნა, სამხრეთ-აღმოსავლეთში გამოჩნდა გუნდი, რომელმაც ქულათა 50-პროცენტიან ზღვარს მიაღწია. ეს კაროლინაა. „ქარიშხლებმა“ ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგეს და ოთხჯერვე მათ კარში არტურს ირბე იდგა. ლატვიელ მეკარეს ცოტა სამუშაო როდი ჰქონდა, ვერც ფორვარდებმა გაუიოლეს უხვგოლიანობით საქმე. ჯერჯერობით გუნდს ძალიან უჭირს გოლების გატანა და იმედს დაცვასა და მაკარეზე ამყარებენ. ირბეც არ ღალატობს თავისიანებს და ფილადელფიასთან მარტო მესამე პერიოდში 12 დარტყმა მოიგერია, მათ შორის, კეიტ პრიმოს უაღრესად სახიფათო შეტევაც. საბოლოოდ მან კარიერაში მე-14 შატაუტი მიითვალა და ამ შედეგით კლუბის ისტორიაში პირველ ადგილზე მყოფ მაიკ ლიუტს გაუტოლდა.

8-მატჩიანმა საგარეო ტურნემ ჩიკაგო, ეტყობა, საკუთარ მოედანს გადააჩვია. ამიტომაც იყო, შინ უცხოსავით რომ გამოიყურებოდა და ნეშვილელთა მეკარე ტომაშ ვოკოუნს შატაუტის გაკეთების საშუალება მისცა, მეტოქეს კი 50-პროცენტიან ზღურბლზე გადააბიჯებინა. აღსანიშნავია, რომ თავის დივიზიონში ნეშვილი მესამე ადგილზეა და ჯერჯერობით კონფერენციის პირველ რვა გუნდში ვერ ხვდება.

ფინიქსი კი, რომელსაც 8-მატჩიანი საშინაო სერია დაეწყო, უხეირო ნოემბრის შემდეგ კვლავ შეეცდება პოზიციების გამყარებას. ამჯერად მან დიდი გაჭირვებით მოუგო დებიუტანტ მინესოტას. ზედიზედ ექვსი შეხვედრაა, „კოიოტებს“ ორ გოლზე მეტი ვერ გაუტანიათ, თუმცა ამჯერად მეკარე რობერტ ეშის (30 მოგერიება) ძალისხმევის წყალობით ეს საკმარისი აღმოჩნდა.

ხელმძღვანელობის შეცვლამ სრულიად გარდაქმნა მონრეალი. ახალმა მწვრთნელმა პირველი ორი სამეული გადაადგილა და შედეგიც სახეზეა — ზედიზედ სამი მოგებული მატჩი. ეს ორივე ტრიოს უდიდესი დამსახურებაა, განსაკუთრებით კი მარტინ რუჩინსკი — დაინიუს ზუბრუსის (2 პასი) ტანდემისა.

კვლავ მოიგო სან ხოსემ, რომელიც წლეულს ჩინებულად თამაშობს და დასავლეთის გრანდების მარაქაში გარევას ცდილობს. თუმცა „ზვიგენები“ თავიანთ გამარჯვებას ამჯერად მეტოქე ანაჰაიმს უნდა უმადლოდნენ. „იხვებმა“ ჯერ ორშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს, შემდეგ კი, ოვერტაიმში რიცხვმრავლობა ვერ გამოიყენეს.

ცნობილი ტორონტოელი ჩხუბისთავის, ტაი დომის ზედიზედ მეორე დუბლმა (!) ამჯერად გამარჯვება მოუტანა მის გუნდს. წინა მატჩში სენტ ლუისთან შერცხვენილმა კანადელებმა ჯერ წინ გაუშვეს აილენდერსი, მერე კი გაბრაზებულმა ორივე მეტოქის ჯავრი ერთად იყარეს.

**სამველ ლარიბიანი**



კაროლინელთა მეკარე არტურ ირბეს ფილადელფიელებმა ერთხელაც ვერ გაუტანეს

### სატურნირო ვითარება

**ჩრდილო - აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 25 | 13 | 3 | 2 | 7 | 76:57 | 31 |
| ოტავა | 24 | 13 | 4 | 0 | 7 | 77:58 | 30 |
| ბუფალო | 22 | 12 | 2 | 1 | 7 | 60:53 | 27 |
| ბოსტონი | 24 | 8 | 3 | 2 | 11 | 59:85 | 21 |
| მონრეალი | 26 | 9 | 2 | 0 | 15 | 68:81 | 20 |

**ცენტრი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 23 | 16 | 3 | 0 | 4 | 77:44 | 35 |
| დეტროიტი | 26 | 15 | 1 | 2 | 8 | 83:71 | 33 |
| ნეშვილი | 25 | 10 | 5 | 1 | 9 | 61:61 | 26 |
| ჩიკაგო | 25 | 8 | 2 | 2 | 13 | 62:77 | 20 |
| კოლუმბუსი | 25 | 7 | 1 | 1 | 16 | 49:81 | 16 |

**ატლანტა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 23 | 12 | 3 | 0 | 8 | 82:62 | 27 |
| რეინჯერსი | 25 | 13 | 0 | 0 | 12 | 85:82 | 26 |
| პიტსბურგი | 23 | 11 | 3 | 1 | 8 | 65:61 | 26 |
| ფილადელფია | 25 | 11 | 4 | 0 | 10 | 61:66 | 26 |
| აილენდერსი | 23 | 7 | 2 | 2 | 12 | 56:70 | 18 |

**ჩრდილო - დასავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 24 | 17 | 3 | 0 | 4 | 75:49 | 37 |
| ედმონტონი | 27 | 14 | 3 | 0 | 10 | 78:70 | 31 |
| ვანკუვერი | 26 | 13 | 3 | 2 | 8 | 88:73 | 31 |
| კალგარი | 27 | 6 | 5 | 4 | 12 | 57:78 | 21 |
| მინისოტა | 26 | 7 | 4 | 1 | 14 | 52:68 | 19 |

**სამხრეთ აღმოსავლეთი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 24 | 10 | 3 | 1 | 10 | 58:67 | 24 |
| ვაშინგტონი | 24 | 7 | 6 | 1 | 10 | 57:67 | 21 |
| ტამპა | 23 | 8 | 2 | 2 | 11 | 68:85 | 20 |
| ფლორიდა | 22 | 5 | 4 | 4 | 9 | 46:58 | 18 |
| ატლანტა | 22 | 5 | 6 | 1 | 10 | 56:72 | 17 |

**წყნარი ოკეანე**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სან ხოსე | 22 | 15 | 2 | 0 | 5 | 65:46 | 32 |
| ფინიქსი | 26 | 13 | 6 | 0 | 7 | 70:58 | 32 |
| დალასი | 23 | 13 | 3 | 1 | 6 | 63:46 | 30 |
| ლოს ანჯელესი | 25 | 11 | 6 | 0 | 8 | 88:75 | 28 |
| ანაჰაიმი | 27 | 8 | 4 | 3 | 12 | 68:89 | 23 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*



# ოქროქალი ოქროს ველოსიპედზე



ფელისია ბალანჟე

**რამდენიმე** კვირის წინ ფრანგმა მრბოლმა ქალმა ფელისია ბალანჟემ, კარიერას ვამთავრებო, გამოაცხადა. ათგზის მსოფლიოს და სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მას შემდეგ ბოლო ჯილდოც მიიღო — „ოქროს ველოსიპედი“, საუკეთესო ფრანგ მრბოლს რომ ესარგებლა.

„ოქროს ველო“ ყოველთვიურ ფრანგულ ჟურნალ „ველო მაგაზინის“ დაწესებულია 1992 წელს და მას მერე ბალანჟე პირველი ქალია, მისი მფლობელი რომ გახდა. წლეულს მან სიდნეის ოლიმპიადაზე გაიბრწყინა, სადაც ტრეკზე ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა. და მიუხედავად იმისა, რომ მანჩესტერის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბალანჟემ ვერაფერი მოიგო, ჟიურიმ, რომელიც ველოსპორტზე მწერალ ჟურანლისტთაგან შედგება, მაინც იგი ამჯობინა მასსავით ოლიმპიურ ჩემპიონებს — ფლორიან რუსოსა (ტრეკი) და მიგელ მარტინესს (სამთო ველორბოლა). მეოთხე ადგილი ტრეკის სპეციალისტ არნო ტურნანს ერგო, საგზატკეცილო ველორბოლის საუკეთესო წარმომადგენელი კრისტოფ მორო კი მხოლოდ მეხუთე იყო.

„ველო მაგაზინი“ სხვა ქვეყნების მრბოლებსაც არ ივიწყებს და თავისი საფეხბურთო ანალოგის, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთის“ მსგავსად მსოფლიოს საუკეთესო ველოსიპედისტსაც „ოქროს ველოთი“ აჯილდოებს.

წლეულს, შარშანდელივით, ეს პატივი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულ ამერიკელ ლენს არმსტრონგს ხვდა წილად. „პოსტალის“ ლიდერმა გამოკითხვის შედეგების მიხედვით მსოფლიოს თასის მომგებ და „ტურის“ ზედიზედ მეხუთედ საუკეთესო სპრინტერს, გერმანელ ერიკ ზაბელს გაუსწრო. მესამე ადგილი „ტელეკომში“ ზაბელის თანაგუნდელმა და თვისტომმა იან ულრიხმა (გერმანია) დაიკავა. მეოთხე ჰოლანდიელი ქალი ლეონტიენ ზაილაარდი (გათხოვებამდე ვან მოორსელი) იყო, რომელმაც სიდნეიში სამი ოქრო მოიხვეჭა, მეხუთე ადგილზე კი მსოფლიოს ჩემპიონი საგზატკეცილო ჯგუფურ რბოლაში რომან ვაინსტეინსი გავიდა.



# ჰიპერდინიცები პროსტის სუპერპარტნიორები გახდნენ

**ფორმულა** 1-ის ბრაზილიელი პილოტი პედრო-პაოლო დინიცი „პროსტის“ აქციონერი გახდა.

ფრანგული გუნდის ოფიციალური კომუნიკეს თანახმად, დინიცი მსხვილი აქციონერია, აქციათა საკონტროლო პაკეტი კი უწინდებურად ალენ პროსტმა შეინარჩუნა.

პედრო დინიცი ფორმულა 1-ის ჩემპიონატებში 1995 წლიდან მონაწილეობდა და „ფორტს“, „ლიჟეს“, „ეროუზს“, „ზაუბერს“ მართავდა. ახლა კი მან რბოლას თავი დაანება და მთლიანად „პროსტის“ საჯინიბოს საქმეებში ჩაებმება, რადგან ამ საქმეში ამდენი ფული ჩავდეთ, ამიტომ პერსპექტივაზე ვფიქრობ და მთლიანად გუნდის წარმატებებზე ვიზრუნო“ — თქვა დინიცმა. „მოხარული ვარ, რომ დინიცისა და მისი ოჯახის წევრების სახით არა მარტო ინვესტორები და ფინანსური პარტნიორები ვიშოვე, არამედ შესანიშნავი ადამიანები და მეგობრებიც. ჩვენი ალიანსი დიდად წაადგება გუნდს. ახლა ჩვენი სამომავლო მიზნები ფრიად ამბიციური იქნება. პედრო და მამამისი აბილიო ჩემს სტრატეგიას მთლიანად ეთანხმებიან, ეს კი ნაყოფიერი თანამშრომლების საწინდარია“ — კმაყოფილია ფორმულა 1-ის ოთხგზის ჩემპიონი და „პროფესორად“ მონათლული ალენ პროსტი.

და იცით, რა შუაშია აბილიო? ფულები ხომ მისია! უფროსი დინიცი ბრაზილიაში 250 ჰიპერმარკეტის (სუპერმარკეტზე დიდია) ქსელის მფლობელია, ფულიც ბლომად აქვს და შვილისთვისაც არ ენანება.

რაც შეეხებათ „პროსტის“ პილოტებს, დღეისთვის ცნობილია, რომ ერთი მათგანი ჟან ალეზი იქნება. მეორე ბოლიდს კი „პროფესორი“ თავის ახალ პარტნიორს უნახავდა, მაგრამ რადგან მან კარიერის დასრულება გადაწყვიტა, ამიტომ ახალი მრბოლი უნდა მოძებნოს.

**გაგი გურული**

# მზადება

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ უკვე გამოაცხადა, რომ მომდევნო „ოლ სტარი“ დენვერში გაიმართება 2001 წლის 4 თებერვალს. ლაღი შოუს დღემდე კი მოეწყობა ჰოკეის სამდღიანი ყეენობა. ამის დაგეგმვა და სახალხო პრესკონფერენცია კი გუშინ გაიმართა დენვერში. აქ სტენლის თასიც ჩამოატარეს და ნჰლ-ის ვარსკვლავებიც გაესაუბრნენ ნორჩ ჰოკეისტებს. კოლორადოელი დეივ რიდი და პეტერ ფორსბერგი ხომ საერთოდაც ნორჩთა რჩეულნი შეიქნენ.






REUTERS

# ფერთა თანასწორობა





ენდი კოული

ძირს რასისტული თეორიები! მხოლოდ აბანოში უნდა გამოირჩნენ თეთრი და შავი! ამას ვამბობთ ჩვენ და აგრეთვე მავანი ბრიტანული ტელეკომპანია, რომელიც დღეს საღამოს დიდებული ანტირასისტული ტელეშოუს გამართვას გეგმავს ენდი კოულის, დევიდ სიმენის, ლენოქს ლუისისა და პრინც ნასიმ ჰამედის მონაწილეობით. სიმენი დაამტკიცებს, რომ შავი კანი თეთრზე არანაკლებ მოუხდება, კოული, ჰამედი და ლუისი საპირისპიროს იტყვიან, იქამდე კი ოთხივეს საილუსტრაციოდ „სანის“ მოწინავე ფურცელი გამოუყენებია.





ლენოქს ლუისი





დევიდ სიმენი





ნასიმ ჰამედი



REUTERS



# რომა ვატიკანში

ფლორენციიდან რომში გადაბარგებული გაბრიელ ბატისტუტა ამ დღეებში უმაღლესმა მასპინძელმა ისტუმრა. პაპმა იოანე პავლე მეორემ კერძო აუდიენცია უბოძა „რომას“ ფეხბურთელებს და კლუბის პრეზიდენტ ფრანკო სენსის. გაბრიელიც იქ იყო და ფრანჩესკო ტოტიც. პაპმა კი ამ თვეში მეორედ ილაპარაკა ფეხბურთში უხეშობის აღკვეთის შესახებ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მექველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო უფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge